ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ეკონომიკა და ფინანსები“

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

„Economics and Finance“

თბილისი / Tbilisi
2021

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“. გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refered and reviewed scientific journal „Ecinimics and Finance“ published by the decision of Georgian Technical University's Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ

The magazine has been published since 2018, four times a year

გამომცემლობა: „დანი“

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა და ფინანსები"

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა
ჟურნალის მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:
ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმიის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (სტუ), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ), ო. ზუმბურიძე (სტუ)

International Scientific Journal "Economics and Finance"

Head of the editorial board of Journal: Giorgi Tsaava
Editor-in-Chief of Journal: Davit Chakhvashvili

Editorial board of Journal:
L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), A. Kutateladze (GTU), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU), O. Zumburidze (GTU)

ს ა რ ჩ ე ვ ი

გიორგი ცაავა, ვალერი მოსიშვილი, რატი ბურდიაშვილი - დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და საგადასახადი სისტემის სრულყოფის პრობლემატიკა 6

ქეთევან შენგელია - სახელმწიფოს როლი ეკონომიკის ანტიკრიზისულ მართვაში პანდემიის პირობებში 25

ანა ტატიშვილი, გიორგი ცაავა - ბანკების ოპერაციების მართვის ძირითადი მეთოდები და საბანკო პორტფელის მართვის ხაზობრივი პროგრამირების ავტორისეული მოდელი 38

ანი ბიბილური - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციის საქმიანობაში 50

ანა პოღოსიანი, ვალერი მოსიაშვილი - მწვანე ეკონომიკა და მწვანე დასაქმება - თანამედროვეობს აქტუალური პრობლემა 68

ნანა გულკაშვლი - ბლოკჩეინი მისი არსი და სტრუქტურა 77

ლელა ბაქრაძე, ელა სხირტლაძე - სოციალური სტერეოტიპების და COVID-19 გავლენა ოჯახურ ძალადობაზე 84

ანა მაზმიშვილი - კრიზისები და მათი გავლენა ტურიზმის ბიზნესზე 94

ილია კოჟორიძე, გიორგი ცაავა - კიბერ დაზღვევის ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები 101

იაკობ იაჟიან, დავით ჩახვაშვილი - HR ტექნოლოგიები როგორც კორპორატიული კულტურის განვითარების ინსტრუმენტები 110

ინგა გიგაური, იულია თედეევი - მრეწველობის განვითარების პარადიგმები და საქართველო გლობალურ ეკონომიკურ ჭრილში 125

ლიკა ხურციძე - HR სტრატეგია პანდემიის პერიოდში 139

ანა ალფაიძე, ვალერი მოსიაშვილი - მწვანე ინვესტიციები და მცირე ბიზნესი 147

ია მახარაძე - კითხვა, აუდიო-ვიდეო თხრობა ციფრულ სამყაროში - ინოვაციური ჟურნალისტიკა 163

Contents

Giorgi Tsaava, Valeri Mosiashvili, Rati Burdiashvili - Value Added Tax (VAT) - Problems of economic feasibility and improvement of the tax system 6

Ketevan Shengelia - The Role of the State in the Anti-Crisis Management of the Economy In a pandemic 25

Ana Tatishvili, Giorgi Tsaava - Basic methods of management of bank operations 38

Ani Bibiluri - The role and importance of internal audit of the quality management system in the activities of the organization 50

Ann Pogosiani, Valeri Mosiashvili - Green economy and Green employment – urgent problems of the modern world 68

Nana Gulkashvl - Blocking his essence and structure 77

Lela Bakradze, Ela Skhirtladze - The implications of social stereotypes and COVID-19 on domestic violence 84

Ana Mazmishvili - Crises & its impact on the tourism business 94

Ilia Kozhoridze, Giorgi Tsaava - Cyber Insurance Market and it's Development Tendencies 101

Iakob Iazhian, Davit Chakhvashvili - HR technologies as tools for the development of corporate culture 110

Inga Gigauri, Yulia Tedeev - Industrial development paradigms andGeorgia in the global economic context 125

Lika Khurtsidze - HR strategy during a pandemic 139

Ana Alpaidze, Valeri Mosiashvili - Green Investments and Small Business 147

Ia Makharadze - Reading, Audio-Video Narration in the Digital World - Innovative Journalism 163

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და საგადასახადო სისტემის სრულყოფის პრობლემატიკა

Value Added Tax (VAT) Problems of economic feasibility and improvement of the tax system

გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Giorgi Tsaava - Georgian Technical University
tsaavagiorgi11@gtu.ge
ვალერი მოსიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Valeri Mosiashvili - Georgian Technical University
mosiashvilivaleri11@gtu.ge
რატი ბურდიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტრტის
Rati Burdiashvili - Georgian Technical University
rati_burdiashvili@gtu.ge

რეზიუმე: ნაშრომში გამოკვლეულია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) როგორც საგადასახადო ადმინისტრირების ობიექტი, მითითებულია, რომ დღგ-ს კონცეფცია შემუშავებული და საჯაროდ წარმოდგენილი იყო ფ. ვან სიმენსონის მიერ (1918 წელი) ბრუნვიდან (გაყიდვებიდან) გადასახადის დაბეგვრის ალტერნატივის სახით, აღნიშნულია, რომ იგი ირიბი ხასიათის გადასახადია, ოფიციალურად გადასახადგადამხდელებს წარმოადგენენ გამყიდველები, მაგრამ გადასახადის გადახდილი თანხა გადაიტანება პროდუქციის ღირებულებაზე, ამიტომ ფაქტიურად გადასახადგადამხდელებად გამოდიან მყიდველები. შესწავლილია საგადასახადო ადმინისტრირების სისტემაში გღგ-ს ფისკალური პოლიტიკოს შეფასებისადმი საკითხები, ჩამოყალიბებულია საგადასახადო კანონმდებლობის გარღვევების აღმოფხვრისათვის დღგ-ს თანხების ანაზღაურების, ჩათვლისა და დაბრუნების საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმი, შეთავაზებულია დღგ-ს საგადასახადო ადმინისტრირების ციფრული მოდერნიზაციის მიმართულებები, აღნიშნულია, რომ დღევანდელი მდგომარეობით დღგ-ს გადასახადი დანერგილია ყველა კონტინენტზე და იგი გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოს 160 ქვეყანაზე მეტში, თუმცა უშუალოდ აშშ-ში და

იაპონიაში იგი დღემდე არ არის დანერგილი, სადაც თვლიან, რომ აღნიშნული გადასახადი საბოლოო ჯამში აკავებს მოხმარებას და ასტიმულირებს ეკონომიას (ეკონომიკაში დანაზოგების მოცულობის გადიდებას) და მის მაგივრად იყენებენ გაყიდვებიდან გადასახადს, მათი საგადასახადო სისტემებიც საკმაოდ ეფექტურებად და წარმატებულებად ითვლებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე შეთავაზებულია კომპლექსური სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიისა და ანალიზის აუცილებლობის შესახებ დღგ-ს შესაძლო მოდერნიზაციასთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: გადასახადი, საგადასახადი დაგეგმვა, ორმაგი გადასადდაბეგვრა, საგადასახადო ბაზა, გადასახადების გადახდის წყაროები, გადასახადდაბეგვრის სისტემა, გადასახადებისაგან თავის არიდება.

Key words: tax, tax planning, double taxation, basis of assessment, tax pay sources, tax low, tax evasion.

ძირითადი ტექსტი: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) როგორც საგადასახადო ადმინისტრირების ობიექტის გამოკვლევა: მიუხედავად იმისა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდის გაანგარიშების, კონტროლისა და გამჭვირვალობის სიმარტივე, ასევე გადახდისაგან თავის არიდების მაღალი სირთულე, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიერ აღიარებულს და აქტუალური სამეურნეო პრაქტიკით დადასტურებულს წარმოადგენს, დღეისათვის დღგ-ს საგდასახადო ადმინისტრირების შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ აქტიური მეცნიერული დისკუსია გრძელდება (1).

დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს (დღგ) თანამედროვე სამეურნეო სუბიექტების გადასახადდაბეგვრის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი სახელწოდება გამოხატავს მის პრაქტიკული გამოყენების არსს, რომელიც ნედლეულიდან - მზა პროდუქციამდე წარმოების თითოეულ ეტაპზე შექმნადი პროდუქტის დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ამოღებაში მდგომარეობს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ,

ტერმინი „დამატებული ღირებულება“ წარმოება-განაწილებითი ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე საქონელის და მომსახურების საქონელის ღირებულებას (მათი წინამორბედი ან შესასყიდ ღირებულებასთან შედარების მიხედვით) გადიდებას მიეკუთვნება.

თითოეული საქონელი საერთო ჯაჭვის მეშვეობით გაერთიანებული წარმოებისა და განაწილების სხვადასხვა ეტაპებს გადის, მანამ სანამ იგი საბოლოო მომხმარებელს მიაღწევს. ზოგიერთი დამატებითი ფასეულობა აღნიშნული ჯაჭვის თითოეულ რგოლში დაემატება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღგ - არის გადასახადი ღირებულებაზე, რომელიც წარმოება-განაწილების ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე დაემატება. სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ იმის შესახებ, რომ დღგ - არის გადასახადი მოხმარებაზე, რამდენადაც იგი, საბოლოო ჯამში, გადაიტანება საბოლოო მომხმარებელზე (მზა პროდუქციის ღირებულებაში ჩაირთვება).

იმავე დროს დღგ წარმოადგენს ირიბ გადასახადს, რამდენადაც მისი გადასადგადამხდელებად გამოდიან სამეწარმეო სტრუქტურები (მწარმოებლები და გამყიდველები). აქვე ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ **ირიბი გადასახადები (აქციზები, დამატებული ღირებულების გადასახადი - დღგ) „სოციალურად ყველაზე არასამართლებრივებს“ წარმოადგენენ**, რამდენადაც ისინი საგადასახადო ზეწოლას მთლიანად მოსახლეობაზე ერთნაირი ხარისხით ახდენენ, მაგრამ შედარებითი მნიშვნელობით ყველაზე ძლიერად მაინც დაბალშემოსავლიან პირებზე ზემოქმედებენ (2,გვ. 24). ჩვენი მოსაზრებით დღგ-ს გადასახადმა პროდუქციის საბოლოო ფასის **„უკონტროლოდ გადიდების (ანუ „საპნის ბუშტივით გაბერვის“) შესაძლებლობა ჩამოაყალიბა“** და აღნიშნულიდან გამომდინარე ბოლო პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფასობრივად მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა, ხოლო მათი რეალური მოცულობა კი თითქმის უცვლელი რჩება (ის რისი შეძენა წინა საუკუნის 60 – 90-იან წლებში 10 დლარად იყო შესაძლებელი, დღეს უკვე პირობითად 100 დოლარი და მეტი ღირს). სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დღგ

შეიკრიბება დაწილადებურად ანარიცხების სისტემის მეშვეობით, რომლის შესაბამისად გადასახადგადამხდელებს შეუძლიათ დღგ-ს მიხედვით თავიანთი ვალდებულებებიდან გადასახადის ის თანხა გამოქვითონ, რომელიც მათ პროდუქტის შესყიდვისას დასაბეგრი გადასახადი სხვა პირებს საწარმოო-განაწილებითი ჯაჭვის წინა ეტაპის წარმომადგენლებს გადაუხადეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი საწარმოო-განაწილებითი ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე ცალკე ამოიღება შემომავალ გადასახადზე საგადასახადო გამოქვითვის განხორციელებით, რომელიც მათ მიერ წინა ეტაპზეა გადახდილი. სპეციალისტები დღგ-ს განსაზღვრავენ როგორც გადასახადდაბეგვრის მრავალწერტილოვან სისტემას პროდუქციის გაყიდვისას, რომელშიც შემომავალი გადასახადის გადახდაზე (შეძენილ პროდუქციაზე გადახდილ გადასახადზე) საგადასახადო შეღავათი არის გათვალისწინებული.

ზემოთაღნიშნულის რეზიუმირებით, დღგ მოცემულ ნაშრომში განისაზღვრება როგორც გადასახადი, რომელიც ფლობს შემდეგ თავისებურებებს:

- გადასახადის ეტაპობრივად გადახდის პროცესი (ცალცალკე საწარმოო-განაწილებითი ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე) ორმაგი გადასადდაბებგვრის (ერთი და იგივე დამატებულ ღირებულებაზე გადასახდოს გამეორებითად გადახდის) აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევა;
- გადასადდაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს პროდიქტის დამატებული ღირებულება (დამატებითი ღირებულება, შექმნადი საწარმოო-განაწილებითი ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე, რომელიც პროდუქტის ღირებულებას ზრდის მისი შეძენის ღირებულებასთან შედარებით);
- გადასახადდაბეგვრის ირიბი ხასიათი (ოფიციალურად გადასადგადამხელებს წარმოაგენენ გამყიდველები, მაგრამ გადასახადის გადახდილი თანხა გადაიტანება პროდუქციის

ღირებულებაზე, ამიტომ ფაქტიურად გადასახადის გადამხდელებად გამოდიან მყიდველები, ანუ ჩვენ - მოსახლეობა).

როგორც ცნობილია, დღგ-ს კონცეფცია შემუშავებული და საჯაროდ წარმოდგენილი იყო ფ. ვან სიმენსონის (F. Van Siemens) მიერ 1918 წელს გერმანიაში ბრუნვიდან (გაყიდვებიდან) გადასახადის დაბეგვრის ალტერნატივის სახით. საფრანგეთი იყო პიტველი ქვეყანა, რომელმაც აღნიშნული კონცეფციის პრაქტიკაში რეალიზება განახორციელა და მოცემული სისტემის ჰარმონიზაციის ინსტრუმენტის სახით 1954 წელს გადასახადდაბეგვრის თავის სისტემაში დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) შემოიღო. 1967 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (ეეთ) საბჭომ, ბრუნვიდან (გაყიდვებიდან) არსებული გადასახადების შეცვლის ინტერესებში დღგ-ს ფართედ გამოყენებისათვის და ეეთ-ის წევრების საერთო საგადასახადო სისტემით შკვრისათვის, შსაბამისი დირექტივები გამოსცა.

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (ეეთ) საბჭომ ასევე გამოთქვა იმედი იმაზე, რომ ახალი სისტემა გაზრდის საგარეო ვაჭრობას, რომელსაც ბრუნვიდან (გაყიდვებიდან) გადასადდაბეგვრის სისტემის რეგულირების კომპლექსური პრაქტიკა ეწინააღმდეგება. აღნიშნული დირექტივის შემდეგ ეეთ-ის საზღვრებს გარეთ ქვეყნებმა, ისეთებმა როგორებიცაა ავსტრია, შვეცია, ბრაზილია, საბერძნეთი და პერუ, ასვე შემოიღეს დღგ, ან დამატებითის სახით, ან ალტერნატიური (გაყიდვებიდან გადასახდადის შემცვლელის) გადასახადის სახით.

შემდგომში მიახლოებით 160 ქვეყანამ, პაკისტანის ჩათვლით 1990 წელს, ბანგლადეშმა 1991 წელს, რუსეთის ფედერაციამ 1992 წელს, საქართველომ 1992 წელს, შრი-ლანკამ 1995 წელს, ჩინეთმა 1994 წელს და ნეპალმა 2000 წელს, შემოიღეს დღგ. განვითარებულმა ქვეყნებმა, ისეთებმა როგორიცაა ავსტრალია, კანადა, ევრიპული

კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ა.შ. , ასევე დღგ-ს შემოღების მეშვეოით, თავიანთი გადასახადაბეგვრის სისტემის მოდერნიზირება განახორციელეს. ამასთან ერთად **აშშ-მა და იაპონიამ დანერგვაზე უარი განაცხადეს, იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული გადასახადი საბოლოო ჯამში მოხმარებას ამუხრიჭებს და ეკონომიას (ეკონომიკაში დანაზოგების მოცულობის გადიდებას) ასტიმულირებს.**

თანამედროვე პერიოდში (2018 წ.) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) ყველა კონტინენტებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონით დამახასიათებელი მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებშია დანერგილი.

გარკვეული სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დღგ წარმოიშვა როგორც გაყიდვებიდან ადრე გამოყენებადი გადასახადის უფრო ოპტიმალური ალტერნატივა. ცნობილია, რომ დღგ -ს დანერგვამდე გაყიდვებიდან გადასახადი გამოიყენებოდა, რომელიც ასევე ირიბ გადასახად წარმოადგენდა, და რომლის გადახდის მიხედვით შემოსულობები მსოფლიოს ყველა სახელმწიფოების შემოსავლების თითქმის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ. სხვადასვა სახელმწიფოების ერთი და იგივე საქონელის გაყიდვებიდან გადასახადის განაკვეთებში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიმჩნეოდა. მრავალ ქვეყნებში როგორც შემოსულობეი (მიწოდებები), ასევე გამოსავლებიც (გასაღება) იბეგრებოდა გადასახადით, რომელიც კასკადურ ეფექტს ქმნიდა (ორმაგ გადასახადდაბეგვრას იწვევდა), რაც გაყიდვებიდან გადასახადის არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენს.

დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი (დღგ) მიმართულია გაყიდვების შესახებ საგადასახადო კანონების ტრადიციული სისტემის რადიკალურ რეფორმაზეა მიმართული, რომელიც ორმაგი გადასადდაბეგვრის ნეგატიურ შედეგებთან იყო აღქმული. დღგ წარმოადგენს ყველაზე დივერსიფიცირებულს და მარტივს, ასევე ირიბი გადასახადდაბეგვრის გამჭვირვალე სისტემას არსებული საგადასახადო სტრუქტურის დამახინჯების გარეშე საგადასახადო

შემონატანების გადიდებისათვის ჩაშენებული სისტემებით. დღგ-ს სისტემას გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობის აღმოფხვრაში უნიკალური თავისებურება გააჩნია.

დღგ უფრო მოხერხებულია გადასახადგადამხდელებისათვის, ვიდრე გაყიდვებიდან გადასახადის ჩვეულებრივ სისტემას. იგი გადასახადგადამხდელებზე ზეზომიერ ზეწოლას არ ახდენს, ანუ დამატებით საგადასახადო ტვირთს არ ქმნის. დღგ ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და გაფურჩქვნისათვის არის აუცილებელი. დღგ - არის გაყიდვებიდან გადასახადის ჩვეულებრივი რეჟიმიდან არა უბრალო შეცვლა, არამედ იგი არის - ბიზნეს-სტრატეგიებში ცვლილება, რომელიც გამოყენებად ბიზნეს-მოდელებზე - მაგალითად, შესყიდვების პოლიტიკაზე, მომწოდებლების ჯაჭვზე, განაწილების პოლიტიკაზე, გასაღებისა და მარკეტინგის სტრატეგიებზე ახორციელებს ზეგავლენას.

ცალკეული ავტორები თვლიან, რომ მსოფლიოს ქვეყნებში დღგ-ს შემოღების დასაბუთება გახდა - გაყიდვებიდან გადასახადის არაეფექტიანობა და მის შეცვლაში იძულებითი მოთხოვნილება. გაყიდვებიდან გადასახადის სისტემაში, მანამ სანამ პროდუქცია იქნება წარმოებული, დასაწყისში შემომავალი მოწოდებები (ნედლეული, მასალები და ა.ს.) იბეგრება გადასახადით, შემდეგ კი იმის შემდეგ, როგორც საქონელი შემომავალი საგადასახადო დატვირთვით იქნება გამოშვებული, შემოსასვლელში იგი გადასახადით თავიდან იქნება დაბეგრილი. აღნიშნულს არასამართლებრივ ორმაგ გადასახადდაბეგვრისაკენ მივყავართ კასკადური ეფექტით.

გარდა ამისა, დღგ-ს დანერგვამდე ზოგიერთ ქვეყნებში მრავალი გადასახადი არსებობდა, ბრუნვიდან გადასახადის, გაყიდვებიდან გადასახადზე დამატების, დამატებითი დამატების და ა.შ. ჩათვლით. დღგ-ს შემოღებით აღნიშნული დამატებითი (და ხშირად ერთმათის მადუბლირებელი) გადასახადები იქნა გაუქმებული. ტრადიციული (დღგ-მდე) გადასახადდაბეგვრის

სისტემა სხვადასხვა გადასახადების სიმრავლისა და მათი შესაბამისი საგადასახადო განაკვეთების, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების გადაკვეთადობისა და წინააღმდეგიობრიობის, განაკვეთების მაღალი დონის, დამატებული ღირებულებისას შემოსავლების დაკარგვის, ასევე სახელმწიფოებს შორის „საგადასახადო განაკვეთებზე ომის (ან კონკურენციის)“ გამო იყო ძლიან რთული.

ნათელია, რომ გადასახადდაბეგვრის ახალი სისტემა გახდა საჭირო, და დღგ ბოლო ოთხ ათწლეულში გახდა მთელ სამყაროში შიდა მოხმარების გადასახადდაბეგვრის ძირითადი ინსტრუმენტი. თანამედროვე პერიოდში დღგ 160 ქვეყანაზე მეტში გამოიყენება. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ძირითადი უპირატესობები შეიძლება ჩამოყალიბებული იქნას როგორც ნეიტრალურობის, გამჭვირვალობის, დაჯერებადობის და თვითდაცვის პრინციპი.

საგადასახადო ადმინისტრირების სისტემაში დღგ-ს ფისკალური პოტენციალის შეფასებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომები: მსიფლიო სამეცნიერო თანამეგობრობაში დღგ-ს კონცეპტუალური განსაკუთრებულობების საფუძველზე და მსოფლიო ქვრყნების მთავრობებს შორის მოცემული გადასახადის პრაქტიკული რეალიზაციის დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე მიღებულია იგი ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ გადასახადად ჩაითვალოს, რომელიც მაღალეფექტიანი საგადასახადო სისტემის განუყოფელ შემადგენელს წარმოადგენს. **მაგრამ, დღგ მსოფლიოს არა ყველა თანამედროვე ქვეყნებში გამოიყენება. მაგალითად, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და იაპონია მის მაგივრად გაყიდვებიდან გადასახადს იყენებენ, და მათი საგადასახადო სისტემები საკმაოდ ეფექტურებად და წარმატებულებად ითვლებიან (1).**

რუსეთშიც 2004 წლამდე გაყიდვებიდან გადასახადი მოქმედებდა და დღევანდელ დრომდეც გაყიდვებიდან გადასახადის

- ან დამატებითის სახით, ან დღგ-ს შეცვლის სახით - შმოღების შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსია გრძელდება. ბიზნეს-სტრუქტურების მოსაზრების მიხედვით თანამედროვე ქვეყნების (მათ შორის საქართველოსიც) საგადასახადო სისტემა საკმაოდ რთულს და წინაარმდეგობრივს (გადასახადდაბეგვრა ქვეყნის რეალურ სექტორში ინვესტიციებს აფერხებს), ხოლო საგდასახადო წნეხი მაღალს წარმოადგენს.

აღნიშნულისადმი დამატებით, გადასახადდაბეგვრა ხშირად შრომისადმი სტიმულირებას აფერხებს და ქვეყნებში მოსახლეობის დასაქმების დონის მიხედვით მონაცემები საკმაოდ არასასურველია. **დღგ-ს მიმართ ალტერნატივების არსებობა, მაგალითისათვის, გაყიდვებიდან გადასახადი (დღგ-ს შეცვლის შესაძლებლობას იძლევა) და სხვა პირდაპირი და ირიბი გადასახადები (გაყიდვებიდან და დღგ-ს გადასახადისაგან სრულად უარის თქმის შესაძლებლობას იძლევა) მოცემული გადასახადის შემდგომი რეფორმირებისათვის პერსპექტივას იძლევა, სამამულო სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შესასძლებლობებიდან (ცენტრალური ბიუჯეტის შევსებადობიდან) და მოთხოვნილებებიდან (სტრატეგიული მიზნებიდან და განვითარების პრიორიტეტებიდან) გამომდინარე.**

აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ეკონომიკური მიზანშწონილობისა და უპირატესობების განმსაზღვრელი კომპლექსური სამეცნიერო-პრაქტიკული ანალიზის განხორციელების აუცილებლობა არის საჭირი თანამედროვე ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის რეგულირებაში.

უფრო დეტალურად განვიხილოთ დღგ-ს შენარჩუნების სასარგებლოდ არგუმენტები, რომლებიც მის ეკონომიკურ მიზანშწონილობას და უპირატესობას უსვამენ ხაზს სამამულო საბაზრო ეკონომიკის გამოყოფილი თავისებურებების გათვალისწინებით. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას ჩრდილოვანი ეკონომიკის შედარებით მაღალი დონე წარმოადგენს, რომლის მიმართ ბრძოლა მისი ინსტიტუციონალიზმის მაღალი ხარისხით გაძნელებულია.

ამიტომ, მრავალი გადასახადების ფისკალური პოლიტიკის გაშლა (მაგალითისათვის, ფიზიკური პირების შემოსავლებზე გადასახადი და მოგებაზე გადასახადი) შეზღუდულია ოფიციალური (არა ჩარდილოვანი) ეკონომიკის ზღვრებით. ამ მიმართულებით დღგ უნიკალურ გადასახადს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შემცირებას უწყობს ხელს, რამდენადაც დღგ-ს გადახდისაგან თავის არიდება განსაკუთრებით გაძნელებულია. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ დღგ დამატებული ღირებულების ყველა ჯაჭვიდან ამოიღება, და წინა ეტაპებზე დღგ-ს გადახდისაგან თავის არიდების შემთხვევაში, დღგ-ის მთლიანი თანხის გადახდასთან მიმართებაში ყველა ვალდებულებები საბოლოო მომხმარებელზე გადადის.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბიზნესი ასეთი დიდი ხარჯების გაღებაში არ არის დაინტერესებული (მაგრამ ჩვენი მხრიდან ვსვამთ კითხვას თუ სამდენად მართებულია აღნიშნული ბიზნესისათვის მძიმე ხარჯების გადახდაზე უშუალოდ ბოლო მომხმარებელი დავალდებული?), რამდენადაც მათი ანაზღაურებისათვის იგი იძულებული იქნება გაზარდოს ფასები კონკურენტებთან შედარებით (გაზრდილი ფასები საბოლოო მომხმარებლისათვის რატომ გახადეს დასაშვები?). შედეგად იგი დაკარგავს კონკურენტუნარიანობას და გავა ბაზრიდან. დამატებული ღირებულების სამეურნეო ოპერაციის ჩრდილოვანი ჯაჭვის პირველიდან ბოლო ეტაპამდე მთლიანად აგება თანმედროვე ეკონომიკის აღნიშნული სამეურნეო ოპერაციების დიდ ხანგრძლივობასთან დაკავშირებული სხვა თავისებურებით გართულებულია.

მნიშვნელოვან უპირატესობას აღნიშნულთან მიმართებაში დღგ-სი წარმოადგენს ის, რომ იგი **გარანტირებულად არანულოვანს**

წარმოადგენს. ნულოვანი ან დადაბლებული საგადასახადო მოსაკრებლების პრობლემა მწვავედ ვლინდება მოგებაზე გადასახადის პრაქტიკაში (ჩვენი მოსაზრებით, რატომ არ შეიძლება განხილული იქნას მოგების გადასახადის დიფერენცირებული 20-30-40% პროცენტიანი განაკვეთების დადგენის შესაძლებლობა, თუ მეურნე სუბიექტების უმეტესობა ქვეყნის ურბანულად განვითარებულ ქალაქებში ფუნქციონირებენ და სახელმწიფოს მიერ კაპიტალდაბანდებული საყოფაცხოვრებო და კომუნალური ობიექტების გამოყენებას ახორციელებენ. ასევე არ არის შესაძლებელი მოგების განულების „უსამართლობის“ აღმოფხვრა, თუნდაც სიმძლავრეების მქონე და ურბანულად განვითარებულ ქალაქებშო მომუშავე მეურნე სუბიექტებისათვის „მისაღები მოგების ნორმის დაკანონება“ და მისი ე.წ „ნულოვან დონედ“ აღსრულების აუცილებლობა). მის საპირისპიროდ, დღგ საწარმოს ფინანსური საქმიანობის ფინანსურ შედეგზე არ არის დამოკიდებული, და მხოლოდ მისი გაყიდვების მოცულობით და ღირებულებით განისაზღვრება. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა დღგ-ს ფისკალური პოტენციალის უფრო სრულად რეალიზებასთან მიმართებაში, რაც მას სხვა გადასახადებიდან სარგებლიანად განასხვავებს.

დამატებული ღირებულების გრძელი ჯაჭვები სახელმწიფოსათვის არა მარტო გადასახადების მიხედვით მოსაკრებლების შეგროვებას და ცენტრალური ბიუჯეტის შევსებას უზრუნველყოფენ, არამედ ეკონომიკაში სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას და მაღალი საქმიანი და საინვესტიციო აქტიურობის მხარდაჭერას უწყობენ ხელს. ამოტომ, ეგრეთ წოდებული „კუმულაციური ეფექტი“, რომელიც გაყიდვებიდან გადასახადისას (როგორც დღგ-ს ალტერნატივა) წარმოიშობა და გაყიდვების თითოეული ფაქტისას დამატებული ღირებულების ჯაჭვის მიმართებაში საქონელის გადაადგილების ზომიერების მიხედვით მრავალ გადასახადდაბეგვრასთან არის

დაკავშირებული, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის პოზიციიდან ნეგატიურად განისჯება.

დღგ-ი ერთი და იგივე საქონელის მრავალჯერადი გადასახადდაბეგვრისაგან თავის არიდების შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც იგი დამატებული ღირებულების მთლიანი ჯაჭვისათვის საერთოს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია შემჩნეული იქნას, რომ „კუმულაციური ეფექტი“ ეკონომიკებში, რომლებიც მოგებაზე გადასახადის გამოყენებისას წარმოქმნადი დამატებული ღირებულების შედარებით მოკლე ჯაჭვების არსებობით ხასიათდებიან, არც ისე აშკარად მგრძნობიარეა და სამეურნეო სისტემაზე არც ისეთ ნეგატიურ ეფექტს ავლენენ. თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკაში, პირიქით, მოცემული ეფექტი ძალიან თვალნათლივ ვლინდება და არსებითი უარყოფითი შედეგები გააჩნია.

აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ქვეყანაში საწარმოო-განაწილებითი ციკლი ეკონომიკაში შრომის დაყოფის მაღალი დონის მიზეზით დიდი ხანგრძლივობით ხასიათდება. მაგალითისათვის, ეკონომიკის რეალურ სექტორში წარმოებების უმეტესობა ორგანიზებულია სისტემურად: საწარმოების უმეტესობა აწარმოებენ შუალედურ პროდუქციას, რომელიც ჯამში ასაკრებ წარმოებაში გადადის და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და უცხოეთში ვრცელდება.

აღნიშნულისადმი დამატებით, ქვეყნის რეგიონები სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან. პროდუქციის ერთ რეგიონში წარმოების შემდეგ იგი გასაღებისათვის დანარჩენი რეგიონების მიხედვით ვრცელდება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გასაღების ტრადიციული მოდელი მისი მწარმოებლების მიერ, გასაღებითი ბაზრის გაფართოების ხელშემწყობი ელექტრონული ვაჭრობის განვითარების ზეგავლენის ქვეშ, მრაცალი შუამავლების მოდელში იცვლება.

თანამედროვე ქვეყნებში დამატებული ღირებულების გრძელი ჯაჭვების განმსაზღვრელ ფაქტორებად რეგიონული ეკონმიკის თავისებურებები, სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის ღავუსებურებები, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩამოყალიბების პირობებში ელექტრონული ვაჭრობის განვითარების ტენდენცია გამოდის. რადგანაც მოცემული ფაქტორების ზეგავლენა სტაბილურს წარმოაგენს და უახლეს პერსპექტივაში არ იქნება შეცვლილი, დღგ უპირატესობის მქინე ირიბ გადასახადს წარმოადგენს გაყიდვებიდან გადასახადთან შედარებით. თანამედროვე ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის განსაკუთრებულობის რიცხოვნობას ასევე მიეკუთვნება არასასურველი საქმიანი კლიმატი და ბიზნესის მიერ მოგების მიღებისათვის შეზღუდული შესაძლებლობეი.

ზემოთაღნიშნული გარემოებები მოგებაზე გადასახადის ფისკალური პოტენციალის რეალიზაციის ამაღლებულ სირთულეს განაპირობებს. მის საპირისპიროდ დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული მოცულობის შემონატანების გარანტიას წარმოადგენს, მიხედავად სამეწარმეო საქმიანობის შედეგებისა (ზარალი/მოგება). დღგ-ს უპირატესობას წარმოადგენს ეკონომიკისა და ქვეყნის მშპ-ის მოცულობის ზრდის სცენარებიდან გამომდინარე, ცენტრალურ ბიუჯეტში აღნიშნული გადასახადის მოსაკრებლების შემოსულობების მოცულობის საკმაოდ ზუსტად პროგნოზირებისათვის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე დღგ უზრუნველყოფს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სტაბილურობას.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხების ანაზღაურების, ჩათვლისა და დაბრუნების საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმი საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის აღმოსაფხვრელად: დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადასახადდაბეგვრის მოდელში

გათვალისწინებულია არა მარტო მოსაკრებლების პირდაპირი ნაკადები დღგ-ს მიხედვით (გადასახადგადამხდელებიდან სახელმწიფოსაკენ), არამედ უკუ ნაკადებიც (სახელმწიფოდან გადასახადგადამხდელებისაკენ). მოცემულმა ნაკადებმა შეიძლება დღგ-ს ანაზღაურების, ჩათვლის ან დაბრუნების ფორმები მიიღოს, და მათში მოთხოვნილება გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

უპირველეს ყოვლისა, დღგ-ს, როგორც სხვა გადასახადებისაც გადასახადდაბეგვრა, რთულ დინამიურ საბაზრო გარემოში ხორციელდება, რომლის პირობების ცვლილება შეიძლება გადასახადების გადახდის სფეროში ვალდებულებებზე ზეგავლენას ახდენდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკაში შეიძლება და ხშირად წარმოიქმნება დღგ-ს ზედმეტად ამოღების სიტუაციები, რომელთა შემდგომში დაბრუნება არის გათვალისწინებული.

მეორეს მხრივ, სამეურნეო სუბიექტების (გადასახადგადამხდელების) საგადასახადო პრაქტიკა შეცდომების წარმოქმნას ექვემდებარება. აღნიშნული შეიძლება „ადამიანური ფაქტორის“ ზეგავლენით იყოს გამოწვეული.

მესამე, პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, რომლის დროსაც დღგ-ს მიხედვით საგადასახადო გამოქვითვების თანხა შეიძლება დღგ-ს გადახდის მიხედვით გადასახადგადამხდელის ერთობლივ ვალდებულებებზე მეტი აღმოჩნდეს.

ყველა აღნიშნულ შემთხვევებში დღგ-ს მიხედვით მოსაკრებლების უკუ ნაკადების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა საგადასახადო ადმინისტრირებაზეა დაკისრებული. საბოლოო ჯამში დღგ-ს მიხედვით გადახდების უკუ ნაკადი ხორციელდება, რომელიც დღგ-ს ზედმეტად გადახდილი თანხის ანაზღაურებას, ჩათვლას ან დაბრუნებას ითვალისწინებს.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საგადასახადო ადმინისტრირების ციფრული მოდერნიზაციის მიმართულებები საქართველოში: თანამედროვე პერიოდში უცხოეთის საგადასახადო პრაქტიკაში დღგ-ს გადახდისაგან თავის

არიდების აღმოფხვრის ყველაზე უფრო პოპულარულ პრაქტიკას ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების გამოყენება წარმოადგენს. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება საგადასახადო სისტემების ციფროვიზაციაში მოწმობს იმის შესახებ, რომ იგი დღგ-ს გადასახადდაბეგვრის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, მოცემული გადასახადის გადახდისაგან თავის დაღწევისათვის მიზეზებისა და შესაძლებლობების აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან სამეურნეო სისტემისა და დღგ-ს გადასახადდაბეგვრის სამამულო სპეციფიკის გათვალისწინება სავალდებულოა.

თანამედროვე ქვეყანაში დღგ-ს საგადასახადო ადმინისტრირების მოცემული აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის წარმატებული უცხოური გამოცდილების ადაპტაცია არის შესაძლებელი და სახელმწიფო პროგრამების შესრულების ინტერესებში, დღგ-ს გადახდისაგან თავის არიდების აღმოფხვრისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გადალახვის მიზნით დღგ-ს საგადასახადო ადმინისტრირების ციფრული მოდერნიზაციის შემდეგი სქემა და ღონისძიებები არი შეთავაზებული:

- ონლაინ-სალაროების უწყვეტად მუშაობის უზრუნველყოფა;
- საგადასახადო გამოქვითვების კანონზომიერების შეფასების ავტომატიზაცია;
- სამომხმარებლო კულტურის ცვლილება პროდუქციის მომწოდებლების საგადასახადო დისციპლინისადმი მოთხოვნადობის ამაღლების მხარეს და სხვები.

ამრიგად, წარმოდგენილი სქემა ციკლურს წარმოადგენს, რაც ქვეყნის სახელმწიფო პროგრამების შესრულების ინტერესებში დღგ-ს გადახდისაგან თავის არიდების აღმოფხვრის პროცესის უწყვეტადობას და ჩრდილოვანი ეკონომიკის გადალახვას უზრუნველყოფს. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც მოდერნიზაციის შესაბამისად დღგ-ს გადახდისაგან თავის არიდების

ახალი სქემებიც წარმოიქმნება, რიმელიც სახელმწიფოს მხრიდან ახალი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) - გადახდის გაანგარიშების, კონტროლისა და გამჭვირვალობის სიმარტივე, ასევე გადახდისაგან თავის არიდების მაღალი სირთულე, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიერ აღიარებულია და აქტუალური სამეურნეო პრაქტიკით დადასტურებულს წარმოადგენს, თიმცა დღეისათვის დღგ-ს საგდასახადო ადმინისტრირების შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ აქტიური მეცნიერული დისკუსია გრძელდება.
2. მითითებულია, რომ თითოეული საქონელი კვლავწარმოების საერთო ჯაჭვის ფარგლებში წარმოებისა და განაწილების სხვადასხვა ეტაპებს გადის, მანამ სანამ იგი საბოლოო მომხმარებელს მიაღწევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღგ - არის გადასახადი ღირებულებაზე, რომელიც წარმოება-განაწილების ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე დაემატება. დღგ - არის გადასახადი მოხმარებაზე, რამდენადაც იგი, საბოლოო ჯამში, გადაიტანება მომხმარებელზე (მზა პროდუქციის ღირებულებაში ჩაირთვება).
3. განხილულია, რომ დღგ წარმოადგენს ირიბ გადასახადს, რამდენადაც მისი გადასად გადამხდელებად გამოდიან სამეწარმეო სტრუქტურები (მწარმოებლები და გამყიდველები). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ **ირიბი გადასახადები (აქციზები, დამატებული ღირებულების გადასახადი) „სოციალურად ყველაზე არასამართლებრივებად“ ითვლება**, რამდენადაც ისინი საგადასახადო ზეწოლას მთლიანად მოსახლეობაზე ერთნაირი ხარისხით ახდენენ, მაგრამ

შედარებითი მნიშვნელობით ყველაზე ძლიერად მაინც დაბალშემოსავლიან პირებზე ზემოქმედებენ.

4. მითითებულია, რომ დღგ-ს გადასახადმა პროდუქციის საბოლოო ფასის **„უკონტროლოდ გადიდების (ანუ „საპნის ბუშტივით გაბერვის“) შესაძლებლობა ჩამოაყალიბა“** და აღნიშნულიდან გამომდინარე ბოლო პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფასობრივად მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა, ხოლო მათი რეალური მოცულობა კი თითქმის უცვლელი რჩება.
5. შესწავლილია, რომ თანამედროვე პირობებში დღგ-ს გადასახადი თითქმის ყველა კონტინენზე მსოფლიოს 160 ქვეყანზე მეტმა შემოიღო. ამასთან ერთად **აშშ-მა და იაპონიამ დღგ-ს დანერგვაზე უარი განაცხადეს იმის საფუძველზე, რომ იგი საბოლოო ჯამში მოხმარებას ამუხრიჭებს და ეკონომიას (ეკონომიკაში დანაზოგების მოცულობის გადიდებას) ასტიმულირებს.**
6. აღნიშნულია, რომ ბიზნესი ძირითადად ბიუჯეტის შესავსებად დიდი ხარჯების გაღებაში არ არის დაინტერესებული, მაგრამ ისმება კითხვა თუ რამდენად მართებული იყო აღნიშნული მძიმე ხარჯების გადახდის უშუალოდ ბოლო მომხმარებელზე დაკისრება.
7. მითითებულია, რომ **დღგ-ს მნიშვნელოვან უპირატესობას** წარმოადგენს ის, რომ იგი **გარანტირებულად არანულოვანია** და რომელიც თანამედროვე საბაზრო პირობებში უშუალოდ მწვავედ ვლინდება **მოგებაზე გადასახადის პრაქტიკაში.** თუმცა შესაძლებლად გვესახება მეურნე სუბიექტებისათვის მოგების რეალური სიდიდისა და ბიუჯეტში გადასახადის დადგენის შესაძლებლობა, რამდენადაც ისინი ურბანულად განვითარებულ ადგილებში ფუნქციონირებენ და სახელმწიფოს მიერ კაპიტალდაბანდებული საყოფაცხოვრებო და კომუნალური ობიექტების გამოყენებას ახორციელებენ.

8. მითითებულია, რომ შესაძლებელია ფინანსურ ტრანზაქციებზე (სუბიექტების - ბანკები, რკინიგზის დეპარტამენტი და სხვების აქციებისა და ობლიგაციების მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე და ბირჟებზე განთავსების ოპერაციები) ქვეყნის ფულადი ერთეულის მნიშვნელოვანი ნაწილის „გამოყენება-გაყინვის“ საფასურად (აღნიშნულ გადასახადი ჯ. კეინსისა და ჯ. ტობინის მიერ იყო აღიარებული და მასზე თანამედრივე პირობებში საკმაო დისკუსია მიდის ევროპული კავშირის ქცეყნებში - საფრანგეთი, გერმანია და სხვები) ბიუჯეტში თუნდაც 0,1%-იანი განაკვეთის დადგენა, რაც მისი შევსების მნიშვნელოვანი და უმტკივნეულო წყარო იქნება (3; 4).
9. შეთავაზებულია გულმოდგინედ იქნას შესწავლილი საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების საკითხი თანამედროვე აშშ-ში და იაპონიაში, სადაც დღგ-ს გადასახადი დღესაც არ არის მოქმედებაში შეყვანილი. იქ გაყიდვებიდან გადასახადი ფუნქციონირებს და მათი საგადასახადო სისტემა საკმაოდ ეფექტიანად და წარმატებულად ითვლება. აღნიშნული საკითხის სიღრმისეული და დეტალური კვლევა „დამატებული ღირებულების გადასახადსა“ და „გაყიდვების გადასახადს“ შორის სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., მოსიაშვილი ვ. - ფინანსურ ტრანზაქვიებზე ახალი გადასახადის შემოღების აუცილებლობა. - თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2016, N 4 (4). - გვ. 11
2. Строителева В.А. – Совершенствование системы налогового администрирования НДС в Российской Федерации: диссертация ... кандидата экономических наук: 08.00.10. – «Ростовский государственный экономический университет (РИНХ)», 2020.

3. Глухов В.В., Дольде И.В. – Налоги: Теория и практика: учебное пособие. – Санкт-Петербург, «Социальная литература», 1996. – 285 с.
4. Ковзанадзе И.К. – Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития, 2016. – 272 с., (С. 237 - 242).

სახელმწიფოს როლი ეკონომიკის ანტიკრიზისულ მართვაში პანდემიის პირობებში
The Role of the State in the Anti-Crisis Management of the Economy In a pandemic

ქეთევან შენგელია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
Ketevan Shengelia – Georgian Technical University

ანოტაცია: ხელისუფლების როლი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში პანდემიის პირობებში უმნიშვნელოვანესია. მას აქვს ძირითადი ვალდებულებები: შეუნარჩუნოს საზოგადოებას მშვიდობა, ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები; ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, წარმოების და ექსპორტის ზრდას.

სწორ ანტიკრიზისულ მართვას შეუძლია პრობლემების შერბილება, როგორც მესაკუთრეთა, ისე პერსონალის, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისობაში მოყვანა და ეკონომიკის წონასწორობის შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ეკონომიკური ზრდის საფუძველი ტექნოლოგიურ პროგრესში მდგომარეობს, რომელსაც უნდა ასტიმულირებდეს სახელმწიფო და მსხვილი ბიზნესი საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერით. ტექნოლოგიური განვითარებისათვის საჭიროა დიდი ოდენობით კაპიტალი, რაც მსხვილ კორპორაციებს და მონოპოლიებს გააჩნიათ. თავისუფალი ბაზრის პირობებში კი ტექნოლოგიური პროგრესი არაეფექტიანი იქნება სახელმწიფო რეგულირების გარეშე. უნდა განვითარდეს კვლევები უნივერსიტეტებში და მათ ამისათვის დაფინანსება სჭირდებათ. სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები უნდა გახდეს: კანონის უზენაესობა, წესრიგის დამყარება; დემოკრატიის განვითარება და საკუთრების უფლებების დაცვა.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი პრიორიტეტი უნდა იქნეს: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია; აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საშუალოვადიან პერიოდში მთავარ პრიორიტეტი უნდა გახდეს: ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა; შიდა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრიზისულ სიტუაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული უფლებამოსილებანი. საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გახდეს პრიორიტეტული კერძო ინტერესებთან შედარებით. მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები, რათა მიღწეულ იქნას შიდა გარემოს სტაბილიზაცია, მცირე უსამართლობამ შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. საზოგადოება უნდა ენდობოდეს სამთავრობო ღონისძიებებს და მუდმივად გრძნობდეს მის მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში რყევები გარდაუვალი გახდება.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს როლი, ეკონომიკური კრიზისი, ანტიკრიზისული მართვა, უმუშევრობა, სოციალური პრობლემები.

Annotation: The government's role in pulling the country out of the crisis is critical. It has the main responsibilities in: maintaining peace in society, normal living and working conditions; fostering business growth, attracting investment, increasing productivity and exports.

Proper anti-crisis management can mitigate challenges by aligning the interests of both owners and employees, the public and the state, and by sustaining the long-term balance of the economy..

The source of economic development is technological progress, which should be stimulated by the state and big business with the support of broad sections of society. Technological advancement requires massive amounts of capital owned by large corporations and monopolies. Even in a free market environment, without state regulation, technological progress would be counterproductive. Research in universities should be developed and support is required for this. The fundamental values of the State should be: the rule of law, the establishment of order; the development of democracy and the protection of property rights.

The short-term goal of the Georgian government's economic policy should be: to minimize the losses caused by the Covid-19 pandemic; to recover and ensure rapid economic growth. In the medium term, the ultimate objectives should be: enhancing regional and international competitiveness; facilitating truly sustainable production and exports; promoting domestic and foreign investment.

It is vital to maintain the goodwill of the society and to satisfy their needs. The powers should be clearly dispersed in a crisis situation. Public interests must be granted preference over private interests. Minor injustices will lead to a socioeconomic explosion unless jobs are preserved as much as possible in order to achieve the stability of the internal climate. The public should trust and continually feel the support of government initiatives. Otherwise, fluctuations will become inevitable.

Keywords: role of the state, economic crisis, anti-crisis management, unemployment, social issues.

ძირითადი ტექსტი: თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაჯანსაღებისათვის მნიშვნელოვანია ხელისუფლება, ბიზნესი და საზოგადოება ერთობლივად ახდენდნენ კრიზისული სიტუაციების კოორდინირებას ეფექტიანი შედეგების მისაღებად. კრიზისი საფრთხეს უქმნის ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომ ხელისუფლების როლი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში უმნიშვნელოვანესია. მას აქვს ძირითადი ვალდებულებები: შეუნარჩუნოს საზოგადოებას მშვიდობა, ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები; ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, წარმოების და ექსპორტის ზრდას.

სწორ ანტიკრიზისულ მართვას შეუძლია პრობლემების შერბილება, როგორც მესაკუთრეთა, ისე პერსონალის, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისობაში მოყვანა და ეკონომიკის წონასწორობის შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდისათვის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრიზისულ სიტუაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული უფლებამოსილებანი. საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გახდეს პრიორიტეტული კერძო ინტერესებთან შედარებით. მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები, რათა მიღწეულ იქნას შიდა გარემოს სტაბილიზაცია, მცირე უსამართლობამ შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. საზოგადოება უნდა ენდობოდეს სამთავრობო ღონისძიებებს და მუდმივად გრძნობდეს მის მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში რყევები გარდაუვალი გახდება.

მენეჯმენტის მეცნიერების უძლიერესი წარმომადგენლები ჯ.მეიო და ფ.როტლისბერგელი სამართლიანად ასაბუთებდნენ ანტიკრიზისულ მართვაში ადამიანურ ურთიერთობათა უპირატესობას. მნიშვნელოვანია საზოგადოების თითოეული წევრის

სწორი და ეფექტიანი ინფორმირება არსებული პრობლემების შესახებ, რაშიც დიდი როლი ეკისრებათ პროფესიონალებს.

თანამედროვე პანდემიამ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში გამოიწვია ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური კრიზისი. პრობლემებია საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაში, გართულებულია კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და დაქვეითებულია გადამხდელუნარიანობა. საფინანსო დისბალანსი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, რის გამოც 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა არის ნეგატიური 5%. დარღვეულია ფინანსური და ეკონომიკური წონასწორობა. ეროვნული ვალუტა სულ უფრო მეტად განიცდის დევალვაციას. ეროვნული ბანკი ხარჯავს რეზერვების მნიშვნელოვან რაოდენობას, თუმცა შედეგი უმნიშვნელოა. კრედიტორებს უჭირთ სესხის დაფარვა, რაც ასევე უარყოფითად აისახება კომერციული ბანკების ფუნქციონირებაზე. იზრდება სახელმწიფო საგარეო ვალი და მისმა მოცულობამ 6 მლრდ 143 მლნ შეადგინა 2020 წლის მონაცემებით[1]. ჩვენი გადამხდელუნარიანობა ძირითადად დამოკიდებული იყო საგარეო გადმორიცხვებზე და ტურიზმის სექტორზე, რაც იმთავითვე არასწორი მიდგომა გახლდათ. ტურიზმმა კოლაფსი განიცადა პანდემიის გამო არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში. გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა შემოსავლები, რაც უარყოფითი მულტიპლიკატორის ეფექტით აისახა ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაზე. მთავრობის მიერ დაანონსებული იმპორტის ჩანაცვლების და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პოლიტიკა, საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა.

[1] https://mof.ge/images/File/2020

ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას მივყავართ სოციალურ კრიზისამდე. მწვავდება სიტუაცია საზოგადოებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. საზოგადოება კარგავს ნდობას მთავრობის მიმართ, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს მართვის პროცესებს. სახელმწიფოს შეუძლია უფრო აქტიურად გამოიყენოს ისეთი ბერკეტები, როგორიცაა ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი, პროგრესული გადასახადი და დივიდენდები. საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია რესურსების მობილიზებისთვის, რათა გაიზარდოს სოციალური პაკეტები. როგორც პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ აღნიშნა, სოციალური დახმარების პაკეტები 721 ათასმა მოქალაქემ მიიღო, თუმცა ბევრი დარჩა ამ დახმარების მიღმა. უნდა გავიმყაროთ პოზიციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასევე ადგილობრივ მსხვილ ბიზნესთან.

მწვავდება ორგანიზაციული ურთიერთობები. იწყება კონფლიქტები და უწესრიგობა, რასაც მოხერხებულად იყენებენ ოპოზიციური ძალები. იზრდება უპასუხისმგებლობა და რთულდება სისტემის კონტროლი. სახელმწიფოს როლი ამ მიმართულებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. უნდა აღიკვეთოს ჯანდაცვის სექტორში ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ბიზნესის „პრივილეგიები“ სახელმწიფოს მფარველობაზე. ეკონომიკურ კრიზისთან გასამკლავებლად საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოგვიყვეს 3,5 მილიარდი ლარის ექვივალენტი დოლარში, რომლის განაწილება და განკარვა არ არის გამჭვირვალე პროცესი. შეიმჩნევა ინტერესთა ლობირება, რითაც სარგებლობს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი „ბიზნესი“. ასევე არ არსებობს გამჭვირვალე ინფორმაცია აგვისტოს ომის შემდეგ შემოსული 4 მილიარდი დოლარის განაწილების შესახებ. საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს რა მიზნებით და როგორი პრიორიტეტულობით ხდება განაწილება, ეს კი სამწუხაროდ ბუნდოვანია. უნდა გამოირიცხოს

ლობირება და ნეპოტიზმი. (თუმცა საქართველოში ეს როგორ მოხდება გაურკვეველია).

ეს ყოველივე გადადის ფსიქოლოგიურ კრიზისში. საზოგადოებას მუდმივად უხდება სტრესულ და პანიკურ გარემოში ყოფნა, რასაც ერთვის სოციალური დაუცველობის, გაურკვევლობის შიში.

ანტიკრიზისულ გეგმაში სწორად არის დასახული ვექტორი მცირე მეურნეობათა დაფინანსებისა, რაც სოციალურ მიდგომას წარმოადგენს, თუმცა აქაც გარკვეული ბუნდოვანებაა... ანტიკრიზისული გეგმის სოციალური ნაწილი ეთმობა უმუშევრობის პრობლემას. გაურკვეველია როგორ გარდაიქმნება შრომითი ბაზარი კორონავირუსის კრიზისის ფონზე. სამწუხაროდ დღეისთვის მხოლოდ საარსებო შემწეობის სისტემა გვაქვს, თუმცა უმუშევრობის შემწეობაზე გადასვლა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და არსებული ბიუჯეტის პირობებში თითქმის შეუძლებელი ხდება. მით უმეტეს, დღეისთვის არ ხდება არაფორმალურ სექტორში ჩართულ ადამიანთა აღრიცხვა, რის გამოც ძალიან ხშირად ეს ადამიანები სოციალური უსაფრთხოების სისტემის მიღმა რჩებიან. გართულებულია ბიუროკრატიული პროცედურებიც. რეალურად არ არსებობს ზუსტი მონაცემები შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანების შესახებ, რის გამოც მათი მყისიერი დახმარება გართულებულია.

ასე რომ, ჩვენს ქვეყანას რადიკალური რეფორმები სჭირდება, განსაკუთრებით უმუშევრობის და სიღარიბის შემცირების კუთხით. მართალია მრავალი პოზიტიური რეფორმა განხორციელდა, მაგრამ პრობლემები ისევ რჩება. მთავრობის მიზანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ისევ მიუღწეველი რჩება.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპის თანახმად, კერძო სექტორი გვევლინება ეკონომიკური განვითარების

მთავარ მამოძრავებელ ძალად. ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თავისუფალ განვითარებას და კეთილდღეობას. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ეფექტიანობასთან ერთად უზრუნველყოფს სოციალური უსაფრთხოების გარანტიებს, რაც გულისხმობს ხელმისაწვდომ განათლებას, ჯანდაცვას, საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობის უზრუნველყოფას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ხარისხს, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაზე, საშუალო ხელფასის და საარსებო მინიმუმის თანაფარდობაზე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული მოსახლეობის რაოდენობაზე, სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილზე მთლიან შიდა პროდუქტში, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხზე და სხვა. მათ გაუთვალისწინებლობას უარყოფითი მულტიპლიკაციური ეფექტი მოაქვს ეკონომიკის განვითარებისათვის და ხელს უშლის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ეკოლოგიური და სასურსათო პრობლემები გარკვეული თვალსაზრისით არყევენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. რთული ხდება ეკონომიკური წონასწორობის დაცვა, რაც კიდევ უფრო გაამწვავა თანამედროვე პანდემიამ.

კაცობრიობის განვითარებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულმა ბუნების დეგრადაციამ, მსოფლიოს უთანაბრო განვითარების გაღრმავებამ მოგვიტანა ალბათ დღევანდელი პანდემია, რასაც შეიძლება კაცობრიობისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს. ჩვენ შევქმენით დამახინჯებული სამყარო, დავაბინძურეთ იგი როგორც სულიერად, ასევე ეკოლოგიურად.

საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად დიდი როლი ეკისრება მოცემულ სიტუაციაში რეგიონულ განვითარებას,

რისთვისაც საჭირო ხდება კონკრეტული რეგიონების შედარებითი უპირტესობების დადგენა და პრიორიტეტების სწორად განაწილება.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 -ის მიხედვით მიზნად იყო დასახული შემდეგი მაჩვენებლების მიღწევა:[2] მშპ ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური 13 000 ლარი, დღეისთვის გვაქვს 13 239 ლარი; მშპ ერთ სულ მოსახლეზე მუდმივ ფასებში 9 200 ლარი, დღეისთვის გვაქვს იგივე, რაც ნიშნავს, რომ ინფლაციამ გაზარდა ეს მაჩვენებელი, მუდმივ ფასებში კი მაჩვენებელი უცვლელია თითქმის. ჯინის კოეფიციენტი 0,35-მდე უნდა შემცირებულიყო, გვაქვს 0,41; ინფლაცია 3,0 ფარგლებში უნდა ყოფილიყო, გვაქვს 5,2%; უმუშევრობა 12%-ზე ნაკლები იყო დაგეგმილი, გვაქვს 17,6% ; ექსპორტის წილი მშპ-ში 65%-მდე უნდა გაზრდილიყო; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილის შემცირება მშპ-ში 6% -მდე იყო დაგეგმილი, გვაქვს 9,1%-ზე მეტი; სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან 40%-ზე უნდა ჩამოსულიყო, თუმცა <u>გვაქვს 59,9 %.</u>

ეს პრობლემები სხვა მიზეზებთან ერთად კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა შექმნა ძირითადად და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს.

2020 წლის ბიუჯეტის მხოლოდ საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 1.3 მლრდ ლარით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დამატებითმა საჭიროებებმა 1.6 მლრდ ლარს მიაღწია. საერთო ჯამში, 2020 წლის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 9.1%-მდე გაიზარდა.

მთავრობის მიერ განხორციელდა საერთაშორისო დახმარების სწრაფი მობილიზება და 1.7 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით. ეს რესურსები მიმართული იყო შემცირებული საბიუჯეტო

[2] https://napr.gov.ge/source

შემოსავლების და ანტიკრიზისული ხარჯების დასაფინანსებლად, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ვალის მშპ-სთან მიმართებით ზრდა 59.9%-მდე. ეს კრიტიკული ნიშნულია. მთავრობა ცდილობს ვალის მაჩვენებელი მომდევნო წლებში არ აღემატებოდეს 40%-ს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2021 წლისთვის საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდება პოზიტიურ დინამიკას და ზრდა იქნება 4.3%. ამისათვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი პრიორიტეტი იქნება: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია; აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საშუალოვადიან პერიოდში მთავარ პრიორიტეტად დარჩება: ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა; შიდა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა.

2020 წელს, მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 330 943 ერთეული შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობამ - 146 619. რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი რეგისტრირებული ოჯახი თბილისში დაფიქსირდა და 63.1 ათასი შეადგინა, მიმღებთა რაოდენობა კი 32.7 ათასით განისაზღვრა. სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა საერთო რიცხოვნობამ 174 612 შეადგინა, საიდანაც 35.0 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო 65.0 პროცენტს - მამაკაცები. სოციალური პაკეტის მიმღებთაგან 72.5 პროცენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ, 12.6 პროცენტს - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები, 8.9 პროცენტს - ომის მონაწილეები, 5.7 პროცენტს -

სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები, ხოლო 0.3 პროცენტს - სხვა სახის სოციალური პაკეტის მიმღები პირები. [3]

პანდემიისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB" დონეზე უცვლელი დატოვა.[4]

ცნობილია, რომ 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში „Fitch"-მა შეამცირა სომხეთის საკრედიტო რეიტინგი, ხოლო სლოვაკეთის, ბელარუსისა და ლატვიის შემთხვევაში, შეამცირა რეიტინგის პერსპექტივა. სარეიტინგო კომპანიის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს 4.3 პროცენტით, ხოლო 2022 წელს 5.8 პროცენტით გაიზრდება. ეკონომიკის აღდგენა და მთავრობის მიერ გაცხადებული ვალდებულება, უზრუნველყოს 2024 წლისთვის მშპ-ის 3.0%-ზე ნაკლები დეფიციტის მიღწევა, ხელს შეუწყობს საშუალოვადიან პერიოდში ვალის დონის შემცირებას.

პროგნოზი დამაიმედებელია, მაგრამ მისი მიღწევა მხოლოდ სამთავრობო ძალისხმევით გართულდება. აუცილებელია მსხვილი ბიზნესის აქტიური ჩართვა აღნიშნულ პროცესებში. მით უმეტეს საქართველოს ყავდა ცნობილი მეცენატები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ ხელმოკლე ოჯახთა დასახმარებლად. სარაჯიშვილების, ზუბალაშვილების და სხვების ქველმოქმედება მაგალითი უნდა იყოს თანამედროვე ბიზნესმენებისთვის. მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენა სწორედ ახლა არის საჭირო.

---

[3] https://www.geostat.ge/media/36401
[4] http://gov.ge/index.php

ზუბალაშვილთა სხვადასხვა თაობამ თავისი საქმიანობით დაგვანახეს ნიჭიერება, ენერგიულობა და სასარგებლო ქმედებები. ქველმოქმედი ძმების ხელშეწყობით მრავალმა ადამიანმა მიიღო განათლება. მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე ჯანელიძე, სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე ფაღავა, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი და სხვები.

ასევე დიდი მეცენატი იყო დავით სარაჯიშვლი. მისი თანამემამულენი ამტკიცებდნენ, რომ სიმდიდრე მისი მსახური იყო და არა ბატონი. მან პირველმა კავკასიაში დაიწყო საკონიაკე სპირტის ფრანგული ტექნოლოგიით გამოხდა და მუხის კასრებში დაძველება. იგი კონიაკის წარმოების პიონერი და ფუძემდებელი იყო. დავითის ხელშეწყობით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება საზღვარგარეთ: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, პროფესორები სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, სარგის კაკაბაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ილია ყიფშიძე, შემდგომში კათალიკოს- პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე). ფულად დახმარებას უწევდა აკაკი შანიძეს, დავით კასრაძეს, თედო სახოკიას, გერონტი ქიქოძეს და სხვებს. დავით სარაჯიშვილს კარგად ესმოდა, რომ განათლებული ადამიანები აშენებენ განვითარებულ საზოგადოებას. დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობაში. მისი ოცნება იყო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ცხოვრების პატიოსანი წესი და ის ღირებულებები, რომლებსაც ამკვიდრებდა დიდი ილია და ყველა მათი თანამოაზრენი.

დიდია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი. მან ჭუჭყიანი, წუმპე-ტალახიანი ფოთი გადააქცია უმშვენიერეს ქალაქად, მან აამოძრავა ფოთის სიცოცხლის ძარღვი. თუმცა რანი ვართ ქართველები ძალიან კარგად ჩანს მისი წერილიდან, რომელიც მან დაწერა 1913 წლის მარტში გაზეთ „იმერეთში“: „პასუხისგებაში ვარ მიცემული. ამ გასაჭირში მშველელი არსად ჩანს, თორემ დამწიხვლელი,

უთვალავია. ყოველ ჭინჭრაქას, ყოველ ლაწირაკს და ქვემძრომს შეუძლია მავნოს, თვალდახელშუა სიცრუის თქმითაც...“ მას ბრალად დასდეს ქრთამის აღება, რომელიც არც კი გაუფიქრებია. სასამართლოზე იგი გაამართლეს, თუმცა გული კი ძალიან ატკინეს.

მეცენატები ქველმოქმედებას აგრძელებენ.... სწორედ ასე გადავრჩებით. სახელმწიფოს და ბიზნესის ერთობლივი ძალისხმევით, საზოგადოების მხარდაჭერით იქნება შესაძლებელი იმ პრობლემების დაძლევა, რაც დაგროვდა ამ ხნის განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ. „საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები“. თბილისი, „ინტელექტი“, 2015;

2. სილაგაძე ა. „ეკონომიკური დოქტრინები“. თბილისი, „ინოვაცია - 2012;

3. ქ. შენგელია, „ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში“, ჟურნ. ეკონომიკა, 2017წ. №6.

4. ქ. შენგელია, „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ძირითადი ტენდენციები საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2018 წ.

5. Galbraith J.K. Economics in the Century Ahead. “The Future of Economics.” Oxford, Blackwell, 1992;

6. Porter M.Competitivite Advantages of Nations. “Harvard Business Revieu”, 1990, υ 2;

7. Stiglitz J. The Price Inequality. “W.W. Nortonn & Company”, New York-London, 2012;

8. http://gov.ge/index.php. გადამოწმებულია 20/02/2021.

ბანკების ოპერაციების მართვის ძირითადი მეთოდები და საბანკო პორტფელის მართვის ხაზობრივი პროგრამირების ავტორისეული მოდელი

Basic methods of management of bank operations and author's method of linear programming of bank portfolio management

ანა ტატიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Ana Tatishvili – Ph.D. Candidate of Georgian Technical University
tatishviliana@gtu.ge
გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Giorgi Tsaava – Professor of Georgian Technical University
tsaavagiorgi11@gtu.ge

აბსტრაქტი: აღინიშნულია, რომ კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების იმიტაციური მოდელების გამოყენება საკმაოდ წარმატებულად არის მიჩნეული. აქტიური და პასიური ოპერაციების იმიტაციური მოდელების ნამდვილი ფასეულობა - საბანკო საქმიანობის კვლევის განხორციელების, მისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტალური კანონზომიერებების გამოვლინების შესაძლებლობაში მდგომარეობს. დაკონკრეტებულია, რომ მოდელების ასეთი გამოყენება, საბანკო ამოცანების გადაწყვეტის ემპირიული მეთოდებიდან მკაცრ, მათემატიკურ, მეცნიერულად დასაბუ-თებულ დასკვნებზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა. მითითებულია, რომ აქტიური და პასიური ოპერაციების მოდელების ასეთი გამოყენების რენტაბელობა მყისიერად არ არის მიღწევადი, მაგრამ სწორედ მათი ასეთი გამოყენება კონკურენტულ ბრძოლაში ბანკის სამომავლო წარმატების განმსზღვრელ შესაძლებლობად არის მიჩნეული.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური ინვესტიციები, საბანკო საქმე, საკრედიტო ორგანიზაციები, საბანკო პროდუქტი, საბანკო ინოვაცია, გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა და საქმიანობის ეფექტიანობა.

Abstract: there is noted that application of imitational models of active and passive operations of the bank is considered to be quite successful. Real value of

imitational models of active and passive operations is in realization of investigation of bank's activity, revealing of fundamental regularity characteristic for it. It is concreted that such application of models gives an ability to switch to strict, mathematical, scientifically grounded conclusions from empirical methods of solution of banking problems. It is indicated that profitability of application of such models of active and passive operations cannot be achieved at once, but their such application is considered as defining possibility of future success of the bank in concrete struggle.

Keywords: innovations, innovation investment, banking, credit organizations, banking product, bank innovation, globalization, competitiveness and performance efficiency.

ძირითადი ტექსტი: კომერციული ბანკის ოპერაციების მართვის პირდაპირი და ირიბი მეთოდების საკმარისი რაოდენობა არსებობს. არსებული მეთოდებიდან თითოეულს გამოყენების თავისი სფერო (საკრედიტო მართვა, ხაზინა და სხვა), მომხმარებლებზე ზემოქმედების სპეციფიკა, პრაქტიკაში გამოყენების უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია. ბანკის საქმიანობაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, როგორც წესი, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება. თითოეული სამმართველოს უფროსი, მისი დაქვემდებარებული ქვედანაყოფის ნაკადების ორგანიზაციის პრობლემების, ყველა შესაძლო მექანიზმების გამოყენებას, თავისებურად გადაწყვეტი-საკენ მიისწრაფის. იმავე დროს, ბანკის სტრატეგიული კომიტეტი, ბანკის ქვედანაყოფებში მოქმედი მექანიზმების ერთიან სისტემაში ინტეგრირებისაკენ ავლენს მისწრაფებას. დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის ძირითად მეთოდებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენა და რეალური დროის რეჟიმში ოპერაციების მონაცემების მოდელირების განხორციელება არის საჭირო. ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების ერთიან სისტემაში საკმაოდ ზუსტად და ხარისხობრივად ინტეგრირების ხელშემწყობ ყველაზე მიღებულ

მექანიზმს, ავტორის მოსაზრებით, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს. საბანკო ბიზნესში ადეკვატური მოდელების შექმნის პროცესი რთულ- დება ორი ობიექტურად არსებული ფაქტორის მიხედვით. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ მართვის თვალსაზრისით ბანკი თავისთავად მეტად რთულ ობიექტს წარმოადგენს, რომელიც მრავალი სხვადასვა სისტემებისაგან შედგება, რომელთა შორის სხვადასხვა წარმოშობის კავშირების დიდი რაოდენობა არსებობს. ბანკის საქმიანობა ყალიბდება რიგი ბიზნეს-პროცესებისაგან, რომლებიც არსებითად არიან დამოკიდებულნი მრავალ გარე ფაქტორებზე: საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური. კიბერნეტიკაში ისეთმა ობიექტებმა, როგორიცაა ბანკი - -რთული სისტემების, ხოლო მათი შესწავლის მეთოდებმა - სისტემური ანალიზის სახელწოდება მიიღეს. **ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგები აღნიშნულ სფეროში ოპერაციის - მიდგომის კვლევასთან არის დაკავშირებული, რომელიც მისაღები გადაწყვეტილების შეფასებისათვის რაოდენობრივი მათემატიკური მეთოდების გამოყენებაზეა დაფუძნებული,** მაგრამ რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლევარი ადეკვატურ მათემატიკურ მოდელებს ფლობს, რომლებიც სწორედ საბანკო საქმიანობაში ჯერ-ჯერობით არასაკმარისად არის ჩამოყალიბებული.

მეორე ფაქტორი ვლინდება იმაში, რომ საბანკო საქმიანობაში (განსაკუთრებით საბაზროზე გადასვლის პირობებში) შეუძლებელია მიზანმიმართული ექსპერიმენ-ტების განხორციელება, რომლებიც გიპოთეზის ფორმირების წინმსწრებებია და მისი პრაქტიკაში შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. ანალიტიკოსებში კი პირადი გამოცდილების დაგროვებას თანამედროვე საქართველოსათვის ტიპიური სიტუაცი-ების დინამიური ცვლილება აბრკოლებს.

საბანკო საქმიანობის ძირითადი მიზანია - მოგების

მაქსიმიზაცია. ამასთან, პრაქტიკულად ტოლფასოვან ამოცანას წარმოადგენს ასევე - საბანკო **რისკების მინიმიზაცია.** აღნიშნული ნიშნავს, რომ კომერციული ბანკის პოლიტიკა უნდა იქნას სხვადასხვა სიტუაციების გულმოდგინედ შეფასებისა და იმიტაციის, მოგების სიდიდეზე ზემოქმედი მრავალი ფაქტორის ანალიზის საფუძველზე აგებული. მოცემული ფაქტორები განსაზღვრავენ საბანკო რისკის დონეს და აქედან გამომდინარე, ბანკის ამოცანაა - რისკის მინიმიზირება. **შემოსავლიანობა ბანკის = (შემოსავლიანობა საკრედიტო რესურსების + + შემოსავლიანობა ინვესტიციების):**

შბ = (ჯამი W x სკრს) + (ჯამი W x ფქ)

ანუ: - W – არის რესურსების ხვედრითი წონა;

შბ - არის შემოსავლიანობა ბანკის;

სკრს - არის საკრედიტო რესურსები;

ფქ - არის ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში.

კრედიტორებს და ინვესტორებს საერთო მიზანი გააჩნიათ - მიიღონ შემოსავალი (პროცენტი), როგორც საინვესტიციო ან საკრედიტო საქმიანობის შედეგი. მოგების ნორმის დადაბლებას საბანკო ოპერაციებიდან, კლიენტურის ბაზის შეკვეცასა და ბრუნვების შემცირებას კლიენტების ანგარიშების მიხედვით, მივყავართ იქამდე, რომ ბანკის მოგებასა და მის საოპერაციო დანახარჯებს შორის თანაფარდობა მეტად არასასურველი ხდება. **ამრიგად, იქმნება სიტუაცია, როდესაც ბანკები იძულებულები ხდებიან მოიძიონ დანახარჯების შემცირებისა და რისკების მინიმიზაციის ხერხები. სწორედ აღნიშნული, თავის მხრივ, საქართველოს ბანკებს აიძულებს ფინანსურ ანალიზზე და თავიანთი რესურსებით მართვის მეთოდებზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვლონ.** როგორც პროფესორი ო.ი. ლავრუშინი აღნიშნავს , **უმნიშ-ვნელოვანესი წესი, რემელზეც არის დაფუძნებული რისკის**

პირობებში გადაწყვეტილებების მიღების სტრატეგიები ბიზნესის სფეროში, არის:

1. **რისკი და შემოსავლიანობა იცვლებიან ერთი მიმართულებით: რამდენად უფრო მაღალია შემოსავლიანობა, როგორც წესი, უფრო მაღალია ოპერაციის რისკი.**
2. **თუ ბანკებს უნდათ დამატებითი სახსრები მოიზიდონ, მათ კლიენტებთან უნდა დემონსტრირება მოახდინონ, რომ სრულად ითვალისწინებენ „რისკი--შემოსავლიანობის“ თანაფარდობას.** სწორედ, აღნიშნული თეზისი გამოიყენება, თანამედროვე პერიოდში, რიგ უმსხვილეს უცხოეთის ბანკებში.

კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების საბანკო პორტფელის მართვის ანუ ბალანსის გამჭოლი მართვის იდეა თავის საწყისებს პორტფელის თანამედროვე თეორიაში (portfolio theory) ღებულობს, რომელიც 1950-იანი წლების შუა პერიოდშია შემუშავებული. **პირველი მცდელობები, პორტფელის თანამედროვე თეორიის საბანკო საქმისადმი გამოყენებასთან მიმართებაში, ხორციელდებოდა ხაზობრივი და კვადრატიული მათემატიკური პროგრამირების ფორმაში.** მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელები კლასიკური გაგებით საკმაოდ მწყობრი იყო, ისინი პრაქტიკული გამოყენებისათვის მეტად შეზღუდულები და რთულები აღმოჩნდნენ. მათი მთავარი ფასეულობა მდგომარეობს ბანკის აქტიური და პასიური ოერაციების ბალანსით სრულად მართვაში შეღწევის შესაძლებლობაში. აღნიშნული ხერხი საბანკო პორტფელის მართვის გრაფიკულ ანალიზს იძლევა. იგი სასარგებლოა მსჯელობის სახით იმის გაგებისათვის, თუ როგორ უნდა იქნას საბანკო პორტფელით აქტიური და პასიური ოპერაციებისა და რისკის მართვა განხორციელებული.

პორტფელით მართვის კონცეფციების ილუსტრირება ხაზობრივი პროგრამირების მოდელის მეშვეობით არის შესაძლებელი.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, რეალური გარემოების ორგანზომილებიან ამოცანამდე დაყვანის მიზნით, არნიშნული ამოცანის დასმის საკითხის სერიოზულად გამარტივება გახდა საჭირო. კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების ბალანსი (რომელიც აღნიშნული მრავალრიცხოვანი მუხლების შესაბამისად ცალცალკე ბალანსის ორივე მხარეს ურთიერთდაკავშირებულად დაჯგუფებას და ტოლობას ითვალისწინებს) წარმოვიდგონოთ შემდეგი სახის ავტორისეული გამარტივებულ ფორმაში:

(ფქ + კრ) = (დმ + ვდ + კპ)

სადაც: ფქ - არის ფასიანი ქაღალდები;

კრ - არის კრედიტი;

დმ - არის დეპოზიტები მოთხოვნამდე;

ვდ - არის ვადიანი დეპოზიტები;

კპ - არის კაპიტალი.

მოგება ფასიანი ქაღალდების მიხედვით და მოგება კრედიტების მიხედვით, შესაბამისად, **$მ_{ფქ}$** და **$მ_{კრ}$** აღვნიშნოთ. დანახარჯები, დეპოზიტების მოზიდვასთან მიმართებაში და კაპიტალთან მიმართებაში, ნულის ტოლად მივიღოთ. აქედან, ბანკის შემოსავალი და მოგება (**$მ_ბ$**) შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

$მ_ბ$ = ($მ_{ფქ}$ x ფქ) + ($მ_{კრ}$ x კრ)

ბული შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით (ყველა ციფრი პირობითია):

1) საბალანსო შეზღუდვა: **ფქ + კრ = ან < 100%**
2) ლიკვიდური შეზღუდვა: **ფქ > ან = 0,30% x (ფქ + კრ)** ან **ფქ > ან = 0,43% x კრ**
3) საკრედიტო შეზღუდვა: **კრ > ან = 0,35%**

მიზნობრივი ფუნქციების ოჯახს - დასახული მნიშვნელობებისას: $მ_{კრ}$ = 0,15% და $მ_{ფქ}$ = 0,10% დახრის კუთხე ექნება: $მ_{კრ}$ შეფარდებული $მ_{ფქ}$, ანუ - 1,5-ის ტოლი. საერთო წარმოებულის აღებით შემოსავლის ანუ მოგების ფუნქციიდან **$მ_ბ$ = ($მ_{ფქ}$ x ფქ) + ($მ_{კრ}$ x**

კრ), შეიძლება დავინახოთ, რომ სწორი ხაზის დახრილობა ტოლია: $მ_{კრ}/მ_{ფქ}$; მიზნობრივი ფუნქციების ოჯახი სქემა 1.1-ზეა წარმოდგენილი.

სქემა 1.1. ხაზობრივი პროგრამირების საბანკო ამოცანის შეზღუდვების გრაფიკული წარმოდგენა და დასაშვები გადაწყვეტილებების სფეროები



საჭიროა მიზნობრივი ფუნქციის უმაღლესი მნიშვნელობა იქნას მიღწეული, რომელიც დასაშვები გადაწყვეტილებების სფეროსთან იქნება თავსებადი. მიზნობრივი ფუნქციისა და შესაძლო გადაწყეტილებების სიმრავლის ერთ გრაფიკზე გაერთიანე-ბით, როგორც მითითებულია სქემა 1.2-ზე, მივიღებთ გადაწყვეტილებას

(ფქ, კრ), რომელიც ტოლი იქნება (30%, 70%). ოპტიმალური შემოსავალი (მბნ) იქნება ტოლი:

მბნ = (მკრ x კრ) + (მფქ x ფქ).

ამრიგად, მბნ = (0,15% x 70) + (0,10% x 30) = 13,5%.

სქემა 1.2. ხაზობრივი პროგრამირების საბანკო ამოცანის მიზნობრივი ფუნქციების ოჯახი და გადაწყვეტა



დასახული შეზღუდვებისას, ბანკისათვის შემოსავლის მაქსიმალური სიდიდე 13,5% შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ მკრ > მფქ, გადაწყვეტილების ეფექტური ერთობლიობა განსაზღვრული იქნება **ლიკვიდობის შეზღუდვით**. აქედან გამომდინარე, შემოსავალი რომ გახდეს მაქსიმიზირებული, ლიკვიდობის მიხედვით შეზღუდვების დაურღვევლად (ანუ 0,30 x 100 = 30%), **მცირეშემოსავლიანი აქტივების ყველაზე მცირე შესაძლო თანხა უნდა იქნას ჩასმული.** თუ მკრ < მფქ. მაშინ ახალი გადაწყვეტილება (36, 65) **საკრედიტო შეზღუდვას იქნება დაქვემდებარებული.**

საგადასახადო ეფექტი სარეზერვო მოთხოვნებისადმი შეიძლება ამავე მაგალითზე იქნას დემონსტრირებული. დავუშვათ, რომ ბანკის პასივების ფინანსური სტრუქტურა შემდეგი სახისაა: (დმ + ვდ + კპ) = (50% + 42% + 8%) და რომ დმ და ვდ მიხედვით

სარეზერვო მოთხოვნები ტოლია, შესაბამისად, 10% და 15%. ახალ საბალანსო შეზღუდვას ექნება შემდეგი სახე:

რ + ფქ + კრ = ან < 100%.

ან

ფქ + კრ = ან < 100 - რ

სადაც რეზერვების თანხა რ = (0,10 x 50) + (0,05 x 42) = 7,2 ანუ ბუღალტრულად დავამრგვალოთ და მოხერხებულობისათვის, 7,0-ის ტოლი ავიღოთ. ამ სიტუაციაში, გადაწყვეტილებების ერთობლიობა იქნება (28, 72) და $მ_{ბნ}$ = (0,15% x 72) + (0,10% x 28) = 13,6%. ბანკის მოგების ($მ_{ბნ}$) 13,5%-დან - 13,6%-მდე გადიდება წარმოადგენს ბანკის მიერ გადახდადი არარეალური გადასახადის კომპენსირებას. დადგენილი რეზერვებისას ბანკს შეუძლია ლიკვიდობის მიხედვით თავისი შეზღუდვები შეარბილოს და სახსრების ნაწილი უფრო შემოსავლებიან აქტივებში გადაადგილოს, რომ სარეზერვო მოთხოვნების საგადასახადო ზეწოლა შეიმციროს. მაგალითად, ლიკვიდობის შეზღუდვები შერბილდება 0,2 x (ფქ + კრ), გადაწყვეტილებების ახალი ერთობლიობა ტოლი იქნება (32, 68) და **$მ_{ბნ}$** = (0,15% x 68) + (0,10% x 32) = 13,4%, ანუ საგადასახდო ტვირთი 0,1% შემცირდება.

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. მითითებულია, რომ კომერციული ბანკის ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, ხოლო ამოცანა კი - რისკების მინიმიზაცია. ამასთან, ბანკის ძირითადი მოგება (შემოსავალი) ტოლია ძირითადად საკრედიტო რესურსებიდან შემოსავლიანობას პლიუს ინვესტიციებიდან შემოსავლიანობა.
2. აღნიშნულია, რომ ბანკის აქტივებისა და პასივების ოპერაციების საბანკო პორტფელის მართვის, ანუ ბანკის ბალანსის გამჭოლი მართვის იდეა თავის საწყისებს პორტფელის თანამედროვე თეორიაში ღებულობს, აქედან

გამომდინარე, შეთავაზებულია პორტფელის მართვის ხაზობრივი პროგრამირების მოდელი, სადაც რეალური გარემოების ორგანზო-მილებიან ამოცანამდე დაყვანის მიზნით, ბანკის ბალანსის სერიოზულად გამარტივება გახდა აუცილებელი.

3. დაკონკრეტებულია ბანკის ბალანსის: აქტივებში - ფასიანი ქაღალდებისა და კრედიტების ჯამი, ხოლო პასივებში კი - ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებისა და კაპიტალის ჯამის დატოვების შესაძლებლობა. დეპოზიტებისა და კაპიტალის მოზიდვასთან მიმართებაში, დანახარჯები (მათი სიმცირის გათვალისწინებით) ნულის ტოლად არის მიღებული. აქედან გამომდინარე, მითითებულია, რომ ბანკის მაქსიმალური მოგება (შემოსავლი) ტოლი უნდა იყოს ჯამისა: ფასიანი ქაღალდების მოცულობის ნამრავლი მისი მოგების ნორმატივზე, პლიუს კრედიტების მოცულობის ნამრავლი მისი მოგების ნორმატივზე.
4. შეთავაზებულია პორტფელის ხაზობრივი პროგრამირების საბანკო ამოცანის ბალანსური, ლიკვიდობისა და საკრედიტო შეზღუდვებისა და დასაშვები გადაწყვეტილებების სფეროს თავსებადი მიზნობრივი ფუნქციის გრაფიკული სქემები, რომელთა საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდებისა და კრედიტის მოცულობების შესაბამისად 30 და 70% დადგენის შესაძლებლობასთან მიმართებაში, როდესაც ბანკის ოპტიმალური მოგება (შემოსავლი) 13,5%-ის ტოლია.
5. განხორციელებულია ბანკის რესურსების სარეზერვო მოთხოვნებისადმი საგადასახადო ეფექტის გაანგარიშების სრულყოფა, პასივების ფინანსური სტრუქტურის ცვლილების საფუძველზე რეზერვების რეალური მნიშვნელობის დადგენა და ფასიანი ქაღალდებისა და კრედიტის მოცულობების თანაფარდობის ცვლილებით (35/65 ან 28/72 ან 32/68) საგადასახადო ტვირთის შემცირება.

On the basis of questions examined in the work we can make the following short conclusion:

1. There is indicated that basic purpose of commercial bank is maximization of profit, and basic problem is minimization of risks. Besides, basic profit (income) of the bank equals to earning power from credit resources plus earning power from investments.
2. There is noted that idea of management of bank portfolio of assets and passives operations of the bank, i.e. idea of through management of the bank finds its sources in the modern theory of portfolio, therefore there is offered linear programming model of portfolio management, where for two-dimension problems of real circumstance it became necessary to seriously simplify bank's balance.
3. There is concretized bank balance: in assets – total of credits and securities, and in passives- possibility of leaving of term and total of capital and on demand savings. In connection to attraction of deposits and capital, expenses (considering their minority) are taken as equal to zero. Therefore, it is indicated that maximal profit of the bank (income) shall be equal to the total: product of volume of securities by normative of its profit, plus product of volume of credits by normative of its profit.
4. There are offered graphic schemes of coincided targeted functions of balanced, liquidity and credit restrictions and permissible solutions of banking problem of portfolio's linear programing, and on the basis of these scheme there is made decision in connection to possibility of establishment of 30 and 70% of volumes of securities and credit, when optimal profit of the bank (income) equals to 13.5%.
5. There is realized improvement of payment effect calculation toward reserve demands of bank resources, establishment of real significance of reserves on the basis of changing of financial structure of passives

and reduction of tax load by changing of correlation of securities and credits volumes (35/65 or 28/72 or 32/68).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Киселева И. – Коммерческие банки: модели и информационные технологии. М.: Едиторнал УРСС, 2002. – с. 192.

2. Лаврушин О. – Управление деятельностью комменческого банка. – М.: Юрит, 2002. – с. 571.

3. Масленченков Ю. – Экономика банка. – М.: БДЦ-Пресс, 2002

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციის საქმიანობაში
The role and importance of internal audit of the quality management system in the activities of the organization

ანი ბიბილური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Ani Bibiluri – Georgian Technical University

აბსტრაქტი: შიდა აუდიტი ეს არის მმართველობით-კორპორატიული დისციპლინა, რომელმაც განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰპოვა. მისი ორგანიზება ხორციელდება კომპანიის დამაარსებლებისა და მფლობელების ინტერესების სრული გათვალისწინებით, შესაბამისად ორიენტირებულია შიდა პროცედურის დაცვასა და კონტროლის სისტემის საიმედოობაზე. აუდიტი თავისი არსით მრავალფეროვანია და პრაქტიკაში გვხვდება არაერთი მათგანი, როგორიცაა: შიდა, გარე, ფინანსური, გარემოსდაცვითი და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტი, რომელიც ბაზრისთვის შედარებით ახალი ხილია. ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტი თითქოს მოიცავს აუდიტის ყველა ტიპს და ერთგვარი შემაკავშირებელი რგოლია თითოეული მათგანის. რას შეგვიძლია იგი შევადაროთ? მაგალითისთვის ვთქვათ, რომ იგი განიხილავს ორგანიზაციას, როგორც მთლიან ორგანიზმს, სადაც გამოკვლევა ხდება სტრუქტურულად არსებული თითოეული ორგანოსი. თუკი სასიცოცხლო ფუნქციები აქტიურია, ორგანიზმი თავისუფლად შეძლებს არსებობასა და საჭიროების შემთხვევაში ძალების აღდგენას, მაგრამ თუ მნიშვნელოვანი ორგანოები დაზიანებულია მაშინ დასასრული ანუ ლიკვიდაცია გარდაუვალია. სწორედ ამას აფასებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი შემოწმებისას, ეს არ არის სადამსჯელო რაზმი ან კომპანიის კონკურენტები, ის არის ორგანიზაციის როგორც ორგანიზმის გამაჯანსაღებელი და გამომაფხიზლებელი საშუალება. სწორედ მოცემული ტიპის შიდა აუდიტი წარმოადგენს ჩემი კვლევის თემას, რომელიც დეტალურად ძირითად ნაწილშია გაშლილი.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, ხარისხის მენეჯმენტი, ხარისხის სისტემა, ორგანიზაცია.

Abstract: Internal audit is a governance-corporate discipline that developed after World War II. It is organized with full consideration of the interests the founders and owners of the company, therefore focused on adhering to the internal procedure and the reliability of the control system. Audit is diverse in nature and in practice we find many of them, such as: internal, external, financial, environmental, etc. Also important and fundamental is the internal audit of the quality management system, which is a relatively new fruit for the market. The quality management system internal audit seems to cover all types of audits and is a kind of link between each of them. What can we compare it to? For example, we say that it views the organization as a whole organism, where the examination takes place of each structurally existing organ. If vital functions are active, the organism will be free to exist and regain strength if necessary, but if important organs are damaged then termination or liquidation is inevitable. This is what the quality management system internal audit evaluates when it comes to auditing, it is not a punitive squad or a company competitor, it is a means of healing and revitalizing the organization as an organism. This type of internal audit is the subject of my research, which is detailed in the main part.

Keywords: Internal Audit, Quality Management, Quality System, Organization.

შესავალი: ისტორიულად კაცობრიობა მუდმივად განიცდის ცვლილებებს, ძირითადად განვითარების კუთხით, შესაბამისად საუკუნეების განმავლობაში დაიხვეწა არაერთი საქმიანობის სფერო. ტექნიკური და კულტურული ცვლილებები კი, რა თქმა უნდა, წარმოშობს რაღაც ახალსა და საინტერესოს, რომელიც ხშირ შემთხვევაში კარგად დავიწყებული ძველია. შიდა აუდიტი თავისი არსით, როგორც აღვნიშნე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, მაგრამ ვერ ვიტყვით რომ არ არსებობდა მანამდე კონტროლი ან შემოწმება, თუმცა მან ამით ოფიციალური დისციპლინის სტატუსი მიიღო, რომელიც წლების განმავლობაში კომპანიებისთვისა და ზოგადად ბიზნესსაქმიანობაში მონაწილე სუბიექტებისთვის სახელმძღვანელოდ ჩამოყალიბდა. თავდაპირველად შიდა აუდიტი კონცენტრირებული იყო

ბუღალტრულ ანგარიშგების ანალიზსა და ფინანსურ კონტროლზე ანუ მაქსიმალური ყურადღება ეთმობოდა კომპანიის სტაბილურობას და ფულადი სახსრების ბრუნვას. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ორგანიზაციაში მხოლოდ ერთ სფეროზე ორიენტირება აფერხებს სხვების განვითარებას ან უარეს შემთხვევაში იწვევს სხვა ერთეულების ჩამორჩენას, მაშინ ის კარგავს მთლიანი ორგანიზმის ფუნქციებს, შესაბამისად შიდა აუდიტი ეხება კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტსა და მოიცავს ბევრად ფართო სპექტრს. იგი ერთგვარი მაშველი რგოლია მენეჯმენტისთვის მოახდინონ რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, რის შედეგადაც უზრუნველყონ პროცესების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზება. ხარისხის სისტემის შიდა აუდიტი საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ ორგანიზაციის საქმიანობა.

1. **ხარისხის მართვის სისტემა და შიდა აუდიტი:** აუდიტი და აუდიტორული საქმიანობა არის ანგარიშგება დამოუკიდებლად ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ, რომლის მიზანია დადგინდეს რამდენად სწორად მიდის კომპანია ფინანსური, პოლიტიკური და სხვა მიმართულებით. აუდიტი საინტერესო და მრავლისმომცველი სფეროა, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც აღიქმება მხოლოდ როგორც კონტროლი ან რევიზია. რეალურად სამივე ტერმინი შინაარსობრივი თვალსაზრისით იდენტურია, მაგრამ მათ შორის არსებობს ტერმინოლოგიური განსხვავება. ეკონომიკურ ლიტერატურაში თითქმის ყველგან განმარტებულია შემდეგნაირად:[5]

- ***კონტროლი*** ეს არის ეკონომიკური ობიექტისა და ბიზნეს პროცესების მართვის აუცილებელი ნაწილი, რაც მოიცავს

[5] ნ. სრესელი, „აუდიტი“ (ლექციების კურსი), გამომცემლობა „თსუ“, 2013. გვ. 137.

დაკვირვებებსა და პერიოდულ შემოწმებას, თუ რამდენად შეესაბამება ორგანიზაციაში არსებული ვითარება სასურველ, აუცილებელ და სავალდებულო მდგომარეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად დაცულია კანონმდებლობა, კომპანიის გეგმები და სტრატეგიები, სხვა საჭირო ინსტრუქციები და დებულებები.

- ***რევიზია*** კონტროლის მსგავსია, მაგრამ აქ საუბარი ეხება საწარმოების, ორგანიზაციების, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის, თანამდებობის პირთა ქმედებების, ჩანაწერებისა და დოკუმენტაციის შემოწმებას არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ნორმატიული დოკუმენტაციის გათვალისწინებით ანუ ხდება ყველაფრის გადასინჯვა, თუ რამდენად დაცულია საბუთების ნამდვილობა და არ არსებობს დარღვევები.
- ***აუდიტი*** არის საწარმოების, სხვადასხვა ორგანიზაციების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო შემოწმება და ფინანსური ანალიზი, რომელსაც მოცემული დარგის სპეციალისტები ატარებენ და არიან სრულიად პროფესიონალები, ამავდროულად სერთიფიცირებული კვალიფიციური კადრები.

ხარისხის სისტემის შიდა აუდიტის დროს აუდიტორთა გუნდში შესაძლებელია ასევე იყვნენ ტექნიკური ექსპერტები, დამკვირვებლები და მეგზურები. თუმცა თუკი აუდიტორები კარგად იცნობენ აუდიტის ობიექტის საქმიანობის სფეროს მათ გარეშეც შესაძლებელია ყველაფერს გაუმკლავდნენ, რეალურად აუდიტის სიმძიმე მხოლოდ აუდიტორთა მხრებზეა, რადგან ზემოხსენებულ პირებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ აუდიტის ჩატარების პროცესში პირდაპირ ან ირიბად, ისინი არიან უბრალოდ დამხმარე კონტინგენტი. ტექნიკური ექსპერტი საჭირო ტექნიკურ ცოდნასა და უნარებს ფლობს, დამკვირვებელი შესაძლებელია თან ახლდეს აუდიტორს, ხოლო მეგზური კი საჭიროებისამებრ ეხმარება.

შიდა აუდიტი უნივერსალურია, რადგან ერთობლიობაში ერთნაირად მოიცავს ორგანიზაციის ეკონომიკური რესურსების

კონტროლს, ასევე მენეჯმენტისა და ხარისხის შემოწმებას, შესაბამისად თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მმართველობითი აუდიტი. ამიტომაა რომ, როგორც წესი, შიდა შემოწმებისგან მენეჯმენტის გუნდი ელოდება კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას, დოკუმენტაციაში ხარვეზების აღმოჩენასა და აღმოფხვრას, ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გადამოწმებას. თუმცა ხშირად აუდიტი და აუდიტორთა ჯგუფი ორგანიზაციის თანამშრომელთა მხრიდან აღქმულია როგორც ადამიანები ვინც ახორციელებენ მაკონტროლებელ საქმიანობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი შეცდომების გამოვლენა და ხელმძღვანელობის თვალში ავტორიტეტის დაქვეითება. რეალურად კი, აუდიტი ეხმარება კომპანიას გახდეს ბევრად უკეთესი ვარიანტი ვიდრე არის დღეს, ხოლო თანამშრომლებს საშუალებას აძლევს საწყის ეტაპზე არსებული ხარვეზები გამოასწორონ იქამდე ვიდრე ორგანიზაცია დადგება რისკის ქვეშ ან გამოუვალ სიტუაციაში. ხარისხის სისტემის აუდიტი მიმართული არ არის ვინმეს დასჯისკენ, ის უბრალოდ აძლევს საშუალებას აუდიტის ობიექტის მფლობელებს აღიქვან საკუთარი საქმიანობა მესამე პირის მხრიდან და გაიგონ კითხვაზე პასუხი თუ რას აკეთებენ არასწორად.

რას წარმოადგენს თავად ხარისხი? მრავალი მოსაზრება შეიძლება მოვისმინოთ, რადგან მისი აღქმა ინდივიდუალურია, მაგრამ ერთში შეგვიძლია ყველანი შევთანხმდეთ, რომ ხარისხი ეს არის რაიმეს ღირებულებისა და ვარგისიანობის საზომი, რაც მიგვითითებს რომ ნამდვილად კარგია, საუკეთესო და შეუდარებელი. ხარისხის ცნება ყველა ადამიანში თავისებურია, რადგან თითოეულ პიროვნებას თავისი მოთხოვნათა სტანდარტი აქვს, საკუთარი ხედვა და კრიტერიუმები, რითაც აფასებს ამა თუ იმ მოვლენას ან საგანს. მაგრამ არსებობს უნივერსალური სახელმძღვანელო, რომელიც მსოფლიოსთვის ერთია - ISO-ს სტანდარტები. თავად **ISO (International Organization for**

standardization) - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1946 წელს შეიქმნა იმ დროს მსოფლიოს 25 წამყვანი სახელმწიფოს მიერ, თუმცა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა 1947 წლიდან დაიწყო, დღემდე აქტიურია და აერთიანებს მსოფლიოს უკვე 165 ქვეყანას და მათ შორის საქართველოსაც, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად ჩაერთო მოცემული სტანდარტებით ხელმძღვანელობაში. ISO-ს შემუშავებული აქვს მრავალი დოკუმენტი, რომელიც აქტიურად გამოიყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ხარისხს განსაზღვრავს ISO 9001, რომელიც ეფუძნება შვიდ ფუნდამენტურ პრინციპს, ხოლო ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტი ხორციელდება ISO 19011 სტანდარტით. ეს ორი დოკუმენტი ურთიერთდაკავშირებულია ანუ თუკი გვინდა შევამოწმოთ ხარისხი შიდა აუდიტორმა საჭიროა იცოდეს ISO 19011, მაგრამ ეყრდნობოდეს ISO 9001-ის ფუნდამენტურ პრინციპებს ანუ ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტორი ორგანიზაციაში ამოწმებს ხარისხს ყველა სტრუქტურული ერთეულის დონეზე. არ უნდა გვეგონოს რომ ხარისხის სტანდარტი თითქოს გვასწავლის რა ფერის ავეჯი დავდგათ ოფისში ან რა ფერებში შევღებოთ პალატა. იგი უნივერსალურია და ერთგვარი დებულებაა როგორ ვაკეთოთ საქმე სწორად რათა ვიყოთ და გავხდეთ გუშინდელზე უკეთესი და დღევანდელზე საუკეთესო. ეს პროცესი ხორციელდება **PDCA (Plan-Do-Check-Act)** ციკლის მეთოდით, რომელიც საფუძველია ხარისხის სწორი მენეჯმენტისთვის.[6] **დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე** ეს არის ერთგვარი ეფექტური მართვის მოდელი. სწორედ შემოწმების პროცესში შეგვიძლია ჩავრთოთ შიდა აუდიტორები, რომლებიც თავიანთი ობიექტური ხედვით მოგვცემენ საშუალებას შევხედოთ ყველაფერს განსხვავებულად და ახლებურად. ხარისხის სისტემა თუკი ორგანიზაციაში დანერგილია ამ შემთხვევაში საჭიროა განსაზღვრული იყოს პოლიტიკა, მიზნები, კომპანიის სტრუქტურა

[6] ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემები-მოთხოვნები.

და რისკები. რა თქმა უნდა წლიური გეგმა უმნიშვნელოვანესია, სადაც ჩანს თუ რა შორეული ხედვებია გაწერილი და საით მიდის კომპანია. ჩემი აზრით, ნებისმიერ ორგანიზაციას საჭიროა ჰქონდეს დოკუმენტურად განსაზღვრული მისია, ხედვა და ღირებულებები, რაზეც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება წვდომა, რათა მარტივად მოხდეს წარმოდგენის შექმნა თუ ვინ არიან და რა სურთ. რას ითხოვს ხარისხი? პირველ რიგში, მოცემული დოკუმენტაციის არსებობას, ასევე საკუთარი თავის გარდა მომწოდებლებისა და პარტნიორების ანალიზს. მართლაც, როგორ ადამიანებთანაც ვურთიერთობთ ისეთი ვხდებით თავად, შესაბამისად ამას კომპანიის მაგალითზე თუ გადმოვიტანთ გამოდის რომ პარტნიორებად ვირჩევთ მათ ვისაც ჩვენნაირი ხედვა აქვთ, მოგვწონს მათი საქმიანობის სტილი და მიმართულება.

როგორც აღვნიშნე ხარისხის სისტემა ეყრდნობა შვიდ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სთავაზობს ორგანიზაციას საქმიანობა განახორციელოს. თავისი არსით, მოცემული პრინციპები, მართლაც რომ, გამოსადეგარი და ურთიერთდაკავშირებულია. მთლიანია, მაგრამ ამავდროულად ცალ-ცალკე ქმნის თავის პატარა მიმართულებას. მაგალითად, ***მომხმარებელზე ორიენტირებულობა,*** რაშიც შეგვიძლია ვიგულისხმოთ მათი ნდობის მოპოვების სურვილი, მუდმივი დაინტერესება და ამით კომპანიის წარმატების გაზრდის ალბათობა. ორიენტირებულობა ნიშნავს, რომ ჩვენი ორგანიზაციის სისტემის ნაწილს ვაგებთ მომხმარებელთა სურვილებსა და მოლოდინებზე, ყველაფერს ამა კი მათი კმაყოფილებისა და შეფასებების საფუძველზე ვახდენთ. გამოდის მიზანმიმართულად მივდივართ გავხდეთ ბაზრის ***ლიდერი***, რისთვისაც კლიენტთა მხარდაჭერასთან ერთად გვჭირდება საკუთარი მიზნები და მიმართულებები, რაც მთავარია მაღალი ორგანიზაციული კულტურა, სტრატეგიული გეგმა, კომპანიის განვითარების პოლიტიკა და ძლიერი მენეჯერების

გუნდი, ვინც მსგავსი სისტემის აწყობასა და ფუნქციონირებაში დაგვეხმარება. ძლიერი მენეჯერი არ ნიშნავს რომ 24 საათი მუშაობს, რეალურად საქმე განათლებისა და აზროვნების დონეშია. კარგი მენეჯერი ეს არის გასაღები, რომელიც აღებს ყველა დაკეტილ კარს, თუკი იგი სამართლიანი, სანდო და პასუხისმგებლობის გრძნობით არის სავსე მუშაობისას, მაშინ ***პერსონალის ჩართულობის*** დონეც იზრდება. თანამშრომლისთვის მენეჯერი არის კომპანიის იდენტური, თუ ჩვენ მენეჯერებს არ გვეშინია ძლიერი კონკურენტების, რთული სამუშაოსა და ჩვენზე ძლიერ დაქვემდებარებულთან მუშაობა, მოტივაცია იზრდება პერსონალი ხარისხობრივად და სათანადო დონეზე ჩაერთოს საქმიანობაში. ამას მე ვუწოდებ ეფექტურ მართვას, როდესაც თითოეული ინდივიდი ერთვება სამუშაო პროცესში და მიიღწევა ხარისხის სისტემის მიზნები ანუ მართვა ერთგვარი ***პროცესული მიდგომაა,*** როდესაც ვიცით რას ვაკეთებთ, რატომ და ურთიერთდაკავშირებულია ეს ყველაფერი. თანმიმდევრულად არის აწყობილი და გაწერილი პერსონალის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, ვიცით და გვაქვს კომპანიის ფინანსური და სხვა რესურსები, არსებობს ხარისხის მოქმედების მიზნები, შეფასების სისტემა და რისკების განსაზღვრის პროცედურა. ჩვენი ამ ქმედებით ხდება ***გაუმჯობესება,*** რომელიც გულისხმობს რომ, თუკი ჩვენი კომპანია მოწინავეა ბაზარზე არ დავკმაყოფილდეთ მიღებული შედეგებით და ვეცადოთ დავნერგოთ რაღაც ახალი და კარგი, რადგან 21-ე საუკუნე ინოვაციების ერაა, მუდმივი სიახლეები და ნოვატორული იდეები სჭირდება მსოფლიოს, რისთვისაც გვჭირდება აუდიტიც, რომელიც სწორი მიმართულებით სვლისას, დაგვეხმარება გზადაგზა არსებული ხარვეზების გასწორებაში და ***მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას გაგვიადვილებს.*** ორგანიზაციის დამფუძნებლებს იმდენად უყვართ საკუთარი კომპანია ხშირად სუბიექტურ შეფასებას აძლევენ მას. მესმის გვიყვარს, მაგრამ ამის იქით არის რაღაც, რაც ბიზნეს იდეის

შემქმნელებმა უნდა შენიშნონ. თუკი გადაწყვეტილებებს მივიღებთ ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე ადრე თუ გვიან შესაძლებელია სავალალო შედეგი დადგეს, ამიტომ საჭიროა აქტიური ***ურთიერთობის მენეჯმენტი*** მესამე პირებთან, სპონსორებთან, პარტნიორებთან და პირველ რიგში თანამშრომლებთან. ჩემი აზრით, ურთიერთობის მენეჯმენტი უმთავრესი პრინციპია ხარისხის სისტემის, რადგან მას მოაქვს მოკლევადიანი ურთიერთობები გრძელვადიანის პერსპექტივით. შესაბამისად თუ გვსურს დიდხანს დავრჩეთ მოწინავე პოზიციებზე, პირველ რიგში ნებისმიერმა კომპანიამ საჭიროა ყურადღება მიაქციოს ხარისხის სისტემას. ბიზნესი ეს არის უნარი შეზღუდული რესურსების პირობებში საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების წყალობით ავაშენოთ კომპანია, რომელიც დროთა განმავლობაში სწორი ქმედებებით იმდენად გამყარდება, რომ მასში დაცულად ვიგრძნობთ თავს. ხარისხის მენეჯმენტი ეს არ არის მარტო მართვა, ეს ხელოვნებაა აკეთო ყველაფერი დღეს ბევრად უკეთესად ვიდრე გუშინ.

ხარისხის შიდა აუდიტი არის სისტემური, დამოუკიდებელი და დოკუმენტირებული პროცესი, შესაბამისად მოითხოვს ფაქტებზე დაფუძნებულ მიდგომასა და კომპანიის მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას. პირველ რიგში, აუდიტი სისტემური პროცესია და საჭიროა ჩატარდეს გარკვეული დაგეგმილი პერიოდულობით, რაც დამოკიდებულია იმაზე შიდა თუ გარე აუდიტია, შესაბამისად ორგანიზაცია თავად წყვიტავს ამ საკითხს. თუკი საქმე გვაქვს გარე აუდიტთან, მაშინ მას განსაზღვრავს მასერთიფიცირებელი ორგანო ან თავად დამკვეთი. მნიშვნელოვანია რომ, აუდიტორები ან სპეციალისტები, ვინც ატარებენ მას, იყვნენ დამოუკიდებლები, შეფასება მოახდინონ გარკვეული კრიტერიუმებით და რადგანაც დოკუმენტირებული პროცესია ყველა ფაქტის ჩანიშვნა მოახდინონ.

ხარისხის შიდა აუდიტი ორიენტირებულია ხარისხის სისტემის პროცესების, პროდუქტისა ან მომსახურების შეუსაბამობის

აღმოცენების გამოვლენაზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს აუდიტის ძირითადი მიზანი, რაც გულისხმობს ობიექტური მტკიცებულებების აღმოჩენას, რომელიც გვეხმარება შეუსაბამობების დადგენაში და შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ:

1. მნიშვნელოვანი ანუ ყველაფერი, რაც გამოიწვევს სისტემის საბოლოო ნგრევას;
2. უმნიშვნელო ანუ ისეთი ხარვეზები, რაც არსებობს, მაგრამ სერიოზული ზიანის მოტანა არ შეუძლია სისტემისთვის.

აუდიტის მთავარი შედეგია იმ შესაძლებლობების განსაზღვრა თუ რა გვჭირდება რათა გავხდეთ ბაზრის ლიდერი, როგორ გავაუმჯობესოთ სამუშაო გარემო და მუდმივად განიცადოთ სიახლეები.

1.2. შიდა აუდიტის ჩატარების პრინციპები: აუდიტი მსოფლიოში ერთ-ერთი ინტელექტუალური საქმიანობაა, რადგან მოითხოვს მაღალი დონის კომპეტენტურობას, პროფესიონალიზმსა და ლოგიკურად აზროვნების უნარს, თანაც შიდა აუდიტორის პროფესიული დონისთვის სავალდებულო და აუცილებელია საკანონმდებლო აქტების, ნორმატიული დოკუმენტაციისა და საერთაშორისო სტანდარტების ღრმა ცოდნა. როგორც ნებისმიერი დისციპლინა ხარისხის მართვის შიდა აუდიტიც ეყრდნობა რამდენიმე პრინციპს, რომელსაც მოიცავს ISO 19011 და საქართველოს კანონმდებლობის რიგი აქტები.[7] როგორიცაა:

პატიოსნება, რაც წარმოადგენს აუდიტორის ან აუდიტის პროგრამის მმართველის პროფესიონალიზმის საფუძველს. იგი მოიცავს საქმისადმი მონდომებას, პასუხისმგებლობის გრძნობასა და

---

[7] საქართველოს მთავრობის განკარგულება # 1016 „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“

სამართლებრივი მოთხოვნების დაცვას. ხარისხის შიდა აუდიტორი ორგანიზაციის შემოწმებისას ვალდებულია სამუშაოს ასრულებდეს მიუკერძოებლად, პირადი სიმპათიებისა და ინტერესების გამორიცხვით, რადგან მისი დასკვნების საფუძველზე შესაძლებელია რიგი ცვლილებები მოხდეს კომპანიაში, რომლის საბოლოო შედეგი, იქნება ეს დადებითი ან უარყოფითი, აღმოაჩინონ შემდეგი აუდიტის ჩატარებისას, თუკი მანამდე სხვა კატასტროფული სიტუაცია არ შეიქმნა. ამიტომ გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა გიცხადებს ნდობას და ეს ნდობა საჭიროა გამართლდეს, წინააღდეგ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ აუდიტი წარუმატებლად ჩატარდა.

სამართლიანი წარდგენა - მოცემული პრინციპი ფუნდამენტურია შიდა აუდიტის დასკვნის დადებისას. აქ საუბარია უკვე ვალდებულებაზე იმის შესახებ, რომ საჭიროა მოახდინონ სწორი და ზუსტი ანგარიშგება. შედეგებში კი აუცილებლად აისახოს ყველა განხორციელებული ქმედება. მათ შორის ის ბარიერები და წინააღმდეგობები, რაც აუდიტის ჩატარების დროს წარმოიქმნა, რადგან კომუნიკაცია მენეჯმენტთან უნდა აიგოს გულახდილ, ზუსტ და ობიექტურ მიდგომებზე დაყრდნობით.

სათანადო პროფესიული გულმოდგინება, რაც გულისხმობს აუდიტორის მონდომების დონესა და საღი აზრის არსებობას აუდიტის ჩატარებისას, რადგანაც შიდა აუდიტორს ნდობას უცხადებს კომპანიის მენეჯმენტი ანუ კლიენტები, ვინც მათ მისცა საშუალება ორგანიზაციის მდგომარეობის შეფასების, რეალურად ეს ნდობა და იმედი მათ არ უნდა გაუცრუვდეთ.

კონფიდენციალურობა ანუ ინფორმაციის უსაფრთხოება. აუდიტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია აუდიტორისთვის საიდუმლო ინფორმაცია გახდეს ცნობილი, როგორიცაა: კომერციული საიდუმლოება, ფინანსური მონაცემები და

მაჩვენებლები, კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები. შესაბამისად მოცემული ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლებელია გამოიწვიოს კომპანიის დაზარალება. ამიტომ აუდიტორი ვალდებულია გამოიჩინოს პატიოსნება, არ დაუშვას მონაცემების გამოყენება პირადი ინტერესებისათვის და მესამე პირის სასარგებლოდ, ან თუნდაც იმგვარად, რაც ზიანს მოუტანს შიდა აუდიტის ობიექტს. მითუმეტეს თუკი თავად აუდიტორები ამ კომპანიის თანამშრომლები არიან, რეალურად ამით საკუთარი საყრდენი კედელი შეიძლება ჩამოანგრიონ.

დამოუკიდებლობა - აუდიტორი საჭიროა იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური ნებისმიერი დასკვნის გამოტანისას, რაც გულისმობს იმას, რომ ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტისას აუდიტორმა აუცილებელია ბოლომდე შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, მაშინაც კი თუკი იგი უშუალოდ აუდიტის ობიექტზეა დასაქმებული და თავად უწევს დამქირავებელი კომპანიის შემოწმება. კანონი არ კრძალავს მსგავსს ქმედებას, უბრალოდ აუდიტორმა საკუთარი განყოფილება არ უნდა გადაამოწმოს, რადგან თავიდან ავიცილოთ ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად ობიექტურობა რომ დავიცვათ, ვფიქრობ, აუდიტორმა საჭიროა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის შემოწმებისას გამორიცხოს პირადი სიმპათიები და იმოქმედოს მხოლოდ ცივი გონებით, კომპანიას შეხედოს როგორც გარე პირმა. არ დაუშვას მესამე პირის უსაფუძვლო ჩარევა და აუდიტის ჩატარების შეფერხება. რეალურად გრძნობებისა და ემოციების მართვა უმთავრესია, სხვანაირად შემოწმების ჩატარება გართულდება.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, რაც გულისხმობს აუდიტის დროს ფაქტების შემოწმების საშუალებას ანუ ყველაფერი რაც გაკეთდა, რაზეც არსებობს შენიშვნები სავალდებულოა განმტკიცდეს არსებული ინფორმაციული რესურსით (მაგ: ფოტო-ვიდეო მასალა). ხარისხის სისტემის შიდა აუდიტი ტარდება

კონკრეტული დროის განმავლობაში და ხშირ შემთხვევაში შეზღუდული რესურსებით, ამიტომ დასკვნების გამოტანა მხოლოდ მტკიცებულებებზე და ფაქტებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

თუკი ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით აუდიტორი არ გამოირჩევა, აუცილებლად გაუჭირდება აუდიტის მსვლელობისას იყო კომპეტენტური და სანდო. ზოგადად აუდიტორზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რადგან ხარისხის შემოწმებისას ყველა მხრიდან ხდება ორგანიზაციის საქმიანობის დანახვა და შეფასება, პირველ რიგში მომხმარებლის გადმოსახედიდან, ვადარებთ კანონმდებლობას და ვუსადაგებთ არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამ პროცესში ხშირად მენეჯმენტის გუნდი ან პერსონალიც მონაწილეობს, რაც ძირითადად გამოიხატება მათთან ცალკე კომუნიკაციაში, მაგალითად კითხვების დასმა, გამოკითხვა და ა.შ. ამ პროცესში უნდა მოვიპოვოთ ის მტკიცებულებები, რომლებსაც შევაფასებთ ობიექტურად და გავარკვევთ აუდიტის ობიექტი ასრულებს თუ არა საკუთარ მოვალეობებს პირნათლად.

1.3. ხარისხის აუდიტის დაგეგმვა და მართვა: შიდა აუდიტს ხანდახან პირველი მხარის აუდიტსაც უწოდებენ, რადგან როგორც აღვნიშნე მას თავად ორგანიზაცია ატარებს საკუთარი სურვილით. აუდიტის სიხშირე დამოკიდებულია მენეჯმენტის პრიორიტეტებზე, სისტემის სიმწიფესა და სირთულეზე. მართლაც, რაც უფრო დიდია კომპანია და მოცულობითი მით მეტად სჭირდება გადამოწმება, ამიტომ სასურველია ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი მინიმუმ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს. ხარისხის შიდა აუდიტის ეფექტიანად ჩატარებისთვის აუცილებელია შემდეგი ტიპის რიგითობის დაცვა:[8]

---

[8] ISO 19011:2011 - სახელმძღვანელოები ხარისხის მენეჯმენტის სისტემის აუდიტისთვის.

- **საქმიანობის ანალიზი.** აუდიტორმა სავალდებულოა განსაზღვროს და გააანალიზოს აუდიტის ობიექტის საქმიანობის სფერო, რათა შეექმნას წარმოდგენა აუდიტის მოცულობის შესახებ. კერძოდ, გაითვალისწინოს დროის ფაქტორი, შესამოწმებელი დოკუმენტაციის ნუსხა, შესამოწმებელი განყოფილებები და ა.შ.
- **აუდიტის პროგრამის შედგენა,** სადაც დეტალურად გაიწერება რას ვამოწმებთ, როდის და რა ფორმით. საჭიროა გავითვალისწინოთ მენეჯმენტის პრიორიტეტები, რა სურთ მათ, რომელი ერთეული უფრო მეტად აინტერესებთ, გეგმაში საჭიროა გაიწეროს მომწოდებლების (არსებობის შემთხვევაში) შეფასებას როგორ ახდენს კომპანია, ასევე რაც მნიშვნელოვანია წინა აუდიტის შედეგები.
- **აუდიტის გეგმა,** სადაც უკვე დეტალურად გაიშლება აუდიტის პროგრამის მიზნები და შესამოწმებელი სტრუქტურული ერთეულები ან მიმართულებები.
- **აუდიტის ინიცირება** ანუ პირველი საწყისი ნაბიჯები აუდიტის ჩატარებისკენ, როდესაც კომპანიის მფლობელებთან ხდება უკვე შეთანხმება შემოწმების დაწყების შესახებ, განისაზღვრება დამხმარე და ხელისშემშლელი ფაქტორები, იგეგმება პირველი შეხვედრა.
- **საწყისი შეხვედრა,** რომელიც არის ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი აუდიტისთვის, ერთგვარი ათვლის წერტილია და სწორედ პირველი ოფიციალური შეხვედრა განსაზღვრავს ძალიან ბევრ საჭირო საკითხს. აქ განიხილება აუდიტის გეგმა-პროგრამა, აუდიტორთა გუნდი ანუ ყველა ის აუცილებელი დეტალი, რაც სჭირდება შიდა აუდიტის ჩატარებას.
- **აუდიტის რეალიზაცია,** ამ ეტაპზე იწყება აუდიტის ინსტრუმენტების ჩართვა, როგორიცაა: დოკუმენტაციის შესწავლა, ინტერვიუ მენეჯმენტთან და პერსონალთან, სხვადასხვა დეპარტამენტების შემოვლა, ინფორმაციის გადამოწმება და დაფიქსირება.

- **აუდიტის დასკვნები** ანუ შემაჯამებელი სხდომა, სადაც მენეჯმენტი და აუდიტორები განიხილავენ აუდიტის საბოლოო შედეგებს, შედგენილია აქტები, მოძიებულია მტკიცებულებები და არსებობს რეკომენდაციები, შესაბამისად აუდიტორები ამთავრებენ შემოწმებას.
- **აქტების დაგზავნა.** შემაჯამებელ სხდომამდე ან მის შემდეგ აუდიტორები ახორციელებენ ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას კომპანიის მენეჯმენტთან.
- **მაკორექტირებელი ქმედებები** - აუდიტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან განისაზღვრება შეუსაბამობების აღმოფხვრის ვადა, რათა საბოლოოდ დაიხუროს აუდიტის აქტები ანუ ამ ეტაპზე აუდიტორები გაცემული შენიშვნების გამოსწორების გადამოწმებას ახდენენ.

ხარისხის სისტემის შიდა აუდიტი საკმაოდ რთული და პასუხისმგებლობით აღსავსე საქმიანობაა, შესაბამისად ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. რეალურად ეს არის ერთიანი უწყვეტი პროცესი, სადაც თითოეული ქმედება გაწერილი და განსაზღვრულია. შემოწმება კი ემსახურება ხარისხის სისტემის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას, თუ რამდენად სწორი მიმართულებით მუშაობს და ვითარდება კომპანია. თუკი ხარისხს აქვს ჩავარდა არსებობს რისკი და ალბათობა, რომ ორგანიზაციის გარკვეული ნაწილები ვერ ფუნქციონირებენ კარგად, რადგან ხარისხის სისტემა ეს არის კომპანიის ტვინი, რომლის გამართულ მუშაობაზე მთლიანი ორგანიზმის კეთილდღეობაა დამოკიდებული. მართლაც, თუკი საწყისში არსებობს სისუსტე ის მთელ ორგანიზმს გადაეცემა და პირიქით, თუკი სხვა ორგანოები ვერ ფუნქციონირებენ ნორმალურად, მაშინ საწყისი სუსტდება. რისი თქმა მინდა, უნდა გვახსოვდეს რომ ერთი არასწორი ნოტი ყოველთვის ცვლის მელოდიას, შესაბამისად რა გამოასწორებს მას? მელოდიის შემთხვევაში ბევრი ვარჯიში, კომპანიის ვარიანტში კი

The tourism sector is very sensitive to a variety of political, economic, technological and pandemic risks and threats. It should be noted that both negative (risk factors) and positive (anti-crisis management system) results are almost instantaneous.

Nowadays, this topic is even more urgent than ever, especially in the world of the pandemic (covid 19) distribution of the background, which, as we can see, the world tourism for some time practically stopped. Aside from the fact that the twenty-first century pandemic has clearly shown how much damage health crises can do globally, different types of crises have quite a big impact on the tourism business and have more or less the same negative consequences as the global pandemic.

Undoubtedly, the security aspect is of particular importance when it comes to the image of the tourism site and the decision-making process. Marketing of a tourist destination in times of crisis and post-crisis situation is highly dependent on creating a favorable image. The "impression" of the safety of the destination is one of the main factors in the decision-making process of tourists. This is why travel companies and travel service providers need to ensure that their customers are properly and timely informed about the nature and nature of potential risks as well as targeted crisis management programs and systems.

In view of the above, crisis management is an important integral component of systemic management in the tourism and hospitality industry, which should be adequately used by public sector agencies and societies, both large and medium and small businesses.

Main text: The twenty-first century has been marked by a wave of terrorist attacks, diseases, and devastating natural phenomena. These multiple incidents have had local, regional and global consequences and have led to a tourism crisis at the corporate, industrial and local levels. Crisis and catastrophe have gained more popularity in recent years and made the modern world changeable, uncertain and vulnerable.

The fact is that tourism can't be isolated from these forces and developments in the external environment have the potential to accelerate tourism crises. all crises are different and unique, however their general characteristics include surprise and danger. They are accelerated by catalysts that are strong enough to shake structures and working systems, affecting the profitability of commercial enterprises and businesses.

The reputation of any place or business can be threatened. At this time, top managers in the public and private sectors have very little time to make difficult decisions in an atmosphere of tension and instability. Crisis also becomes crucial when changes, for better or worse, are inevitable and experiences can be beneficial to people and organizations or vice versa.

Economic downturns and recessions, exchange rate volatility, loss of market confidence and investment, war, military coups, deteriorating international

relations, sanctions and terrorism, civil unrest, rising crime, earthquakes, typhoons, volcanic eruptions, volcanic eruptions Diseases- This is just a small list of the types of crises that can lead to a temporary or long-term tourism crisis and virtually stop tourism.

The main crises in the tourism industry can be divided into several types:

1. **Ecological crises and natural cataclysms** - This category of crises includes hurricanes and cyclones, earthquakes, volcanic eruptions, tsunamis, etc., or all the unexpected events associated with natural disasters and accidents. While it is possible to track extreme weather events such as tropical storms and take precautions to transport tourists to safer places, it is impossible to predict many types of geological events. Depending on where they occur and how they affect their impact. Significant geological events may cause significant disruption to the normal functioning of tourism: infrastructure, communications and facilities may be damaged and become dysfunctional, while electricity and water supply will be cut off. These cases in themselves create a number of problems and challenges related to the evacuation of tourists from the affected areas and most importantly such an event can lead to stress and at worst panic among tourists.
2. **Technological events** - This category of crises includes crises caused by technological events such as traffic accidents and IT system failures, which can be caused by hardware malfunctions or human errors while working with technical systems. The technical reliability and reduction of accidents on airplanes, ships and trains is crucial, as in the United States, for example, 46,901 people were killed in road accidents between 2000 and 2009, 0.29 percent of departures (Boeing, 2015). It is a fact, however, that air traffic accidents attract much more media coverage than road accidents.
3. **Public / Political Events** - Public and political events affecting tourism include crime, political unrest, terrorism, war, and human rights abuses. When the threat is related to external influences and this is added to the internal unrest of the country, the situation becomes especially difficult.

A country with a high crime rate, especially physical assaults, makes it clear why a tourist avoids visiting such a country. For example, in 2008, the South African Minister of Tourism said that the country's criminal measures had prevented more than 22 million tourists from visiting the country in the last five years. It seems that crime perception and threatening reputation are still a significant concern for some segments of the visitor market.

4. **The economic crisis caused by the pandemic in Georgia**- In recent years, tourism has become one of the most lucrative sectors of the Georgian economy, accounting for about 11% of GDP. The economic crisis affecting tourism includes global recessions, a weak national economy and sudden changes in the exchange rate. All of this can lead to a loss of customer confidence and alter the visitor's plan when it comes to travel planning.

   After a millennium, the most important economic event affecting international tourism was the financial crisis of 2008/09 and the subsequent global economic regression. This led to a decrease in the number of international tourists and incomes in 2009, although in 2010 the tourism sector returned to its normal rhythm faster than expected and the increase in international arrivals was 7%. The fear of travel caused by COVID-19 and the closed borders have the most negative impact on the tourism industry. According to an analysis published by the World Tourism Organization (UNWTO), the number of world tourism travelers has decreased, while according to preliminary forecasts, the number of visitors should have increased by 3-4%. This puts the world tourism at a loss of about $ 30-50 billion. Since travel restrictions have already been extended to virtually all countries, including neighboring Azerbaijan and Armenia, the impact on the tourism sector has clearly increased. Travel restrictions and closed borders have affected Georgia's tourism sector, which is likely to slow down the market diversification process. The decrease in tourists is also reflected in the restaurant business, the turnover of shopping facilities, etc. These businesses have been affected not only by the reduction of tourists, but also by various restrictions and policies pursued by the government against coronavirus.

Conclusions/Recommendations

The issues discussed above have clearly shown the need for crisis management, its role and importance in the crisis management process. Here are some recommendations that I think should be taken into account during the anti-crisis management. In particular:

Public & Private Sector Communication - - Proper communication between the state and private organizations working in the state and tourism, identifying specific needs and developing an appropriate anti-crisis plan to combat the crisis are very important issues both during the crisis and in the post-crisis situation.

State support (benefits and subsidies to the tourism industry) - State support (benefits and subsidies to the tourism industry) - One of the most important funding and benefits for businesses operating in the tourism industry, in particular tourism companies, hotels and food outlets, which should be reflected in: Several months of income / profit tax cancellation or deferral, property tax cancellation, loan subsidies, WTO regulations are implemented and promoted, and so on.

The image of a safe country - Security plays the biggest role in the decision-making of tourists when planning a trip, so it is unequivocally and above all important in this regard the international marketing campaign, creating a safe image in tourist areas as a safe destination.

Sharing the experience of other countries - Another very important issue for Georgia is sharing the practices and experiences of other countries. Crises, like any important event or issue, need proper planning and management. I think that successful experience / practice of other countries in this direction is very useful and actually crucial for the country.

I think this is not only important but also necessary, because it is a pre-understanding of the expected problems or consequences that any country may face at this or that stage of tourism development. We will be able to minimize the probability of making mistakes and incorrect decisions. Consequently, if we have a practical model / models of crisis management already implemented and implemented by another country, we will be able to reduce the probability of making mistakes and wrong decisions.

Bibliography

1. Actas, g. And Gunlu, E.A. (2005) Crisis Management in Tourism. Theobaldi (editor) in W.F., Global Tourism (3rd Edition, pp. 440–457). Amsterdam: Elsevier.)

2. Beirman, D. (2003). Recovering from Crisis Tourism: A Strategic Marketing Approach. Wellingford: CABI Publishing.

3. COMCEC; Risk and Crisis Management in the Tourism Sector: Crisis Response in OIC Member Countries. (2017)

4. Hanno Michael Martens *, Kim Feldes ‡, Patrick Merten. (2016). Crisis management in tourism - a literature-based approach to proactive crisis forecasting and prevention measures; Athens Tourism Magazine - Volume 3, Edition 2 - Pages 89-102

5. Economic Policy Research Center (EPRC) -Covid-19: Economic Outcomes for the World and Georgia.

კიბერ დაზღვევის ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები
Cyber Insurance Market and it's Development Tendencies

ილია კოჟორიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი
Ilia Kozhoridze – PhD Student of Georgian Technical University
Giorgi Tsaava – PhD in Economics, Professor, Georgian Technical University

აბსტრაქტი. ინფორმაციული რევოლუცია შესაძლებლობებთან ერთად გარკვეულ გამოწვევებთან ასოცირდება, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კიბერ რისკები. სტატიაში საუბარია კიბერ რისკების ეფექტიანი მართვის მექანიზმზე - კიბერ დაზღვევაზე, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და უამრავ პრობლემას აწყდება. მსოფლიო კიბერ დაზღვევის ბაზარზე არ არსებობს უნიფიცირებული წესები და ის მასშტაბები, რომელთა დაფარვაც უნდა მოხდეს კიბერ დაზღვევის პოლისით, არსებობს ასიმეტრიული ინფორმაციის პრობლემა და ფასწარმოქნის სირთულეები, რომლებიც აქტუარული ინფორმაციის საკითხებს უკავშირდება. სწორედ ამ პრობლემებზეა საუბარი და გამოკვეთილია მათი შემცირების ღონისძიებები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია ინსტიტუციურ თეორიას, რომელიც კიბერ დაზღვევაში მონაწილე სხვადასხვა მხარის ინტერესებს აფასებს და გამოკვეთს შესაძლო გავლენებს მარეგულირებელი, ნორმატიული და კულტურულ-კოგნიტური ინსტიტუტების თვალსაზრისით. სტატიაში ასევე განხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდგომარეობა კიბერ დაზღვევის პროდუქტების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: კიბერ რისკები, კიბერ დაზღვევა, კიბერ უსაფრთხოება, ინსტიტუტები.

Abstract. The Information Revolution is Associated with Opportunities, but also certain challenges in which the most important are cyber risks. This article discusses the mechanism of effective cyber risk management – cyber

insurance, which is still under development and faces many problems. There are no universal rules and scope of cyber insurance policy in the global cyber insurance market. One of the most important problem is asymmetric information and pricing difficulties related to actuarial issues. Institution theory can help us to reduce uncertainties related to the nature of cyber risk by studying different groups interests in cyber insurance. The article also discusses the current situation in the Georgian insurance market in the field of Cyber insurance products.

Keywords: Cyber Risks, Cyber Insurance, Cyber Security, Institutions.

შესავალი. კიბერ დაზღვევა თანდათან გვევლინება როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ორგანიზაციებისთვის, იმ დანაკარგებისგან თავის არიდებისთვის, რომელიც დაკავშირებულია კიბერ თავდასხმებთან. მიმდინარე დაკვირვებებმა გამოავლინა ბევრი გართულება და გამოწვევა კიბერ დაზღვევის ბაზარზე. სხვადასხვა მზღვეველების კიბერ დაზღვევა ხშირად მოიცავს განსხვავებულ კომბინაციებს, ეს კი მყიდველებისთვის ართულებს სხვადასხვა პოლისების ღირებულებების შედარებას. ბევრი ბიზნესი ჯერ ვერ მიხვდა კიბერ დაზღვევის მნიშვნელობას. პრობლემების საწყისი არის სტანდარტიზაციის ნაკლებობა და საერთო ლექსიკონის არარსებობა კიბერ დაზღვევაში. დამატებით პრობლემაა ის, რომ ზოგიერთი მზღვეველი აზღვევს მხოლოდ სპეციფიკურ კიბერ რისკებს. მზღვეველებსა და პოლისის მფლობელებში გაურკვევლობა გამოიწვია სიახალემ და გაურკვევლობის განცდამ. მაგალითები გვიჩვენებს, რომ კიბერ დაზღვევასთან დაკავშირებული წესები, ნორმები და სტანდარტები არ არის კარგად განვითარებული. დამატებით არსებობს ბევრი შემთხვევა როცა არის არეულობა და უთანხმოება იმასთან დაკავშირებით რა შემთხვევები უნდა დაფაროს კიბერ დაზღვევის პოლისმა. ინსტიტუციურ თეორიას შეუძლია მნიშვნელოვანი პუნქტები შემოიტანოს ამ პრობლემის მოგვარებაში. განსაკუთრებით აღნიშნული თეორია გვეხმარება გავიგოთ, ავხსნათ

და ჩამოვაყალიბოთ კიბერ დაზღვევის ინდუსტრიაში მონაწილე სხვადასხვა მხარის ინტერესები და ქმედებები.

ძირითადი ტექსტი. სწრაფი გაციფრულება ქვეყნებს სთავაზობს ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური განვითარებისთვის, მაგრამ ასევე ახლავს ახალი გამოწვევები კიბერდანაშაულის უკონტროლო ზრდის ფორმით. კიბერ დანაშაულების გაზრდილი რაოდენობა ქვეყნდება ყოველწლიურად, რომელთა შორის არის: იდენტობის მოპარვა, ონლაინ თაღლითობა, სახიფათო პროგრამები და მონაცემების მოპარვა. მთავრობები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კიბერ საფრთხეების წინააღმდეგ იმ კუთხით, რომ საკვანძო ინდისტრიის წარმომადგენლებს აძლევენ რეკომენდაციებს უსაფრთხოების სტანდარტებზე. მაგალითად, 2018 წელს ევროკავშირში მიღებული გენერალური მონაცემების დაცვის რეგულაცია აწესებს მითითებებს პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისთვის ევროკავშირის მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო და საჯარო სექტორი ყოველწლიურად ზრდის ხარჯებს კიბერუსაფრთხოების პროდუქტებზე, კიბერდანაშაულების შემთხვევები მაინც განაგრძობს ზრდას. კიბერ დაზღვევა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, იგი სთავაზობს სადაზღვევო ინდუსტრიას ზრდის შესაძლებლობებს. კიბერ დაზღვევის ბაზრები ძირითადად აწყდებიან პრობლემებს კიბერ რისკების თანდაყოლილი ბუნების გამო. კიბერ დაზღვევის ერთ-ერთი სირთულე დაკავშირებულია სადაზღვევო დაფარვის ბუნდოვანებასთან. გლობალური კიბერ დაზღვევის ბაზარი არის ძალიან რთული, რომელიც მოიცავს მსოფლიოს მასშტაბით ასობით მზღვეველის მიერ 600-ზე მეტი ფორმის კიბერ დაზღვევის პოლისს. არ არის უნიფიცირებული ტერმინები, რომლებიც წარმოქმნის გაურკვევლობებს. კიბერ დაზღვევის დროს ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მორალური საფრთხის პრობლემა, როდესაც ფირმები სადაზღვევო პოლისის ყიდვის შემთხვევაში

უფრო ნაკლებ ინვესტიციას განახორციელებენ კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესებაში.

ასევე არსებობს გამოწვევები მონაცემებთან და ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით. ტრადიციულ სადაზღვევო პროდუქტებზე ფასწარმოქმნა ხორციელდება აქტუარული ცხრილების საშუალებით, რომლებიც მიღებულია დიდი მოცულობის ისტორიული მონაცემებიდან. მაგრამ კიბერ დაზღვევის შემთხვევაში არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია კიბერ დანაკარგების შესახებ. ამ შემთხვევებში სადაზღვევო კომპანიებმა კიბერ დაზღვევის პოლისებზე ფასწარმოქმნა, შესაძლებელია განახორციელონ იმის მიხედვით, თუ რა დანაკარგებია მოსალოდნელი დაზღვეულისთვის, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია კიბერუსაფრთხოებაში განხორციელებულ ინვესტიციებზე.[21]

კიბერ თავდასხმების რისკების შემცირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია კიბერ დაზღვევა: სადაზღვევო პოლისები, რომლებიც ფარავენ დანაკარგებს კიბერ თავდასხმებისგან და მონაცემების მოპარვისგან. კიბერ დაზღვევის პოლისების ფასწარმოქმნის დროს მნიშვნელოვანი პრობლემაა არასასურველი შერჩევის ფენომენი, რომლის დროსაც ფირმები, რომლებსაც უფრო მაღალი კიბერ საფრთხეების რისკები აქვთ, უფრო მეტად იქნებიან მიდრეკილნი კიბერ დაზღვევის პოლისის შეძენისკენ. სადაზღვევო კომპანიები აღნიშნულ პრობლემას უმკლავდებიან უსაფრთხოების აუდიტების ინფორმაციის მოთხოვნით.[22]

---

[21] Shaun S. Wang, Integrated framework for information security investment and cyber insurance, Pacific-Basin Finance Journal, Volume 57, 2019

[22] Scott J. Shackelford, should your firm invest in cyber risk insurance? Business Horizons, Volume 55, Issue 4, 2012, Pages 349-356

კიბერ დაზღვევის ბაზარი თანდათანობით ვითარდება, გამოკითხვებისა და წლიური ანგარიშების მიხედვით ისინი დადებითად ზემოქმედებენ კიბერ უსაფრთხოებაზე, მაგრამ აწყდებიან გარკვეულ პრობლემებსაც. რისკის შეფასების თანამედროვე მიდგომები ძირითადად არის ხარისხობრივი და არ უზრუნველყოფს მონეტარულ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა კიბერ დაზღვევაში ანდერრაიტინგის პროცესისთვის. მეცნიერების კვლევები დიდწილად ფოკუსირებულია იმაზე, რომ წაახალისონ ორგანიზაციები გაზარდონ კიბერუსაფრთხოების ინვესტიციები იმ შემთხვევაში, როდესაც კიბერ დაზღვევა ხელმისაწვდომია.[23]

კიბერ დაზღვევა შესაძლებელია შეთავაზებული იყოს როგორც ცალკე პროდუქტი ან სხვა პროდუქტებზე დანამატი. მაგალითად ამერიკული საერთაშორისო ჯგუფი ყიდის კიბერ დაზღვევის პოლისებს, როგორც დამატებით სერვისს სახლების დაზღვევის დროს. 2019 წელს 46-მა მზღვეველმა გამოიმუშავა 1.1 მლრდ აშშ დოლარის სადაზღვევო პრემია ცალკე გაყიდული კიბერ დაზღვევის პროდუქტებიდან. გლობალური ბაზრის კვლევის კომპანიამ განახორციელა ბაზრის კვლევა, რომლის მიხედვითაც კიბერ დაზღვევის გლობალურმა ბაზარმა 2018 წელს შეადგინა 4.85 მლრდ აშშ დოლარი, რომელიც ნავარაუდევია, რომ 2026 წლისთვის მიაღწევს 28.6 მლრდ აშშ დოლარს.

კიბერ დაზღვევა განსხვავდება სხვა განვითარებული სადაზღვევო პროდუქტებისგან მარეგულირებელი, ინდუსტრიული და საბაზრო ფაქტორების მიხედვით. დღეს კიბერ დაზღვევის ბაზარი არის უფრო მცირე ზომის, ვიდრე ტრადიციული სადაზღვევო პროდუქტებისა. მსოფლიოს მასშტაბით 2015 წელს 50-ზე ნაკლები

---

[23] Ganbayar Uuganbayar et al. Optimisation of cyber insurance coverage with selection of cost effective security controls., Computers & Security, Volume 101, 2021

კომპანია სთავაზობდა კიბერ დაზღვევას ევროპაში. 2019 წლისთვის აშშ-ში დაახლოებით 200 მზღვეველი სთავაზობდა მომხმარებელს კიბერ დაზღვევას. კიბერ დაზღვევის ბაზარი ვითარდება თანდათანობით. მაგალითად, იზრდება მენეჯმენტის ცნობიერება კიბერ რისკებთან დაკავშირებით. ნაკლებია გაურკვევლობა თუ რა უნდა დაფაროს კიბერ დაზღვევამ.

ინსტიტუციურ თეორიას შეუძლია მნიშვნელოვანი პუნქტები შემოიტანოს კიბერ დაზღვევის ბაზარზე არსებული პრობლემის მოგვარებაში. განსაკუთრებით აღნიშნული თეორია გვეხმარება გავიგოთ, ავხსნათ და ჩამოვაყალიბოთ კიბერ დაზღვევის ინდუსტრიაში მონაწილე სხვადასხვა მხარის ინტერესები და ქმედებები. ინსტიტუტები არის მაკრო დონის თამაშის წესები, რომელიც მოიცავს ფორმალურ ინსტიტუტებს, როგორიცაა წესები, კანონები, კონსტიტუცია და არაფორმალური ინსტიტუტები, როგორიცაა სოციალური ნორმები, კონვენციები და თვითშემზღუდველი წესები. სკოტი მიუთითებს სამ ინსტიტუციურ სვეტს: მარეგულირებელი, ნორმატიული და კულტურულ-კოგნიტური. განვიხილოთ სკოტის 3 ინსტიტუციური სვეტი კიბერ დაზღვევის მაგალითზე.

კიბერ დაზღვევის კონტექსტში მარეგულირებელი ინსტიტუტები მოიცავს კანონებს და წესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე. მაგალითად კიბერ დაზღვევის სწრაფი ზრდა ევროპულ ბაზარზე შეიძლება დავუკავშიროთ ევროკავშირის გენერალური მონაცემების დაცვის აქტის თანმხლებ რისკებს. შესაძლებელია მთავრობამ სავალდებულო გახადოს ყველა მზღვეველისთვის, რომ მომხმარებლებს შესთავაზონ კიბერ დაზღვევა. გაზრდილ კონკურენციას ექნება დადებითი გავლენა კიბერ დაზღვევის ხელმისაწვდომობაზე. სამთავრობო პოლიტიკას ასევე შეუძლია გაზარდოს კიბერ დაზღვევის სექტორისთვის საჭირო სამუშაო ძალა, მონაცემები და საკვანძო კომპონენტები.

ნორმატიული ინსტიტუტები დაკავშირებულია მორალურ და სოციალურ კონვენციებთან. ძირითადი პრობლემები ნორმატიული ინსტიტუტების შემთხვევაში ასოცირებულია პროფესიულ და სოციალურ ვალდებულებებთან. ნორმატიული ინსტიტუტები ასევე მოიცავს სავაჭრო თუ პროფესიულ ასოციაციებს, ინდუსტრიულ ჯგუფებსა და არამომგებიან ორგანიზაციებს. მათ შეუძლიათ გამოიყენონ სოციალური სავალდებულო მოთხოვნები რათა წაახალისონ გარკვეული ქცევები. კიბერ დაზღვევის ინდუსტრიაში არაფორმალურ წესებს შეუძლიათ შექმნან გარკვეული ვალდებულება კანონის გარეშე. ამასთანავე სავაჭრო და პროფესიული ასოციაციები შეიძლება ჩართული იყვნენ ცნობიერების ამაღლების აქტივობებში თუ ლობისტურ კამპანიებში.

კულტურულ-კოგნიტური ინსტიტუტების თვალსაზრისით კიბერ დაზღვევის კონტექსტში ყველაზე რელევანტური საკითხია ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიმღებთა წარმოდგენები კიბერ დაზღვევაზე.[24]

2021 წლის თებერვლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 18 სადაზღვევო კომპანია, რომლებიც ფლობენ ორივე - სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.[25] აქედან 3 კომპანია მომხმარებელს სთავაზობს კიბერ დაზღვევას. აღნიშნული კომპანიებია: ალდაგი, არდი დაზღვევა და უნისონი. სადაზღვევო კომპანიები ალდაგი და არდი ოფიციალურ ვებგვერდზე არ უთითებენ კიბერ დაზღვევის პროდუქტის მახასიათებლებს, ალდაგი კიბერ დაზღვევის პროდუქტს სთავაზობს კორპორატიულ კლიენტებს, ხოლო არდი დაზღვევა ფინანსურ

---

[24] Kshetri, Nir. “The Evolution of Cyber-Insurance Industry and Market: An Institutional Analysis.” Telecommunications Policy, vol. 44, no. 8, 2020

[25] http://insurance.gov.ge/ka/page/insurers. უკანასკნელად გადამოწმდა 09.03.2021

ორგანიზაციებს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა დაუკავშირდნენ მათ. სადაზღვევო კომპანია უნისონს კი ოფოციალურ საიტზე მითითებული აქვს კიბერ დაზღვევის სფეროები, რომლებიც მოიცავს: პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაციის პასუხისმგებლობას, კიბერ შეტევის შედეგად დამდგარ რეპუტაციულ ზიანს, კიბერ შეტევის შედეგად გამოწვეულ იურიდიულ ხარჯებს და ქსელის მუშაობის უწყვეტობას.[26]

დასკვნა. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კიბერ შეტევებთან დაკავშირებული რისკები და დანაკარგები, რაც ინფორმაციული რევოლუციის ერთ-ერთი თანმდევი პროცესია. იმისათვის, რომ მოხდეს კიბერ საფრთხეების შემცირება, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ეფექტიანი თანაფარდობა კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო ინვესტიციებსა და კიბერ დაზღვევას შორის. ჯერჯერობით კიბერ დაზღვევის ბაზარი იმყოფება განვითარების ეტაპზე, რომელიც აწყდება უამრავ პრობლემას, ეს კი კიბერ რისკების ბუნებასთანაა დაკავშირებული. აქ მთავარი პრობლემებია საერთო შეთანხმების არარსებობა სადაზღვევო დაფარვის მასშტაბებზე, უნიფიცირებული წესების არარსებობა, მორალური საფრთხის და არარსასურველი შერჩევის პრობლემა და ფასდადების საკითხები, მაშინ როდესაც არ არსებობს შესაფერისი ინფორმაცია კიბერ ზარალების ოდენობის შესახებ. საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებიდან მხოლოდ 3 კომპანია სთავაზობს კიბერ დაზღვევის პროდუქტებს, მაგრამ როგორც სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, ჯერჯერობით არ არის მოზიდული პრემია დაზღვევის ამ სახეობაში.

---

[26] https://unison.ge/b2b/insurance/cyber. უკანასკნელად გადამოწმდა 09.03.2021

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ganbayar Uuganbayar et al. Optimisation of cyber insurance coverage with selection of cost effective security controls., Computers & Security, Volume 101, 2021;

2. Kshetri, Nir. “The Evolution of Cyber-Insurance Industry and Market: An Institutional Analysis.” Telecommunications Policy, vol. 44, no. 8, 2020;

3. Scott J. Shackelford, should your firm invest in cyber risk insurance? Business Horizons, Volume 55, Issue 4, 2012, Pages 349-356;

4. Shaun S. Wang, Integrated framework for information security investment and cyber insurance, Pacific-Basin Finance Journal, Volume 57, 2019;

5. https://aldagi.ge/ka/korporatiuli-dazgveva?category=98. უკანასკნელად გადამოწმდა 09.03.2021;

6. https://www.gpih.ge/gpih/org/businessclass.php. უკანასკნელად გადამოწმდა 09.03.2021;

7. http://insurance.gov.ge/ka/page/insurers. უკანასკნელად გადამოწმდა 09.03.2021;

8. https://unison.ge/b2b/insurance/cyber. უკანასკნელად გადამოწმდა 09.03.2021.

HR ტექნოლოგიები როგორც კორპორატიული კულტურის განვითარების ინსტრუმენტები
HR technologies as tools for the development of corporate culture

იაკობ იაჟიან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით ჩახვაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Iakob Iazhian - Georgian Technical University
Davit Chakhvashvili - Georgian Technical University

რეზიუმე: თანამედროვე ორგანიზაციებისათვის ყველაზე დიდი გამოწვევაა ძლიერი და მიმზიდველი კომპანიის კულტურის შექმნა. კორპორატიული კულტურისა და პერსონალის ფსიქოლოგიური მახასიათებლების აქტიური შესწავლის მიუხედავად, შედარებით მცირე ყურადღება ექცევა კორპორატიული კულტურის ცვლილებებს, მათი სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტს კუთხით. ამიტომ, აუცილებელია ამ პროცესის შესწავლა და პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ რესტრუქტურიზაციის პროცესის ეფექტურ გატარებას და შეამცირებენ დესტრუქციულ ცვლილებებს, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბიზნეს ორგანიზაციებისთვის, არამედ ზოგადად ნებისმიერი სფეროს ორგანიზაციისთვის. ნაშრომის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ბიზნესის სფეროში არსებული ტენდენციები იწვევს როგორც ორგანიზაციის სტრუქტურისა ისე ფსიქოლოგიური კლიმატის ცვლილებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთლიანად კორპორატიული კულტურის ცვლილება და შესაბამისად პერსონალის ეფექტურობის შეცვლა. ნაშრომში შევეცდებით დავასაბუთოთ კავშირი კორპორაციულ კულტურის, გუნდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებსა და თანამშრომელთა პირად მახასიათებლებს შორის, რომელზეც შეიძლება გავლენა მოვახდინოთ ადამიანური რესურსების ტექნოლოგიების შემუშავება/გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, კორპორატიული კულტურა, HR ტექნოლოგიები, ადამიანური ფაქტორი, მართვის მოდელები

Summary: The biggest challenge for modern organizations is to create a strong and attractive company culture. Despite the active study of the corporate culture and

the psychological characteristics of the staff, relatively little attention is paid to the changes in the corporate culture, in terms of their socio-psychological aspect. Therefore, it is necessary to study this process and develop programs that will facilitate the restructuring process effectively and reduce destructive changes, which is important not only for business organizations, but for organizations in any field in general. The relevance of the paper lies in the fact that the current trends in the field of modern business lead to changes in both the structure of the organization and the psychological climate, which can lead to a change in the overall corporate culture and consequently change the effectiveness of staff. In this paper we will try to substantiate the connection between corporate culture, team socio-psychological characteristics and personal characteristics of employees, which can be influenced by the development / use of human resource technologies.
Keywords: Human Resource Management, Corporate Culture, HR Technologies, Human Factor, Management Models

შესავალი: ადამიანური რესურსი ყველაზე კრიტიკული რესურსია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტიანობას. დღეს, ყველა ორგანიზაციისთვის მთავარ გამოწვევას პროფესიონალი კადრის საჭიროება წარმოადგენს.

ამ პროცესში ადამიანური რესურსების სწორ მენეჯმენტს გადამწყვეტი პასუხისმგებლობა აქვს მინიჭებული. ის უზრუნველყოფს თანამშრობლებსა და კომპანიას შორის შრომითი ურთიერთობების მართვას. კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ ფუნქციებს, კომუნიკაციის გამართულობას, რაც კომპანიის საერთო პროდუქტიულობასა და შედეგზე აისახება.

შესაბამისად, HR ტექნოლოგიები არის ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება პერსონალის მენეჯმენტისა და მთლიანად ორგანიზაციის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ეს არის ადამიანური რესურსების მართვის ტექნიკების, მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა. სპეციალისტები მას იყენებენ დარგის სხვადასხვა მიმართულებებით, როგორიცაა:

- პერსონალის შერჩევა, გადამზადება;
- გუნდში ახალი თანამშრომლის ადაპტაცია;
- პერსონალის შრომითი საქმიანობის ეფექტურობის კონტროლი და შეფასება;
- თანამშრომელთა ტრენინგი ან გადამზადება;
- მოტივაცია.

ადამიანური რესურსების განვითარების, როგორც ორგანიზაციის საქმიანობის წარმოების ძირითადი ფაქტორის და ინტერესის ზრდასთან ერთად, იზრდება HR ტექნოლოგიების მრავალფეროვნების საჭიროებაც.

ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა: Friend Work Recruiter-(პერსონალის მოზიდვა), „1C“-(საკადრო აღრიცხვა), “SHL და Talent Q”-(შეფასების სისტემა), “Amazing Hiring”-(კანდიდატების ძებნა სოციალურ ქსელებში, ვიდეო ინტერვიუები) არის პერსონალის თანამედროვე მენეჯმენტში გამოყენებული ინფორმაციული HR-ტექნოლოგიების მაგალითები.

ძირითადი ტექსტი: ფსიქოლოგიური ტესტების ან საპროექტო ტექნიკის გამოყენება ინტერვიუებისთვის, გადამოწმება და პერსონალის პროფაილინგის შექმნა, პერსონალისთვის სასწავლო პროგრამების ჩატარება, ორგანიზაციის თანამშრომლების მდგომარეობის დიაგნოზირება, KPI სისტემის დანერგვა, პერსონალის ეფექტური სასწავლო პროგრამის შედგენა - ასევე სხვადასხვა HR მენეჯმენტის პერსონალის საქმიანობაში გამოყენებული ტექნოლოგიებია.

მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, HR ტექნოლოგიების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგი კატეგორიზაციით:

- პერსონალისა და სამუშაო პირობების დაგეგმვა (პირობების ანალიზი);
- შერჩევა;
- ადაპტაცია;

- კარიერის დაგეგმვა;
- განათლება და განვითარება;
- შრომის ეფექტურობის შეფასება და კონტროლი;
- პერსონალის მოტივაცია.

HR ტექნოლოგიების თითოეულ ჯგუფს აქვს საკუთარი სპეციფიკა და მოითხოვს ცალკე უფრო დეტალურ განხილვას და შესწავლას.

ნაშრომში განხილული იქნება განმავითარებელი HR ტექნოლოგიები, ვინაიდან პერსონალის ტრენინგი და განვითარება არის ინსტრუმენტი, რომელიც თანამედროვე პირობებში საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ თანამშრომლების მუშაობა და მნიშვნელოვნად გავზარდოთ კომპანიის საქმიანობის ხარისხი. პერსონალის განვითარება იწყება ადაპტაციის პროცესიდან და გრძელდება ორგანიზაციაში მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

პერსონალის განვითარების პროგრამების განხორციელების შედეგად იზრდება ცოდნისა და კომპეტენციის დონე, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება მისი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სწავლებისა და განვითარების მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად:

- სწავლების ტრადიციული მეთოდები (ლექციები, სემინარები, სასწავლო ვიდეოები);
- აქტიური სწავლის მეთოდები (ტრენინგები, პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტრენინგი, ჯგუფური დისკუსიები, საქმიანი და როლური თამაშები, ქცევითი მოდელირება და ა.შ);
- პროფესიული სწავლების მეთოდები (სამრეწველო ტრენინგი, ინდუსტრიული ბრიფინგი, პროექტის გუნდებში მუშაობა, ტრენინგი, სტაჟირება, როტაცია, რიგ ასისტენტებთან მუშაობა).

HR ტექნოლოგიების განვითარება ორგანიზაციის კორპორატიული კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ორგანიზაციის

ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მოგების მიღებისა და კომპანიის ბაზარზე კომპანიის ღირებულების გაზრდის გარდა, პერსონალის ეფექტურობის გაუმჯობესება და რესურსების რაციონალური გამოყენებაა. ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია სტრატეგიულად გააზრებული მენეჯმენტის პოლიტიკის გამოყენებით. ამ პროცესში HR მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს , ის პასუხისმგებელია ხელსაყრელი სამუშაო გარემოს, ორგანიზაციის იმიჯის შექმნაზე, სამუშაო ჯგუფის შეკრებასა და თანამშრომელთა ინტერესების დაკავშირებაში.

HR ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ გუნდის შექმნას და კორპორატიული სულისკვეთების შეკრებას, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციის კორპორატიული კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში. ეს ტექნოლოგიები მოიცავს: კორპორატიული ღონისძიებებისა და შვებულებების პროგრამის შექმნას, თანამშრომლებს შორის არაფორმალური კომუნიკაციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და მენეჯერისგან უკუკავშირის მიღებას, ორგანიზაციულ ტრენინგისა და პერსონალის განვითარების პროგრამის ფორმირებას.

კორპორატიული კულტურის კონცეფცია, მისი განვითარების ისტორია: "კორპორატიული კულტურის" ცნება (რომელიც ექვივალენტურია "ორგანიზაციული კულტურის" ცნებისა) ასოცირდება პირველ რიგში "კულტურასთა " და "ორგანიზაციასთან". კულტურა ხშირად განიხილება, როგორც ქცევის, კომუნიკაციისა და თვითგამოხატვის არაფორმალური მოდელები, რომლებიც თან ახლავს კონკრეტული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს, მათ შორის ორგანიზაციებს. ორგანიზაცია კი არის ადამიანთა ჯგუფი, რომლის საქმიანობაც შეგნებულად არის კოორდინირებული საერთო მიზნის მისაღწევად.

შესაბამისად კორპორატიული კულტურა არის ქცევების, სიმბოლოების და მითების ერთბლიობა რომლებიც შეესაბამება ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ ფასეულობებს. ის მოიცავს

ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიასა და პრინციპებს, ქცევის სტანდარტებს, პრობლემების გადაწყვეტილების გზებს და შრომით ატმოსფეროს.

კორპორატიული კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი ე. შეინი განსაზღვრავს მას, „როგორც ყველასათვის გაზიარებული ქცევითი ნორმების მოდელი“, ორგანიზაციული კულტურა არის აზროვნების სტილი და მოქმედებების საშუალება , რომელიც გადაიზარდა ჩვევებში და გახდა ტრადიცია. მას ამა თუ იმ ხარისხით ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი იზიარებს. ის გადაეცება ყველა მის წევრს ზეპირი ფორმით და უნდა იყოს აითვისებული და ნაწილობრივ მაინც აღიარებული ახალბედების მიერ. წინაამღდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გახდებიან კოლექტივის სრულფასოვანი წევრები.

ჯ. კოტერისა და ჯ. ჰესკეტის აზრით, ორგანიზაციაში კულტურას აქვს ორი დონე: ღირებულებითი და ქცევითი. ღირებულებები არის რწმენა იმის შესახებ, რაც არის ”სასიცოცხლო”, ხოლო ქცევაა ”ქცევა, ცხოვრების წესი“, რომელსაც ორგანიზაციის წევრები მიესალმებიან და მხარს უჭერენ.

მაგალითად, ს.პ. რობინსმა იგი განმარტა, როგორც "სოციალური წებო, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას მთლიანობის შენარჩუნებაში აზროვნებისა და ქცევის მისაღები სტანდარტების შექმნით".

ბევრი გამოყოფს კორპორაციულ კულტურაში ორ დონეს: გარე (ქცევის წესები, მეტყველება, არტეფაქტები, ფორმალური კანონები, წარმოების მეთოდები, ნოუ-ჰაუ) და შინაგანი (იდეები, რწმენა, აზროვნების გზა, ფასეულობები, დამოკიდებულებები, მიმდებარე სამყაროს აღქმა). ამიტომ, კორპორატიული კულტურა წარმოადგენს ამ კომპონენტების ერთობლიობას.

მიუხედავად ამისა, დღეს, ისევე როგორც ადრე, არ არსებობს კორპორატიული კულტურის ზოგადად მიღებული ერთიანი განმარტება. საერთოდ, კორპორატიული კულტურა ნიშნავს

მატერიალური და სულიერი ღირებულებების გარკვეულ სისტემას, ქცევის ნორმებს და მოცემულ ორგანიზაციაში არსებულ ურთიერთქმედებას, რომელიც ორგანიზაციის ყველა წევრს აქვს და ასახავს მის ინდივიდუალობას.

კორპორატიული კულტურის კონცეფცია, როგორც წარმატების გასაღები, გახდა აქსიომა დღევანდელი წარმატებული კონკურენტული კომპანიებისთვის. თ. პეტერსისა და რ. ვატერმანის მიერ ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა კავშირი კორპორატიული კულტურის არსებობასა და წარმოების მაღალ მაჩვენებლებს შორის. მათ ჩაატარეს კვლევა, ძლიერი და სუსტი კორპორატიული კულტურის მქონე 32 კომპანიაში და აღმოჩნდა რომ, ძლიერი კორპორატიული კულტურის მქონე კომპანიებს აქვთ მოგების, წილის ფასისა და მოგების უფრო მაღალი მაჩვენებლები.

ეფექტური კორპორატიული კულტურა ხასიათდება შემდეგი ძირითადი კომპონენტებით:

- გუნდური სულისკვეთება (Team Spirit)
- ორგანიზაციისადმი ლოიალურობა
- სამუშაო ხარისხისადმი მაღალი მოთხოვნები
- მზადყოფნა ცვლილებებისადმი, ადაპტირება
- კადრების დაბალი დენადობა

ძლიერი კორპორატიული კულტურა - ორგანიზაციის ყველა წევრის მიერ გაზიარებული კორპორატიული კულტურაა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქცევაზე, ზრდის ორგანიზაციული პრინციპების უწყვეტობას და თანმიმდევრულობას, რაც წარმოადგენს ოფიციალური ბიუროკრატიული სტრუქტურის უფრო ეფექტურ ალტერნატივას.

კორპორატიული კულტურა, ისევე როგორც პიროვნული თვისებები, არამატერიალური გამოსახულებაა, რომელიც ორგანიზაციის ცხოვრებას აძლევს მნიშვნელობას, მიმართულებას და საფუძველს. ისევე, როგორც ხასიათი ახდენს გავლენას ადამიანის ქცევაზე,

კორპორატიული კულტურა გავლენას ახდენს კომპანიის ადამიანების ქცევაზე, მოსაზრებებსა და ქმედებებზე.

ჰოლტორნის ექსპერიმენტის შედეგად (1925-1932), რომელიც ჩატარდა ელტონ მაიოს ხელმძღვანელობით, , გაირკვა, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ქცევის არაფორმალური ფორმები და გუნდში ადამიანური ურთიერთობები გავლენას ახდენს როგორც პროდუქტიულობაზე, ასევე შეუძლიათ ხელი შეუშალონ ინოვაციებს მენეჯმენტის მხრიდან.

კორპორატიული კულტურის სტრუქტურული ელემენტები: ორგანიზაციის ფარგლებში, კორპორატიული კულტურა, როგორც არაფორმალური სტრუქტურა, მჭიდრო კავშირშია ფორმალურ სტრუქტურასთან. და სწორედ ორგანიზაციის დამფუძნებლებს აქვთ გადამწყვეტი გავლენა კორპორატიული კულტურის ფორმირებაზე. ორგანიზაციის ხედვის, მისიისა და მიზნების ფორმულირების პარალელურად იქმნება კორპორატიული კულტურის საფუძველი. მისიის შემუშავებისას, კომპანიის გარე ადაპტაციასთან და შიდა ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისას იქმნება კომპანიის ძირითადი იდეები და ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს კორპორატიული კულტურის განვითარებას. ამრიგად, კორპორატიული კულტურის ფორმირებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციული სტრუქტურის ზედა რგოლი. ზუსტად მენეჯმეტის ამოცანაა გააცნობიეროს მისი პირადი და კორპორატიული კულტურის როლი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, სწორად განსაზღვროს მისი თვისებები, შეასწოროს და შეინარჩუნოს მოცემულ დონეზე.

რ. ლიკერტის თეორიის თანახმად მენეჯერის კოლეგებთან და ქვეშევრდომებთან ურთიერთობის მეთოდიდან გამომდინარე არსებობს მენეჯმენტის 4 სტილი:

1. ექსპლუატაციურ-ავტორიტარული: ავტოკრატი მმართველი, რომელიც არ ენდობა თავის დაქვემდებარებულ პირებს და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს. მთავარი სტიმული არის სასჯელის

საფრთხე, ჯილდოები შემთხვევითია, ურთიერთქმედება ემყარება ურთიერთ უნდობლობას. ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაცია წინააღმდეგობაშია.

2. პატერნალისტ-ავტორიტარული: ლიდერი ხელსაყრელ პირობებს აძლევს დაქვემდებარებულებს შეზღუდული მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღებაში. თანამშრომელთა მოტივაცია არის ნამდვილი ჯილდო და პოტენციური სასჯელი. არაფორმალური ორგანიზაცია ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ფორმალურს.

3. საკონსულტაციო: ხელმძღვანელი იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს - დელეგატებს ქვეშევრდომებში მოტივაციის ასამაღლებლად. არაფორმალური ორგანიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ არ ემთხვევა ფორმალურს.

4. დემოკრატიული: ურთიერთობის საფუძველია კოლეგიალური მენეჯმენტი, უფლებამოსილების დელეგირება. სრული ნდობა, ორგანიზაციის მენეჯმენტში პერსონალის ფართო ჩართულობის საფუძველზე. კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი არა მხოლოდ ვერტიკალური მიმართულებით მიდის, არამედ ჰორიზონტალურად, ინტეგრირებული. ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები ურთიერთქმედებენ კონსტრუქციულად.

მართვის სტილის არჩევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ლიდერის პირადი მახასიათებლები, არამედ ორგანიზაციის ზომა, მისი განვითარების ეტაპი, საქმიანობის პირობები და ხასიათი.

ამასთან, ორგანიზაციაში კორპორატიული ურთიერთობების საფუძვლის ჩადება არ შემოიფარგლება მისიის, მიზნების, კომპანიის ფილოსოფიისა და ორგანიზაციული ურთიერთობების საფუძვლების ფორმირებით. კორპორატიული კულტურის შექმნის პროცესი უფრო რთულია, რაც ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმებისა და ტექნიკის კომბინაციით. ე.შეინის მიხედვით, განასხვავებენ

ორგანიზაციის წევრებზე კულტურული საფუძვლების დანერგვის პირველად და მეორად მექანიზმებს.

პირველადი:

- ხელმძღვანელის ყურადღების კონცენტრირება საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტებზე;
- წახალისების და ჯილდოების განაწილების კრიტერიუმები (მოქმედების პრიორიტეტების სისტემა);
- განზრახ როლური მოდელების შექმნა (ლიდერი მიზანმიმართულად აჩვენებს როლის მოდელს დაქვემდებარებაში);
- კრიტიკული სიტუაციების და კრიზისების გადაჭრის სტრატეგიები (კრიტიკულ სიტუაციებში ქცევა ქმნის კორპორატიული კულტურის ახალ ფუნდამენტურ პრინციპებს);
- შერჩევის კრიტერიუმები დაქირავების, დაწინაურების და გათავისუფლების მიხედვით (კრიტერიუმები პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციის კორპორაციულ ღირებულებებთან).
- მეორადი:
- კომპანიის შემადგენლობა და სტრუქტურა (სტრუქტურის ბუნება განსაზღვრავს კორპორაციულ ღირებულებებს ”მენეჯერი-დაქვემდებარებული” ურთიერთობასთან მიმართებაში);
- ორგანიზაციის სისტემები და პრინციპები (ანგარიშებისა და პროცესების დროის ციკლი);
- შენობის ინტერიერის დიზაინი, ფასადის და ზოგადად შენობების დიზაინი (გარეგანი)
- კორპორატიული ღირებულებების "ვიზუალიზაცია";
- მოთხრობები, ისტორიები, მითები ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე და ადამიანებზე;

- ოფიციალური განცხადებები და დოკუმენტები, რომლებიც აცხადებენ კომპანიის კრედოს, მისი ფილოსოფიისა და იდეოლოგიის შესახებ.

ორგანიზაციის არსებობის საწყის ეტაპზე და უკვე შედარებით ჩამოყალიბებულ კორპორაციულ კულტურაზე უზრუნველყოფას ახორციელებენ მისი დამფუძნებლები და მფლობელები, მაგრამ მომავალში დაქირავებული მენეჯერებისა და ახალი თანამშრომლების გაჩენისთანავე, კორპორატიული ღირებულებების შენარჩუნება რთულია. ამ ამოცანის შესრულება ევალება პერსონალის მართვის სამსახურს, რომელიც თავის საქმიანობაში განსაზღვრავს კორპორატიული კულტურის შენარჩუნების 3 ძირითად მიმართულებას:

- პერსონალის შერჩევა. შერჩევა წყვეტს ორმაგ გამოწვევას: ერთის მხრივ, ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს შეარჩიოს კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ არა მხოლოდ თანამდებობის მოთხოვნებს, არამედ კომპანიის კორპორაციულ ღირებულებებს. ხოლო მეორეს მხრივ, კანდიდატები ადგენენ თავიანთ შესაბამისობას ორგანიზაციის კულტურისთვის და წყვეტენ სურთ თუ არა იქ მუშაობა.
- ორგანიზაციული სტრუქტურის უმაღლესი რგოლის საქმიანობა: სწორედ მენეჯმენტი აყალიბებს მოტივებსა და პირობებს, რომლებიც ჩვეულებრივ თანამშრომლებს უბიძგებენ, მიიღონ დამოკიდებულება და ღირებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ორგანიზაციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან დაქვემდებარებულთა ქცევითი დამოკიდებულების ფორმირებაზე. "მოქმედება-შედეგის" მიღებული მოდელი თანაბრად უნდა იქნას გამოყენებული ყველა თანამშრომელთან მიმართებაში.

- კულტურული ადაპტაცია (კულტურაცია ან სოციალიზაცია) და მისი ეტაპები. ადაპტაციის ღონისძიებები აუცილებელია ახალი თანამშრომლებისთვის არა მხოლოდ სამუშაო ადგილისა და ფუნქციონალური გაცნობისთვის, არამედ ორგანიზაციის კორპორატიული კულტურის გასაცნობად და ათვისებისთვის. გამომდინარე კომპანიის წესებისა და პროფესიული საქმიანობის ხასიათისა, ისითი შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ფორმატში. ეს არის ორმხრივი პროცესი, ვინაიდან არა მხოლოდ ორგანიზაცია ახდენს გავლენას ახლადმოსულზე, არამედ ახალწვეულიც ცვლილებებს ახდენს ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატში და მთლიანად ორგანიზაციაში. კულტურაციის პროცესში არსებობს 3 ეტაპი: წინასწარი (სამსახურში შესვლამდე), "შეჯახების" ეტაპი და "მეტამორფოზის" ეტაპი.

ნებისმიერ ორგანიზაციაში არსებობს ფორმალური სტრუქტურა, რომელიც ასახავს კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და იერარქიას, და არაფორმალური სტრუქტურა, რომელიც ხშირად კვეთს და ზოგჯერ არღვევს ფორმალურ დონეს. მაგრამ ის აკმაყოფილებს თანამშრომელთა ჭეშმარიტ მოთხოვნილებებს და მათ ერთიან გუნდად აყალიბებს. ორგანიზაცია არის კოლაბორაციული ჯგუფების კრებული, რომლებიც გავლენას ახდენენ კორპორაციულ კულტურაზე და ზოგადად, ორგანიზაციულ ქცევაზე. სწორედ ამ ჯგუფებში არსებობს მათი საკუთარი სოციალური ნორმები და წესები, რომლებიც შეიძლება გარკვეულწილად განსხვავდებოდეს დომინანტი კულტურისგან. ანუ, ნებისმიერ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს დომინანტი კულტურა, სუბკულტურა და კონტრკულტურა.

თუ დომინანტური კულტურა კულტურის მაკრო მიდგომაა, რომელიც გამოხატავს ორგანიზაციის გამორჩეულ მახასიათებლებს, ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებულ მთავარ ცენტრალურ ღირებულებებს, მაშინ სამუშაო ჯგუფების ღირებულებები და მახასიათებლები გამოხატულია სუბკულტურაში.

სუბკულტურები განვითარებულია დიდ ორგანიზაციებში, სადაც თანამშრომლებს უნდა მოერგონ თავიანთი საქმიანობის სპეციფიკა (ფუნქციური მომსახურება) ან ადგილობრივი პირობები (ტერიტორიული სამსახურები). იგი მოიცავს დომინანტი კულტურის ძირითად ღირებულებებს და დამატებით ღირებულებებს, რომლებიც მხოლოდ ამ დეპარტამენტის წევრებისთვისაა დამახასიათებელი. ყველაზე ხშირად, სუბკულტურა არსებობს დომინანტური კულტურის თანაბარ ჯგუფში, ან წარმოადგენს მის დამატებას.

კონტრკულტურა წარმოადგენს სუბკულტურის სპეციფიკურ სახეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის კომპანიის საქმიანობას. კონტრკულტურის გაჩენა ჩვეულებრივ ასოცირდება იმ ფაქტთან, რომ პირობები, რომელშიც ჯგუფები ან ინდივიდები ფუნქციონირებენ, ვერ უზრუნველყოფს მათ ჩვეულ ან სასურველ კმაყოფილებას და შედეგს. შესაბამისად, კორპორატიული კულტურის ხელმძღვანელობისა და მექანიზმების ამოცანაა მიაღწიონ ძირითადი ორგანიზაციული მიზნებისა და მისი წევრების მაქსიმალურ დაახლოებას, დომინანტი კულტურისა და სუბკულტურების მაქსიმალურად ინტეგრაციას.

კორპორატიული კულტურის გამოვლენა შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად (ან დონედ): გარე (რა შეიძლება შეინიშნოს - ოთახის გაფორმება, კორპორატიული იდენტურობა, ატრიბუტები, გამოსვლა, დოკუმენტაცია და ა.შ.) და შინაგანი (ადამიანთა შინაგანი სამყარო, მათი იდეები, რწმენა, ღირებულებები, აღქმის გზები). ყველა ეს კომპონენტი ავსებს ერთმანეთს, რის გამოც მენეჯმენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს კორპორატიული კულტურის როგორც გარე, ასევე შიდა ასპექტებს.

კორპორატიული კულტურის კვლევის პროცესში, სხვადასხვა ავტორებმა შემოგვთავაზეს ორგანიზაციების კორპორატიული კულტურის დონისა და ასპექტების საკუთარი კლასიფიკაცია.

დასკვნა: ზემოდთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ HR- საქმიანობა მრავალფეროვანია და HR სპეციალისტები ასრულებენ ფართო სპექტრის ფუნქციებს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფარგლებში. მათი საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტურობისთვის HR მენეჯერები იყენებენ HR სხვადასხვა ტექნოლოგიას, რომელთა არჩევანი დამოკიდებულია დაკისრებულ დავალებაზე, გამოყენების პირობებსა და გამოყენებულ რესურსებზე.

HR მენეჯერების, აგრეთვე ორგანიზაციების ხელმძღვანელების საქმიანობას დიდი გავლენა აქვს კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. კორპორატიული კულტურა არის არაფორმალური რთული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს გარე (მატერიალური) მანიფესტაციების და შინაგანი (ღირებულებები, რწმენები, ქცევის ნორმები) სისტემას. სხვადასხვა მკვლევარებმა სხვადასხვა გზით დაალაგეს კორპორატიული კულტურის ელემენტები და ასევე ჩამოაყალიბეს მისი ტიპოლოგიები. გამოვლენილი ძირითადი ან ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია განვიხილოთ არსებული ტიპების მრავალფეროვნება, კორპორატიული კულტურის მოდელები, შეისწავლოს მათი გავლენა ორგანიზაციების საქმიანობაზე.

ეფექტური კორპორატიული კულტურის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზაციას აქვს მკაცრი HR პოლიტიკა; გადახდის სისტემა და ჯილდოები; ბიზნეს ეთიკა; ძირითადი კორპორატიული ღირებულებები, პროფესიული კომპეტენციები, რომლებიც გათვალისწინებულია აყვანის დროს, განისაზღვრება და ფიქსირდება; შემუშავებულია შიდაორგანიზაციული კომუნიკაციის სისტემა. კორპორატიული კულტურის ყურადღება და განვითარება მნიშვნელოვანია ორგანიზაციული მენეჯმენტის დროს. ამიტომ ორგანიზაციის

გამლიერებისათვის აუცილებელია კორპორატიული კულტურის ამ მანიფესტაციების შესწავლა, ანალიზი და განვითარება.

კორპორატიული კულტურის ფორმირების პროცესზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მენეჯმენტს, არამედ უშუალოდ ორგანიზაციის პერსონალის მომსახურებას ან HR სპეციალისტებს, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ საკადრო პოლიტიკას.

HR მენეჯერების საქმიანობის ეფექტური და პოზიტიური შედეგების მიღება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტებს აქვთ საჭირო პროფესიული ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები, შესაძლებლობები, რესურსები და გარკვეული ორგანიზაციული პირობები. HR საქმიანობაში მნიშვნელოვანია, რომ შეგეძლოს თანამედროვე HR ტექნოლოგიების კომპეტენტურად გამოყენება, რომელსაც შეუძლია კორპორატიული კულტურის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Josh Bersin - HR Technology 2021: A Definitive Guide. Insights on Corporate Talent, Learning, and HR Technology. 2021
2. Karolina Kurcwald - 8 Human Resource Tech Trends That Will Influence Your Business in 2021. 2020.
3. Deb Card - What's New in HR Tech this Year? HR Tech Conference in Chicago 2020.
4. Technology Trends in HR for 2021 - paychex.com/articles/hcm/technology-trends-in-hr
5. https://www.hrtechnologist.com/

მრეწველობის განვითარების პარადიგმები და საქართველო გლობალურ ეკონომიკურ ჭრილში

Industrial development paradigms andGeorgia in the global economic context

ინგა გიგაური - ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, სტუ
Inga Gigauri – PHD of Business Administration GTU
i.gigairi@gtu.ge
იულია თედეევი - ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, სტუ
Yulia Tedeev - PHD of Business Administration GTU
irma.ted@mail.ru

რეზიუმე: სამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან სწორედ მრეწველობა არის ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული უშიშროების საფუძველი. ამ ამოცანის გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ენიჭება სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებას გრძელვადიანი პერიოდისათვის და საქართველოს როგორც ევროპული ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის ნიშა ადგილის დამკვიდრებას გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში. საჭიროა ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი,ეს ნიშნავს პროდუქციის შექმნას იმ სექტორებში, რომელსაც საექსპორტო პოტენიაციალი აქვს, დამყარებული იქნება წარმოების მაღალ ტექნოლოგიურ განვითარებაზე და კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ პროდუქციას ამისათვის აუცილებელია შევცვალოთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ვექტორი, რათა მომხმარებელი ქვეყნიდან გარდავიქმნათ მწარმოებელ ქვეყნად. დღეს როგორც არასდროს გვესაჭიროება ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია, ჩრდილოვანი ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია, მოსახლეობის ადამიანისეული კაპიტალის ათვისება -რეალიზაცია და ქვეყნის რესურსების(ბუნებრივი, ფინანსური, ტექნიკური, შრომითი, მატერიალური) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენება საბაზრო ეკონომიკის სხვა ფუძემდებლურ პრინციპებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, სამრეწველო-საინვესტიციო პოლიტიკა, თვითკმარი ეკონომიკა,

Fdstract: Development of the industrial complex at the modern requirements level should be one of the main directions of arbitrary country economic policy, because it representis industry that is the basis of economic strength and national security. In the solution of this task, a great role is played by the formation of long term industrial policy and the establishment of a niche for Georgia as one of the members of the European family in the global economic space. A new model of economic growth is needed that means creating products in sectors that have export potential, will be based on high technological development of production and will compete with imported products. Currently, as never before, we need a state strategy of economic security, decriminalization of the shadow economy, misappropriation of human capital of the population and purposeful and rational application of the country's resources (natural, financial, technical, labor, material) along with other basic principles of market economy.

Keywords: Economic security, industrial and investment policy,, Self-sufficient economy,

შესავალი. დღეს, გლობალური პროცესებიდან გამომდინარე სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება და საგარეო კავშირების განმტკიცება. გაღრმავებას ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ეროვნული დარგების მართვის სისტემის რეორგანიზაციამ, წარმოების საშუალებების განსახელმწიფოებრიობამ, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციამ. აღნიშნული მოვლენების განხორციელებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნული მეურნეობის წამყვან დარგს-მრეწველობას.

შედარებისათვის პარალელებს თუ გავავლებთ, დავინახავთ რომ არც თუ შორეულ წარსულში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში მრეწველობის წილი 50%-ზე მეტს შეადგენდა. მასზე მოდიოდა საქართველოს ეროვნული შემოსავლის 36.7%. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის 70%-ზე მეტი გადიოდა პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. უპირატესად მეცნიერებატევადი დარგების განვითარებისათვის შექმნილი იყო შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი-საპროექტო ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები. სამრეწველო

საწარმოები სერიულად უშვებდნენ მაგისტრალურ ელმავლებს, სატვირთო ავტომობილებს, თვითმფრინავებს, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის და ავტომატური მართვის სისტემების დანადგარებს და სხვა. მეურნეობრიობის ძველი სისტემის ლიკვიდაციამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის ეკონომიკა და განსაკუთრებით მისი ხერხემალი-მრეწველობა. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში მრეწველობაში ხდებოდა დიდი საწარმოების რესტრუქტურიზაცია და მცირე ბიზნესის განვითარება, რამაც ხელი შეუწყო ახალი მცირე სამრეწველო საწარმოების ამოქმედებას. ამან განაპირობა საწარმოთა რიცხვის ზრდა, რასაც ადასტურებს შემდეგი მაჩვენებლები: თუ 1990 წელს მრეწველობაში მოქმედებდა 1368 საწარმო, 1996 წლიდან მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 2004 წელს 3257 შეადგინა.დღეის მდგომარეობით კი ეს რაოდენობა თითქმის 10-ჯერ შემცირებულია.უკანასკნელ პერიოდში საქართველოში რეალური ეკონომიკის, განსაკუთრებით ქვეყნის ტრადიციული დარგების(სოფლის მეურნეობა, ტყის მეურნეობა, მრეწველობა) ადგილი საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებმა დაიკავა. შესაბამისად დაეცა ამ დარგების მწარმოებლურობა, მომრავლდა ფინანსისტი სპეკულანტები, რომლებიც შემოსავალს ვალუტების კურსებს შორის სხვაობით იღებენ.ასეთ სიტუაციაში ქვეყანაში ვერც რეალური სექტორი განვითარდა და ვერც ფინანსური ბაზარი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია სწორი სამრეწველო და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების გარეშე.

ინვესტიციების უკმარისობის მიზეზით პრაქტიკულად არ ამოქმედებულა ქვეყანაში რიგი დარგების საწარმოები სამთომომპოვებელ, კვების, მსუბუქი, მანქანათმშენებლობის, რადიოელექტრონული მრეწველობის სისტემაში. ასეთ პირობებში, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ყველაფერს დაერთო პანდემიის კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიაც, გამოიწვია წარმოების პარალიზება. დაკარგულია არა მარტო საგარეო, არამედ შიდა ბაზრის ისეთი სეგმენტებიც, სადაც იგი ადრე ტრადიციულად დომინირებდა. საქართველოს მრეწველობის განვითარების პროცესს თუ

დავაკვირდებით, აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 90- იანი წლებიდან, გარკვეულ დონეს მიაღწია, კერძოდ, საქართველოს მშპ-ში, 2016 წლის მონაცემებით, განსაკუთრებული ხვედრითი წილი უკავია მრეწველობას, 25,1 % და მშენებლობას-11,7%. მრეწველობის ქვესექტორების მიხედვით, უმეტესად განვითარებულია ფოლადის, მარგანე- ცის, ფეროშენადნობების, ცემენტის, მატარებლის ვაგონების, თვითმფრინავების ნაწილებისა სხვა მეტალშემცვლელი პროდუქციის წარმოება.მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა პრივატიზაციის პროცესები და მოხდა სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილს აქციონირება, მრეწველობის განვითარების ტენდენცია საგრძნობ გაუმჯობესებას არ განიცდის. ამიტომ აუცილებელია ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. ინტელექტუალური ტვინების გადინების პროცესმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა მაღალტექნოლოგიური საწარმოების რეაბილიტაციას. ამას დაემატა პანდემიის შედეგად უმრავლეს საწარმოო თუ კერძო სექტორში დასაქმებულთა შემცირება და უმუშევრობის ზრდა, რაც მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს ისედაც რეანიმაციულ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას, ფაქტობრივად სანამ პანდემია მსოფლიოს გლობალური გამოწვევაა,ჩვენი ეკონომიკაც მისი მძევალი იქნება. იმ პირობებში, როდესაც იკლო თითქმის ყველა სექტორში ინვესტიციების შემოდინების პროცესმა და ქვეყნის

საგარეო ვალი მშპ-ს კრიტიკულ ზღვარს 60%-ს გადასცდა და ეკონომიკური ზრდის ინდექსი 7%-ით დაეცა, მოლოდინებიც შესაბამისად უარყოფითია. ცნობისათვის: 2020 წელს საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა 81%-ით, ხოლო საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 82%-ით შემცირდა და 527მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.წლის განმავლობაში შემცირებულია ასევე ექსპორტი 12.0%-ით და 3342.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტის 15.9%-იანი კლება დაფიქსირდა და შესაბამისად

8005.6 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის დასტაბილურების მიზნით სარეკორდო მოცულობის ინტერვენციები განახორციელა და ჯამში 873

მლნ.აშშ დოლარი გაყიდა, სავალუტო რეზერვები მაინც გაიზარდა და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო რეზერვების შევსება კი ცხადია, კრიზისის პერიოდში მოზიდული საგარეო ვალის მეშვეობით მოხდა. ფაქტობრივად ჩვენი ეკონომიკა ინვესტიციების გარეშე გამაცოცხლებელ ტენს მოკლებულ მცენარესავით ჩიავდება. ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი პარალიზებულია. 1100-მა საწარმომ ამ პანდემიის პირობებში არსებობა შეწყვიტა. აღნიშნული კრიზისით გამოწვეული შედეგები ყველაზე მძიმედ აისახა ტურიზმსა და სარესტორნო ბიზნესში. მხოლოდ სარესტორნო ქსელში დასაქმებული 300 ათასი ადამიანიდან, დღეის მდგომარეობით 250 ათასი უმუშევართა რიგებს შეუერთდა. გარედან მიღებულმა ფინანსურმა ინექციებმა სული უნდა შთაბეროს შოკში მყოფ საწარმოებს და აღნიშნული თანხები მიზნობრივად მივმართოთ

მოთხოვნადი სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი დივერსიფიკაციის თვალსაზრისითაც კარგია და ღირებულების მხრივაც. სამრეწველო სამუშაო ძალის სპეციალიზაციით ქვეყანას ექნება საშუალება მხოლოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების (ენერგიის დაბალი ფასი, კარგი კლიმატი) იმედად არ იყოს და ინფრასტრუქტურის, განათლების, საკანონმდებლო სისტემისა და საჯარო მართვის სფეროებიც განავითაროს. კორონავირუსის პანდემიამ ჩვენს ქვეყანას ახალი შესაძლებლობის ფანჯარა გაუღო, რათა სერიოზულად ვიფიქროთ იმპორტის ჩანაცვლებაზე და აუცილებელი პირველადი მოთხოვნილების პროდუქციის საკუთარი ძალებით წარმოებაზე, მით უფრო დღეს, როცა ვხედავთ, რომ მსოფლიოს ქვეყნები თვითკმარ ეკონომიკაზე გადადიან.

ძირითადი ნაწილი. მოგეხსენებათ, რომ დღეს მძაფრი გლობალური კონკურენციისა და ტურბულენტურ გარემოში ეკონომიკური თუ პოლიტიკური ამინდის სწრაფად ცვლილების გამო სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და საკუთარი ნიშა ადგილის დამკვიდრება საერთაშორისო სარბიელზე. თანამედროვე მსოფლიოში თაბრუდამხვევი ტემპებით ვითარდება პროცესები, ვინც ჩამორჩება ამ ტემპებს, ის დაკარგავს

ორიენტაციას და მდევრის როლში მოექცევა. ეკონომიკაში მთავარია არ გამოგრჩეს სვლები და მოქნილი მექანიზმით ფეხდაფეხ მიჰყვე საერთო მოვლენებს. ეკონომიკა ის ღერძია, რომელზეც ბრუნავს გლობალური სახელმწიფო. ,,გადარჩებიან არა ყველაზე ძლიერები და ჭკვიანები, არამედ ისინი, ვინც ყველაზე სწრაფად მოერგებიან ცვალებად გარემოს''- ჩარლ დარვინი

ისმის კითხვა, როგორ შევძლოთ პანდემიამდე 2019 წლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა? ამისათვის ორი გზა არსებობს. ერთი გადის ინოვაციურ მეცნიერებებზე დაფუძნებულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროდუქტების წარმოებაზე. თავის დროზე ეს გზა აირჩია და წარმატებასაც მიაღწია ირლანდიამ. ქვეყანა, რომელმაც რამდენიმე მილიონი ადამიანი დაკარგა, XIX საუკუნეში შიმშილობისა და ემიგრაციის გამო, დღეს მშპ-ით მნიშვნელოვნად უსწრებს გაერთიანებულ სამეფოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა. რამდენად შესაფერისია ირლანდიის გზა საქართველოსათვის? ჩვენ გვყავს ნიჭიერი, ინოვაციური ხალხი, მაგრამ ამას უფრო ფრაგმენტული ხასიათი აქვს. გარდა ამისა, თუ ვნახავთ, რა თანხაა ბოლო წლებში ჩადებული მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში, რაიმე მნიშვნელოვანი გარღვევისა და გარდატეხის იმედი არ უნდა გვქონდეს. გვრჩება მეორე გზა-ქვეყნის სამრეწველო და ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენება. მაგალითად XX საუკუნის დასაწყისში ჭიათურის მანგანუმზე მსოფლიო ექსპორტის 50%-ზე მეტი მოდიოდა. 200 მლნ.ტონა მარაგის კირქვის სამი საბადო და 80 მლნ.ტონა მარაგის თიხების სამი საბადო უზრუნველყოფს საქართველოში ცემენტის წარმოებას, არანაკლებ 50 წლის განმავლობაში. ასევე უხვად არის სააგურე თიხა. ამჟამად 60-მდე საბადო-50 მლნ. $მ^3$ თიხის მარაგით-ქვეყანას უზრუნველყოფს აგურის წარმოებით 20 წლის განმავლობაში. ქვეყანას გააჩნია სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, ტყვია-თუთიის, დარიშხანისა და სხვა წიაღისეული, რომელიც აუცილებელია ფერადი მეტალურგიის და ოქროსმომპოვებელი მრეწველობის განვითარებისათვის, ამ მხრივ დიდი პერსპექტივის მომცემია დამბლუდის, მერისის, კვაისის, ზოფხითოს და მადნეულის კვარციტის

საბადოები. დღეს, როდესაც მთელს მსოფლიოში დასალევ წყალზე მოთხოვნა სულ უფრო მეტად იზრდება, ამ მხრივ ყველაზე მაღალი საექსპორტო პოტენციალი ჩვენს წყლის რესურსებს (კერძოდ, მტკნარ-დასალევ წყალს აქვს. პირდაპირ შეგვიძლია გადმოვიღოთ, მოდელი, რაც თავის დროზე გამოიყენა ნორვეგიის ხელისუფლებამ ნავთობპროდუქტების ათვისებისას. დღესაც ნორვეგია ჩრდილოეთის ზღვაში იმდენ ნავთობს მოიპოვებს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია, როგორც ეკონომიკური განვითარების დონით, ასევე ადამიანური განვითარების ინდექსით. ნორვეგიული მოდელის საიდუმლო ის არის, რომ რესურსები ცხადდება მთელი ქვეყნის სიმდიდრედ და არა საკუთრებად და აქედან სარგებელს იღებს ნორვეგიელი ხალხი. ნავთობი სპეციალური კომპანიების საშუალებით გადის ექსპორტზე და ფული ბიუჯეტში აკუმულირდება.დღეს ნორვეგიის მომავალი თაობების ფონდში 1 ტრილიონ დოლარზე მეტია, მოსახლეობა კი 5.5 მილიონია. თანხა გადადებულია, რომ თუ ნავთობის მოპოვება შეწყდება, ამ თანხით ქვეყნის ეკონომიკის განვითარება იქნება შესაძლებელი. ჩვენი სახელმწიფო მომავალ თაობებს ჯერჯერობით ვალებს უგროვებს, ამ პანდემიურ პირობებში აღებულმა საგარეო ვალმა მშპ-ს 60%-ს გადააჭარბა, რაც საგანგაშო ნიშნულია, ჩვენნაირი პატარა და განვითარებადი ქვეყნისთვის. შედარებისათვის, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ნორვეგიის სახელმწიფო ვალი მშპ-ს თითქმის მესამედის დონეზე იყო, 2000-იანი წლების დასაწყისიდან ვალების გარეშე ცხოვრობენ და პროფიციტიც კი აქვთ ბიუჯეტში. ანუ ჩვენ რომ ნორვეგიის მოდელი გადმოვიღოთ, მტკნარი წყლები უნდა გამოვაცხადოთ სახელმწიფო საკუთრებად. ნავთობს აქვს ალტერნატივებიც, ევროპაში ნავთობის 35-დან 60%-მდე უნდა ჩანაცვლდეს განახლებადი ენერგიის საშუალებით. წყალზე კი მოთხოვნილება დროთა განმავლობაში მხოლოდ გაიზრდება. მეტიც, უკვე შეინიშნება კონფლიქტები, დაძაბულობა მტკნარი წყლის რესურსების გამო. ამიტომ უნდა გავიხედოთ პერსპექტივაში, შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კორპორაცია და ჩვენი მტკნარი წყლის რესურსები ავამოქმედოთ. ეს უნდა იყოს ზოგადსახელმწიფოებრივი

ინტერესების რეალიზაციის პროექტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს 10-12 წელიწადში საქართველოს ჰქონდეს 2.5-3 ჯერ მეტი მშპ ერთ სულ მოსახლეზე. პანდემიის გამო, 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ექსპორტი 11%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი – 17%-ით. უარყოფითმა ბალანსმა კი 3.7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც თითქმის მილიარდი დოლარით ნაკლებია 2019 წლის იანვარ- ოქტომბრის უარყოფით ბალანსზე. ასევე შეიცვალა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც. ცვლილების შედეგად შემოსულობები 3.9 მილიარდი ლარით გაიზარდა და 18.4 მილიარდი ლარი შეადგინა. შემოსულობების ზრდა მთავრობის მიერ მეტი ვალის აღებამ განაპირობა. ბიუჯეტის გადასახდელები 1.5 მილიარდი ლარით გაიზარდა და 15.9 მილიარდი ლარი შეადგინა. ხარჯების ზრდა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების, ასევე ბიზნესის სუბსიდირების ზრდამ განაპირობა. 24 დეკემბრის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში 17.2 მილიარდი ლარის შემოსულობები იყო მობილიზებული (წლიური გეგმის 93.5%), ხოლო დახარჯული იყო 15.2 მილიარდი ლარი (წლიური გეგმის 95.6%). იხ ნახ.1

საგარეო ვაჭრობაში -5.7 მილიარდი დოლარის ბალანსი ნიშნავს, რომ ქვეყანაში ვაჭრობის შედეგად, აღნიშნული თანხით ნაკლები შემოსავალი შემოდის ვიდრე გადის. ბოლო წლებში ამ დანაკლისს მნიშვნელოვნად ამცირებს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. პანდემიის გამო ვალების ზრდის ტემპიც გაიზარდა. 2020 წლის 10 თვეში საშინაო სახელმწიფო ვალი 1.7 მილიარდი ლარით გაიზარდა, ხოლო საგარეო-1.3 მილიარდი დოლარით.ოქტომბრის ბოლოს სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 58%-ს მიაღწია. სტატისტიკას თუ გადავხედავთ,

საქართველოს სახელმწიფო ვალი, რომელიც მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალებს მოიცავს,2012 წლის ბოლოს 8.4 მილიარდი ლარი იყო, მშპ-ის მიმართ 30.8%, 2019 წლის ბოლოს კი 20.7 მილიარდი ლარი იყო, მშპ-ის მიმართ 42%. 2013 – 2019 წლებშიიზრდებოდა როგორც საგარეო სახელმწიფო ვალი, ასევე

საშინაო სახელმწიფო ვალი. ლარში გამოხატული საგარეო ვალის ზრდა ლარის კურსის დაცემამაც განაპირობა. 2012 წლის ბოლოს თუ 1.2 მილიარდი ლარი იყო, 2019წლის ბოლოს 3,5-ჯერ მეტი, 4,2 მილიარდი ლარი გახდა. 2013-2019 წლებში მიღწეული



ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მდგრადი და ცალსახად პოზიტიური იქნებოდა, მასში მნიშვნელოვანი წვლილი კერძო სექტორის საგარეო ვალისა და სახელმწიფო ვალის ზრდას რომ არ შეეტანა.

ნახ.1 საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2011-2019 წწ

საქართველოს საქონლისა და მომსახურების საგარეო ვაჭრობაში უარყოფითი ბალანსი აქვს, რასაც ემიგრანტების გადმორიცხული ფულით, უცხოური ინვესტიციებით და ახალი საგარეო ვალების აღებით აბალანსებს. პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა სავალო

მდგომარეობა და 2021 წელს მთავრობის ვალი კრიტიკულ დონეს, მშპ-ის 60%-ს გადასცდება. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი კი უკვე მშპ-ის 107%-ია და ისევ მატულობს. ასეთი დავალიანება ქვეყნის ეკონომიკას საგარეო შოკებისა და ლარის კურსის მერყეობის მიმართ უფრო მეტად სუსტს ხდის. იხ. ნახ.2



ნახ.2 საქართველოს სახელმწიფო ვალი 2011-2020 წწ

ქვეყნის მრეწველობის განვითარების კონცეფცია მიზნად ისახავს ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებას, მრეწველობაში არსებული რეზერვების გამოვლენას; სამრეწველო კომპლექსის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბების, ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით მრეწველობის პერსპექტიული დარგების აღორძინების ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებას. სახელმწიფო ჩარევას გამორიცხავს სამეწარმეო საქმიანობაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. საქართველოსათვის პრიორიტეტული დარგებია სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარება; სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფომ შეღავათიანი კრედიტები გამოუყო ფერმერებს და გარკვეული საშეღავათო პირობები მისცა მათ,

ფერმერული ეკონომიკა ვერ ვითარდება, არა და მასზეა დამოკიდებულია სწორედ აღნიშნული სექტორის განვითარება, რატომ ხდება ასე? მსოფლიოში ინერგება ინოვაციები, ახალი ტექნოლოგიები, ჩვენ კი ეს ყველაფერი არ გვაქვს, თანამედროვე მიღწევებს ფეხს ვერ ვუბამთ; ვფიქრობთ საქართველოს მინიმუმ 2 წელი მაინც დასჭირდება იმ დონეს რომ დავუბრუნდეთ, რაც პანდემიამდე იყო. მეცნიერ-ეკონომისტების გათვლებით, თუ ქვეყანაში მოხერხდება მთელი საზოგადოებრივი შრომის პროგრესული ორგანიზაცია და შესაძლებლობებს სრულად გამოვიყენებთ, პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება არ წარმოადგენს არავითარ პრობლემას.

ცხრილი №1 პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესაძლო მოცულობა (ათასი ტონა)

პროდუქციის დასახელება	წარმოების I დონე (ქვედა ზღვარი)	IIდონე (ნორმალური პირობები)	IIIდონე (ხელსაყრელი პირობები)
ყურძენი	250-300	350-450	550-600
მარცვლეული	800-1000	1200-1400	1700-2000
ჩაის ფოთოლი	150-200	250-300	350-400
ციტრუსები	70-80	90-100	110-120
კარტოფილი	350-400	450-600	700-800
შაქრის ჭარხალი	140-160	160-180	200-250
ხილი	400-500	600-700	800-1000
ბოსტნეული	450-500	550-700	750-800
ხორცი	130-150	150-180	200-250
რძე	750-800	850-1000	1100-1200
ელექტროენერგია მლრდ. კვტ.სთ	17-20	25-30	35-40
ქვანახშირი	1200-1400	1600-1800	2000-2200
ნავთობი	1300-1500	1800-2000	2200-2400

საქართველოს ეკონომიკა დღეს თითქმის პარალიზებულია. მას თვითონ ინვესტიციების წყარო არ გააჩნია. გარედან მიღებულმა ფინანსურმა ინექციებმა სული უნდა შთაბეროს შოკში მყოფ საწარმოებს. პროდუქციის საბაზო სახეობების წარმოება ცხრილში მოცემულ დონეზე დაბლა არასოდეს არ უნდა შემცირდეს. საქართველოს სოფლის

მეურნეობას დიდი რეზერვები აქვს წარმოების გაფართოებისათვის. ქვეყანას 2 მლნ. ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია. მრავალდარგოვანი ეკონომიკა არ შეიძლება გარდაქმნების პროცესში სტრუქტურულად ზედმეტად გავამარტივოთ და მას ცალმხრივი მახინჯი სახე მივცეთ. საჭიროა მხოლოდ დარგთა ოპტიმიზაცია და პროგრესული ტრანსფორმაცია. პირველ ეტაპზე ამისათვის აუცილებელია სურსათით და ენერგეტიკული რესურსებით ქვეყნის მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფა. საქართველოს ბუნებრივი პირობები, შრომითი რესურსები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზა იძლევა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების: მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის რძის ეფექტიანი წარმოების მკვეთრი გადიდების შესაძლებლობას ისე, რომ ადგილზე გაუწიოს კონკურენცია უცხოეთიდან შემოტანილს ყველა ხარჯისა და მიწოდების საიმედოობის გათვალისწინებით. <u>მეორე პრიორიტეტი-</u> სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ცენტრალური რგოლი- ელექტროენერგეტიკაა. მოსახლეობასთან შეფარდებით, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა ჰიდროენერგორესურსებით. ქვეყანაში 26 ათასზე მეტი დიდი და მცირე მდინარეა. სამრეწველო ჰიდროენერგორესურსების 50%-მდე გამოყენება სრულიად მოხსნიდა ელექტროენერგიის დეფიციტს.

დასკვნა. სახელმწიფომ ქვეყნის ეკონომიკაში უნდა უზრუნველყოს ბაზრის სუბიექტების ნორმალური ფუნქციონირება. სახელმწიფო ხსნის ან არბილებს ეკონომიკის სფეროში წარმოქმნილ დაპირისპირებებს, საბაზრო ეკონომიკის თანმდევ ნეგატიურ შედეგებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მრეწველობის დარგების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა პრიორიტეტების დადგენასა და მათზე ხელშემწყობი ღონისძიებების კონცენტრირებაში. დარგის განვითარების პრიორიტეტებად მიგვაჩნია შემდეგი:

- უნდა განვითარდეს ადგილობრივი სანედლეულო რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული საწარმოები

- მკვეთრად უნდა გადიდდეს კვების მრეწველობის პროდუქციის: ჩაის, სასმელი და მინერალური წყლების, ხილ-ბოსტნეულის, კონსერვების, ეთერზეთების და სხვა პროდუქტების წარმოება;
- მეცნიერებატევად დარგებზე ორიენტირებული ელექტრონიკის, ბიოტექნოლოგიების, საინფორმაციო ტექნიკის განვითარება;
- საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდება;
- მცირე ენერგეტიკისათვის და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიებისათვის დანადგარ-მოწყობილობათა წარმოება;
- ქიმიურ-ფარმაცევტული, მსუბუქი მრეწველობის და საყოფაცხოვრებო მოხმარების სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით უნდა განხორციელდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის ღონისძიებები. მათ შორის, უნდა აღინიშნოს ფარული და უკანონო საქმიანობის აღკვეთის წინადადებათა შემუშავება და განხორციელება; ადგილობრივი წარმოების დაცვა არაჯანსაღი კონკურენციისაგან ანტიდემპინგური საკომპენსაციო და დაცვითი ღონისძიებების გამოყენებით. მარკეტინგული თვალსაზრისით, საინოვაციო საქმიანობა ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია მრეწველობაში, მაგრამ დღეის მდგომარეობით ამ მიმართულებითც გვაქვს სერიოზული შეფერხებები და კრიზისი. ძირითადი მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებზე მოთხოვნის შეზღუდვა და კადრების უდიდესი ნაწილის ჩამოშორება სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობისაგან, რასაც განაპირობებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დაფინანსების წყაროების უქონლობა. შედეგად ადგილი აქვს მეცნიერებატევადი პროდუქციის მასიურ ჩანაცვლებას იაფი და მარტივი პროდუქციით. ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის კიდევ ერთ ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს ამ ტენდენციების გაღრმავება.

საქართველოს სამრეწველო სექტორის გააქტიურებისათვის ნამდვილად სჭირდება

სახელმწიფოს როლის გაძლიერება ეკონომიკის მართვაში, რადგანაც არსებობს პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას: • კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა; • არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი; • ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იმპორტთან შედარებით, უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტსა და ლიზინგის განვითარებას უნდა მიენიჭოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია თბ., 2005
2. ჭითანავა ნ-საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები თბ.199
3. https://www.kvirispalitra.ge/economic/57759-qmtknari-tsylis-resursebi-unda-avamoqmedothq-arsebobs-thu-ara-formula-saqarthvelos-stsrafi-ekonomikuri-ganvitharebisthvis.html
4. https://forbes.ge/saqarthvelos-ekonomika-bolo-8-tselitsadshi

HR სტრატეგია პანდემიის პერიოდში
HR strategy during a pandemic

ლიკა ხურციძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Lika Khurtsidze - Georgian National University

რეზიუმე: ცნობილია, რომ ორგანიზაციებს და პიროვნებებს განსხვავებული მოდიფიკაცია სჭირდებათ სტრესის და კრიზისის დაძლევისათვის, გამკლავება კრიზისულ სიტუაციაში საჭიროებს გარკვეულ სტრატეგიას. სტრესი და კრიზისი გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიაზე, უმეტეს შემთხვევაში ამცირებს შრომისუნარიანობას, კონცენტრაციის უნარს და გავლენას ახდენს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და დროზე.

ადმაიანური რესურსების მართვის მენეჯერებისათვის ცნობილია, რომ სტრესი და კრიზისული გარემო მოქმდებს თანამშრომლის კმაყოფილებაზე, ხოლო კმაყოფილება გავლენას ახდენს მოტივავაციაზე. დაბალი მოტივაცია პირდაპირ აისახება საქმიანობის შედეგზე.

სტრესის მართვის სხვადასხვა თეორია არსებობს ფსიქოლოგიაში, რომელსაც ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები გამოიყენებენ. ყოველი თეორიის მიზანს წარმოადგენს სტრესის შემცირება თანამშრომელბში და სამუშაო ძალის აღდგენა, გაუმჯობესება ან შენარჩუნება. სწორედ ამ საკითხების მნიშვნელობით არის განპირობებული თემის აქტუალურობა, მათი გადაჭრისას მმართველობითი სტრუქტურის როლსა და ორგანიზაციულ ქცევაზე.

ახალ რეალობაში, რომელიც განაპირობა მსოფლიო პანდემიამ, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები აღმოჩნდნენ ახალი გამოწვევების პირისპირ. შეიცვალა სამუშაო გარემო და დისტანცია თანამშრომელებს შორის, რიგი საქმიანობა ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში, თანამშრომლები მუშაობენ სახლიდან. დისტანციური მუშაობა საჭიროებს ახალ მიდგომებს, ახალ გამოწვევებსა და სხვა სახის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას. უარყოფითად აისახება კომუნიკაციისა და ინფორმირებულობის პროცესზე. ონლაინ თათბირები და კომუნიკაცია თანამშრომლებთან ახალ გამოწვევად იქცა, რაც თავდაპირველად

ასოცირდებოდა სტრესთან, სამუშაოსა და ოჯახს შორის დროის გადანაწილების პრობლემასთან.

შესავალი: 2020 წელს ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში, უხანში დაფიქსირდა ახალი ვირუსი კოვიდ-19. ახალი ტიპის ვირუსი მეცნიერებისათვის შეუცნობელი აღმოჩნდა. ის ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა. კოვიდ-19-ის გავრცელების მაშტაბები გაცდა ჩინეთის საზღვრებს და მთელს მსოფლიოში გავრცელდა. ვირუსმა შეცვალა მთელი მსოფლიოს დღის წესრიგი. დაიხურა მრავალი ეკონომიკური საქმიანობის მქონე კომპანია. აუცილებელი გახდა სოციალური დისტანციის დაცვა და თვითიზოლაცია. შეიზღუდა და შეუჩერდა საქმიანობის უფლება სავაჭრო-გასართობ ცენტრებს. მთლიანად გაჩერდა ტურიზმის სფერო და მიმოსვლა ქვეყნებს შორის.

გამონაკლისს არც საქარველო წარმოადგენს. ის აღმოჩნდა მსოფლიო კოვიდ რუკაზე წითელ ზონაში, რაც ვირუსის გავრცელების მაქსიმალურ დონეს ნიშნავს. კოვიდ-19-ის გავრცელების შედეგები სავალალო აღმოჩნდა როგორც ადამიანების ჯანმრთელობისა და ცხოვრების წესის შეცლვის თვალსაზრისით ასევე ეკონომიკური სექტორისათვის. კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა რეგულარულ სამუშაო პირობებთან დაკავშრებით. შეიცვალა სამუშაო პირობები, რამაც გამოიწვია ადამიანებში გაურკვევლობა. შეზღუდულმა და შეჩერებულმა საქმიანობებმა განაპირობა ეკონომიკური დაზოგვა, რაც მოითხოვს ადამიანური რესურსის შემცირებას.

კომპანიების მხოლოდ ძალიან ცოტა რაოდენობამ შეძლო შეენარჩუნებინა ადამიანური რესურსი. ყოველივე ამან კი განაპირობა კრიზისი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტში.

ძირითადი ტექსტი: კორონა ვისურით შექმნილი პანდემიის უკვე ორმა ტალღამ, თითქმის ყველა ორგანიზაციაში სამუშაოს შინაარსი და დინამიკა შეცვალა-სახლიდან მუშაობის პირობებში, მენეჯრებს მოუწიათ მოერგოთ „ვირტუალური მენეჯერის“ როლი,

შეგუებოდნენ მოცემულობას, რომ მისი კოლეგები „სხვაგან“ და დამოუკიდებლად მუშაობენ. თითქმის ყველა ორგანიზაციის HRM გუნდის მიმდინარე, მნიშვნელოვანი ამოცანები გაჩერდა ან შესრულება გადაიდო გაურკვეველი ვადით, რადგან კოვიდრეალობაში ორგანიზაციების პრიორიტეტულ ამოცანად იქცა ოფისიდან სამუშაოს სახლში პორტირება, თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ვირუსის გავრცელებისგან თანამშორმლების დაცვა. კოლეგებთან ერთად მუშაობა და ურთიერთობა უცბად ჩაანაცვლა მეილებმა, მესენჯერმა და ვიდეოკონფერენციების პლატფორმებმა. ასეთი სწრაფი „გადართვა“ მარტივად არ მოხდა, ადამიანებს გაუჭირდათ სამუშაო ადგილიდან დისტანცირება და მუშაობა სახლიდან. ყველაზე საინტერესო კი ისაა რომ, HR პროფესიონალები, დღეს ერთ-ერთ რთულ მდგომარეობაშია, HR მენეჯერების გუნდს მოცულობითი და მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება უწევს სახლიდან, ისეთი სამუშაოებისა, როგორიცაა თანამშრომლების პირადი ფიალების მართვა, ანაზღაურებისთვის ინფორმაციისა თუ საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, რეკრუტინგისა და შერჩევის ვირტუალურ პროცესის წარმართვა, ვირტუალური დასაქმების ფორუმის წარმართვა, ახალი თანამშრომლის ონბორდინგის ვირტუალურად მართვა, თანამშრომლების შეფასების პროცესის ონლაინ სივრცეში გადატანა და სხვ. დღეს HR მენეჯერების სამუშაოა იზრუნოს ორგანიზაციის წევრების ჯანმრთელობაზე, განწყობაზე, მოტივაციაზე და შემდეგ კი საკუთარ ჯანმრთელობასა და სტრესზე.

ახალი კორონავირუსის ფართო გავრცელებამ მრავალი, მათ შორის, განვითარებული ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა კრიზისში შეიყვანა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შეფასებით, შეუძლებელია, ზუსტად განვსაზღვროთ ის ზიანი, რომელსაც პანდემია მოუტანს ეკონომიკას, თუმცა უდავოა, რომ მას არსებითი გავლენა ექნება შრომის გლობალურ ბაზარზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წინასწარი გათვლით, ახალი

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო მსოფლიოში, საუკეთესო შემთხვევაში, 5.3 მილიონი, ხოლო უარეს შემთხვევაში, 24.7 მილიონი სამუშაო ადგილი დაიკარგება.დასაქმების მაჩვენებლის მკვეთრი ვარდნის შედეგად გამოწვეული სიღარიბისა და უთანასწორობის შესამცირებლად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს მთავრობებს, დროულად შეიმუშავონ დასაქმების, საშემოსავლო დახმარებისა და მოხმარების წამახალისებელი სახელმწიფო პოლიტიკა.

პანდემიის დროს ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან დაწესდა რეგულაციები და შეზღუდვები. ეკონომიკური საქმინობის მქონე კომპანიებს და ორგანიზაციებს აეკრძალათ საქმიანობა ან შეეზღუდათ. დაიკეტა სავაჭრო და გასართობი ცენტრები. მიუხედევად არსებული რისკისა და ადამიანების ჯანმრთელობის საფრთხისშემცველი სიტუაციის არსებობისა, რიგ სამსახურებში შეუძლებელი იყო საქმინობის შეჩერება. ასეთ სამსახურებს ძირითადად წარმოადგენდა სასურსათო მაღაზიები, სადაც პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებლო საჭიროებების შეძენა არის შესაძლებელი, ასევე სახელმწიფოს ტერიტორიული სამსახურები, რომელთა ფუნქციონირება აუცილებელია ნებისმიერ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, მაგ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სერვისები, საჯარო რეესტრის სერვისები, სასამართლო და ა.შ.

მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო სამედიცინო მომსახურების მქონე დაწესებულებების მუშაობა და მათი შრომის გადანაწილება იმ სახით, რომ არ მომხდარიყო სამედიცინო პერსონალის სრული დაინფიცირება და ამ სფეროს ბლოკირება. არნიშნული სიტუაციებიდან გამომდინარე საჭირო გახდა შექმნილიყო შრომის გადანაწილება, მორიგეობის დაწესება და სამუშაო გარემოში სოციალური დისტანციის დაცვა.

თავდაპირველად აუცილებელი გახდა პირბადის ტარება, სადეზინფექციო ხსნარებით უზრუნველყოფა თანამშრომლების, ორმეტრიანი დისტანციის დაცვა.[27]

ვისრუსის გავრცელების თავიდან აცილებისათვის საჭირო გახდა ისეთი სამუშაო გრაფიკის შექმნა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა თანამშრომლების გადანაწილება იმგვარად, რომ დაინფიცირების შემთვევაში ადამიანური რესურსის ბიულეტინზე გასვლისა და სავალდებულო თვითიზოლაციის შემთვევაში არ შექმნილიყო ადამიანური რესურსის დეფიციტი სამსახურებში.

ამისათვის კომპანიებს და ორგანიზაციებს დაუწესდა რეგულაციები, როგორც დაავადებათა კონტროლის სამსასახურის მიერ, ისე ინდვიდუალურად შეიმუშავეს სოციალური დისტანციის დაცვისა და ვირუსის თავიდან აცილების გარკვეული ბარიერები.

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები დადგენენ ისეთი გამოწვევის წინაშე როგორიც არის სამუშაო ადგილას თანამშრომელთა გადაადგილების პროტოკოლის შექმნა. მათ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მოუწიათ ახალი განრიგის, განლაგებისა და პროტოკოლის შექმნა, რომელიც ინდივიდუალურად მორგებული იქნებოდა როგორც დააბადებათა კონდროლის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებზე, ისე შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკაზე და თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლები გადაიყვანეს დისტანციურ მუშაობაზე, ხოლო ისინი ვინებიც იძულებულნი იყვნენ სამუშაო გარემოში განეხორციელებინათ საქმიანობა სავალდებულო გახლა პირბადის ტარება. სოციალური დისტანციის

---

[27] „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ 2020 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4821857?publication=1 მოძიებულია 12.05.2021

დაცვა. დაწესდა ორკვირიანი სამუშაო განრიგი უმეტეს სამსახურებში, რადგანაც ვირუსის გამოვლენას და მის რეაბილიტაციას ორი კვირა სჭირდება. თანამშრომლები ორ კვირიანი განრიგით ცვლიდნენ ერთმანეთს ისეთ ორგანიზქაციებში როგორიც არის თავდაცვის სამინისტროს სიპები, სასჯელაღსულების დაწესებულებები, სამედიცინო დაწესებულებები და ა.შ.

კომპანიებსა და ორგანიზაციებში სადაც თანამშრომლებს უშუალო შეხება აქვთ მომხმარებლებთან, დღის განმავლობაში ურთიერთობა უწევთ ადამიანების გარკვეულ რიცხვთან დაუმონტაჟდათ ბარიერები, დამცავი მინის სახით, რომელის ხელს შეუშლის ვირუსის გავრცელებას ჰაერში. [28]

ყოველივე ეს მოითხოვდა გარკვეულ ფულად რესურს და სწრაფ რეაგრებას მენეჯმენტის მიერ.

პანდემიამ ადამიანური რესურსების მართვის თანემდროვე ტექნილოგიების დანერგვა განაპირობა. მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ რთული იყო გადაწყვეტილებების მიღება და მათი მართებული სქემის ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა მსოფლიოს მაშტაბით ჩატარებული სხვადასვხა კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანიებმა და ორგანიზაციებმა ადამიანური რესურსების მართვის ახლებული მიდგომებისა და სტანდარტების დანერგვა შეძლეს.

გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: კრიტიკული როლების გადანაწილება, თანამღომლების მხარდაჭერა და თანამშრომლების გადამზადება. [29]

---

[28] „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ 2020 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4821857?publication=1 მოძიებულია 12.05.2021

[29] Pandey M. 2020 "The Impact of Pandemic COVID -19 in Workplace"

რა იგულისხმება კრიტიკული როლებისა დაა პოზიციების განსაზღვრაში. როგორც უკვე იქნა აღნიშნული კომპანიები განიცდიან კრიზისს შემქნილი მდგომარეობის გამო. წარმოშობილი კრიზისი იწვევეს სტრესს და გაურკვევლობას. პრობლემის, კრიზისის გადაწყვეტა შესაძლებელია როლებისა და პოზიციების გადანაწილებით. კომპანიაში ზოგადად გადაწყვეტილებას იღებს, ხელმძღვანელი, მაგრამ თუ გარკვეული სფერო წარმოიშვება კრიზისის მისი მართვა უნდა განახორციელოს იმ სფეროში კომპეტენტურმა პირმა. მაგალითად თუ საწარმოში არის ხანძარი, მაშინ სიტუაციის მართვა ევალება შემობის ტექნიკური მომსახურების ხელმძღვანელს, მან ზუსტად იცის სად არის სახნძრო კიბე და როგორ უნდა გაიყვანოს თანამშრომლები შენობიდან. როდესაც კრიზისი იქმნება ფინასების სფეროში მას მართავს და კორდინერებას, გადაწყვეტილებას იღებს მენეჯერი. როდესაც პრობლემა წარმოიქმნება ადამიანური რესურსების მართვის კუთხით მაშინ პროცესების მართვა წარმოადგენს HR- მენეჯერის კომპეტენციას. სწორედ ამიტომ პანდემიის დროს მნიშვნელოვანი იყო პოზიციებისა და როლების ზუსტი განსაზღვრა რათა ყველა რგოლისა და დეპარტამენტის მენეჯერს განეხორციელებინა დაკისრებული მოვალეობა, რომლის საერთო ჯამში დადებით შედეგს მოუტანდა კომპანიას.

როლებისა და პოზიციების განსაზღვრის შემდგომ კრიზისის დასაძლევად საჭიროა შემდეგი ასპექტების გათვალიწინება: კრიზის არსებობის საფრთხის გამოვლენა, მისი იდენტიფიცირება, შესწავლა, საფრთხეების განსაზღვრა, დანაკარგებისა და შესაძლებლობების გაანალიზება და შემდგომი სტრატეგიული ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება რათა თავიდან იქნას აცილებული მაქსიმალური ზარალი.

---

https://www.researchgate.net/publication/342011150_The_Impact_of_Pandemic_COVID_-19_in_Workplace მოძიებულია 12.05.2021

მერე და მნიშვნელოვან ადამიანური რესურსების მართვის ტექნილოგიას წარმოადგენს თანამშრომლების გადამზადება. პანდემიის პიროებებში შექმნილი სტუაციის და ახალი სამუშაო გარემოს ათვისების, ტექნოლოგიების ფლობის და ტრეინიგების ჩატარების აუცილებლობა ნაშრომის წინამდებარე პარაგრაფებში ზედმიწევნით იქნა განხილული. ტრეინიგი და სწავლა აუცილებელია იმ კუთხით, რომ თანაშმრომელმა განახორციელოს სააქმინობა და არ შეექმნა პრობლემა სამუშაო პროცესში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს,რომ მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დგას, ორგანიზაციებმა უნდა ეცადონ შეიმუშაონ მოქნილი სამუშაო სისტემა და გრაფიკი,დახვეწონ და გადავიდნენ ჰიბრიდულ მუშაობაზე,არ შეუშინდნენ ცვლილებეს და გამოწვევებს.HR მენეჯერებმა პანდემიის ფონზე შეძლონ პრობლემების გარეშე მართონ ხელთ არსებული ადამიანური რესურსები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ 2020 www.matsne.gov.ge/ka/document/view/4821857?publication მოძიებულია 12.05.2021
2. Pandey M. 2020 "The Impact of Pandemic COVID -19 in Workplace" https://www.researchgate.net/publication/342011150_The_Impact_of_Pandemic_COVID_-19_in_Workplace მოძიებულია 12.05.2021

მწვანე ინვესტიციები და მცირე ბიზნესი

Green Investments and Small Business

ანა ალფაიძე - ეკონომიკის მაგისტრი
კავკასიის უნივერსიტეტი
Ana Alpaidze - Master of Economics
Caucasus University
ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. vmosiashvili@seu.edu.ge
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University Seu. vmosiashvili@seu.edu.ge

ანოტაცია. 2008 წლის ფინანსური და გარემოსდაცვითი კრიზისის ფონზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება“ (GGND)[30] წარმოადგინა, რომელსაც მსოფლიოში არსებული ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და განვითარების გამოწვევებისთვის უნდა ეპასუხა. მდგრადი განვითარების კონცეფციის მსგავსად, მწვანე ეკონომიკა დეკლარირებულ მიზნად მიიჩნევს სოციალური სამართლიანობის (ქვეყნის შიგნით, ქვეყნებს შორის და თაობებსა შორის), ცხოვრების მაღალი ხარისხისა და ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სიღარიბის აღმოფხვრას ინკლუზიური, გამჭვირვალე, დემოკრატიული და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების გზით. 2009 წელს ეუთოს ქვეყნების მიერ მიღებული მწვანე ზრდის სტრატეგია[31] მწვანე ეკონომიკის ქვაკუთხედს ეყრდნობა – დაბალემისიური განვითარება, ნარჩენების და ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენების მინიმიზაცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადი და უფრო სუფთა ენერგო-წყაროების ათვისება.
საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მცირე ბიზნესი, მწვანე ინვესტიცია, მწვანე პროდუქტები.

Annotation. In the wake of the 2008 financial and environmental crisis, the United Nations has unveiled the “New Global Green Agreement” (GGND)[1] to address the

---

[30] „გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება“, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა, 2009 წ., მარტი

[31] Declaration on Green Growth Adopted at the Meeting of the Council at Ministerial Level on 25 June 2009 [C/MIN(2009)5/ADD1/FINAL]

world's economic, environmental and development challenges. Like the concept of sustainable development, the green economy is a declared goal of social justice (within the country, between countries and between generations), ensuring a high quality of life and access to basic services, and eradicating poverty through inclusive, transparent, democratic and participatory decision-making. The Green Growth Strategy adopted by the OSCE in 2009 is based on the cornerstone of a green economy - low-emission development, minimizing the inefficient use of waste and natural resources, conserving biodiversity, and using sustainable and cleaner energy sources.
Keywords: Green Economy, Small Business, Green Investment, Green Products.

ძირითადი ნაწილი. არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისათვის, თუ რატომ შეიძლება მცირე ბიზნესმა არჩევანი გააკეთოს მწვანე პროექტებზე, როდესაც სარეგულაციო პოლიტიკა ამას მკაფიოდ არ ითხოვს.

ხარჯების შემცირება: მცირე და საშუალო კომპანიების წარმოების პროცესიდან რესურსების რაოდენობის (ენერგია, წყალი), მასალების გამოყენების და მიღებული ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანა უშუალოდ ამცირებს კომპანიის საოპერაციო ხარჯებს და შეიძლება დადებითად აისახოს მის საბალანსო უწყისზე.

საბაზრო უპირატესობა: კომპანიები, რომლებიც აწარმოებს მწვანე პროდუქციას და სერვისებს, კონკურენტებისგან გამოყოფს საკუთარ საქმიანობას ბაზარზე, ხოლო მათ პროდუქციას მომხმარებელი ხშირად უფრო მეტად აფასებს: ამის შედეგია ბაზრის წილის გაუმჯობესება ეკონომიკისთვის.

მწვანე მიწოდების ჯაჭვები: მწვანე პროდუქტებს და სერვისებს აქვს დადებითი გავლენა კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე, ისინი ხელს უწყობენ მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობას მწვანე მიწოდების ჯაჭვებში და ზრდიან ამგვარი კომპანიების ექსპორტის პოტენციალს ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა მაგ. ევროკავშირის ბაზარი.

ეკოლოგიური გავლენა: საკუთარი პროდუქციის, სერვისების და ბიზნესის პრაქტიკის უფრო ენერგო ან რესურსეფექტურად გარდაქმნით, მცირე კომპანიებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ეკოლოგიაზე, ჯანმრთელობასა და კლიმატზე ეკონომიკის უარყოფითი გავლენების შემცირებაში საკუთარ ქვეყნებში.

მცირე და მიკროსაწარმოები არიან უფრო მეტად ორიენტირებული ხარჯების შემცირებაზე და მოკლევადიან მომგებიანობაზე, და არა გრძელვადიან ინვესტიციებზე ან გარემოსდაცვითი რეგულაციების დაკმაყოფილებაზე. მიუხედავად ამისა, გამოცდილება ცხადყოფს, რომ მწვანე პროექტებში ინვესტირება წარმოადგენს ყველასათვის მომგებიან სიტუაციას, რომელსაც შეუძლია როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი სარგებლობის მოტანა. მწვანე ინვესტიციების დახმარებით შეძლებთ ბიზნესის ხარჯების და გარემოზე თქვენი ბიზნესის უარყოფითი გავლენის შემცირებას. მნიშვნელოვანია სწორი ტექნოლოგიის შერჩევა თქვენი ბიზნესისთვის, რეალისტური ბიზნეს-გეგმის შემუშავება და ხარჯების მოკლე და გრძელვადიანი მიზანშეწონილობის სწორი განსაზღვრა და შეფასება მწვანე ინვესტიციის განხორციელებისას.

ევროკავშირის მხარდაჭერით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 100-ზე მეტმა მცირე და საშუალო საწარმომ (მათ შორის 15 ქართული კომპანია კვების, ქიმიკატების და სამშენებლო მასალების სექტორებიდან) განახორციელეს რესურსების ეფექტურობისა და სუფთა წარმოების პროგრამები. შემოთავაზებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებელი მოიტანოს: შესაძლებელია თითო საწარმოს მიერ დანაზოგმა მიაღწიოს 2 000 – 20 000 ევროს , ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი 100 000 ევრომდე. ამგვარი დანაზოგების იდენტიფიცირებისთვის მხარდაჭერა გრძელდება მიმდინარე პროექტის „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) ფარგლებში.

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის მრავალი წარმატების ისტორია მწვანე ინვესტიციების კუთხით, რომლებიც განხორციელდა ევროკავშირის დახმარებით შეგიძლიათ იხილოთ აქ.

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ ადეკვატური გარემოსდაცვითი რეგულაციის არარსებობა მთავარი დაბრკოლებაა მწვანე ინვესტიციების გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესში. ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები საქართველოში გამუდმებით იმეორებენ, რომ საჭიროა მეტი სტიმული მწვანე ინვესტიციებზე მოთხოვნის ზრდისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში.

სად შემიძლია ინფორმაციის მოძიება მწვანე ტექნოლოგიების და მწვანე დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ?

აწარმოე საქართველოში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სოფლის მეურნეობის და სასოფლო განვითარების სააგენტო (ARDA)ახორციელებენ გარკვეული სახის მხარდაჭერას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და წარადგენენ ინფორმაციას, მათ შორის მწვანე პროექტების შესახებ. ეს დამხმარე მექანიზმები შემუშავდა ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით; ხშირად, ისინი სარგებლობენ ევროკავშირის მხარდაჭერით, მაგალითად, ევროკავშირის ENPARD პროგრამამ ARDA- ს დახმარება გაუწია. ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ინიციატივა ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs) მწვანე ინვესტიციების ჩათვლით.

ახალი შესაძლებლობები შეიძლება გამოჩნდეს „ევროკავშირი კლიმატისთვის“ (EU4Climate) ფინანსური და ტექნოლოგიური კლიმატის ცვლილების ცენტრის (FINTECC) პროგრამის

მეშვეობით. FINTECC არის პროგრამა, რომელიც ეხმარება EBRD-ის ქვეყნების კომპანიებს დანერგონ ინოვაციური ტექნოლოგიები.

EU4Busines ინიციატივით, საქართველოში არსებული კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით შესაძლებელი ხდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა თქვენი ბიზნესისთვის. ეს მოიცავს: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, და პროკრედიტ ბანკი, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოების შემდგომი დაკრედიტების მიზნით მართავენ ისეთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემულ საკრედიტო ხაზებს, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), EU4Business მხარდაჭერით. მათ ასევე შეუძლიათ გარკვეული ტექნიკური დახმარების გაწევა საკუთარი კლიენტებისთვის. საბოლოო მსესხებლებს ხშირად შეუძლიათ ისარგებლონ საკონსულტაციო სერვისებით და ტრენინგით განხორციელებადი პროექტების შესამუშავებლად.

როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული კავკასიის ენერგოეფექტურობის მექანიზმის და სამხრეთ კავკასიაში მდგრადი ენერგეტიკის ფინანსთა დაწესებულებაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა შექმნა ტექნოლოგიის სექტორი – ონლაინ ვაჭრობის მსგავსი პლატფორმა იმ ყველაზე მოწინავე მწვანე ტექნოლოგიების ჩამონათვალით, რომლებიც აუმჯობესებენ ბიზნესის და საოჯახო ენერგოეფექტურობას. ეს ინსტრუმენტი იძლევა ინფორმაციას და ეხმარება მსესხებლებს აღჭურვილობის არჩევაში. ამ ინსტრუმენტის გამოყენება საქართველოშიც ხელმისაწვდომია. შემუშავებულია გამარტივებული ინსტრუმენტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ეს ტექნოლოგიები წინასწარ იყო შეფასებული და დამტკიცებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერისთვის. ხდება სიის

რეგულარული განახლება მასში უახლესი ტექნოლოგიების და კომპანიების შეტანის მიზნით.

უფრო სპეციალიზებული ინფორმაცია გაიცემა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ბიზნეს-ასოციაციების და რესურსეფექტური ინიციატივების მიერ, გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციასთან (UNIDO) პარტნიორობით. დამატებითი ინფორმაცია ინიციატივის შესახებ ხელმისაწვდომია ვეროკავშირის დაფინასებული პროექტის „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების“ ვებ-გვერდზე.

როგორ უნდა განვსაზღვრო მწვანე პროექტის შესაძლებლობები და ვინ დამეხმარება ამგვარი პროექტის შემუშავებაში?

მწვანე პროექტის შესაძლებლობების განსაზღვრის ერთი გზა არის კომპანიის ბიზნესის და პროდუქციის პროცესების შეფასება რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) მეთოდოლოგიის გამოყენებით. მაგალითად, ეს მეთოდოლოგია მოწოდებულია გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ სამრეწველო მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად შესაძლებლობების და ხარვეზების განსაზღვრაში რესურსების გამოყენებისას და ბიზნესის ალტერნატიული გადაწყვეტების ძიების დროს. კომპანიის შიდა RECP-შეფასებები განსაზღვრავს არაეფექტურობას, აფასებს გაუმჯობესების შესაძლო საშუალებებს ტექნიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით, და აზუსტებს პროექტის პოტენციალს შემოთავაზებული RECP საშუალებების საფუძველზე. ეს შეფასებები შეიძლება ჩაატაროს RECP ცენტრმა, რომლის ექსპერტებს შესწავლილი აქვთ შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენება და აღჭურვილები არიან გაზომვის საშუალებებით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) პროექტი, რომელიც საქართველოში ხორციელდება პროგრამის

EU4Environment ფარგლებში, ხელს უწყობს ამგვარი ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბებას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საიტზე www.recp.ge.

როგორია ეტაპობრივი პროცესი მწვანე ინვესტიციის პროექტის მოსამზადებლად?

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) მეთოდოლოგია არის საკონსულტაციო სერვისის საფუძველი: ექსპერტი მიდის საწარმოში, ატარებს მოკლე წინასწარ შეფასებას, განსაზღვრავს პრიორიტეტებს კომპანიის მენეჯმენტთან ერთად და იძლევა რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ რომელ მეთოდს შეუძლია დაეხმაროს საწარმოს რესურსების გამოყენების შემცირებაში. რჩევები გაიცემა სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის რესურსების ჩანაცვლება, კარგი შიდა მენეჯმენტი, პროცესის და/ან პროდუქციის მოდიფიკაცია, ნარჩენების მინიმუმამდე შემცირება, გადამუშავების ვარიანტები და ტექნოლოგიის მოდიფიკაცია. ეს პროცესი ეხმარება პროექტთან დაკავშირებული ხარჯების და ეკონომიის, ასევე დაფინანსების პოტენციური წყაროების შეფასებას. თუ სესხის აღების სურვილი დადასტურებულია, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) ცენტრის ფინანსების სპეციალისტს შეუძლია დახმარება შერჩეული ბანკის განაცხადის შევსებაში. შემდგომ ეტაპზე რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) ექსპერტს ასევე შეუძლია დახმარება იმის განსაზღვრაში თუ როგორ დამონტაჟდეს და ამუშავდეს ახალი აღჭურვილობა.

რომელია საქართველოში ხელმისაწვდომი მწვანე დაფინანსების ძირითადი წყარო მცირე ბიზნესისთვის?

ევროკავშირს მიაჩნია, რომ მცირე და საშუალო (SMEs) ბიზნესის წარმოება ეკონომიკური ცხოვრების განვითარების მთავარი ნაწილია. სწორედ ამიტომ დაიწყო EU4Business ინიციატივამ აღმოსავლეთ პარტნიორობის

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და განვითარება. ჩვენ ვმუშაობთ შემდეგ პარტნიორებთან ერთად, რომ ერთად დავეხმაროთ საქართველოში არსებულ საწარმოებს მწვანე ფინანსების მოპოვებაში.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მაგ. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), ავსტრიის განვითარების ბანკი) მიერ შემოთავაზებული საკრედიტო ხაზები, რომლებიც გაიცემა ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ, არის გრძელვადიანი დაფინანსების მთავარი წყარო მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ინვესტირებისთვის საქართველოში. ქართული პარტნიორი ბანკებია საქართველოს ბანკი, ბაზის ბანკი, კრედო ბანკი, თიბისი ბანკი, ვითიბი ბანკი და პროკრედიტ ბანკი.

საბოლოო მსესხებლებზე გაცემული ნასესხები საკრედიტო ხაზების გარდა, ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი ასევე გასცემს საკრედიტო პორტფელის ნაწილობრივ გარანტიებს თიბისი ბანკზე და პროკრედიტ ბანკზე სქემის ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin) ფარგლებში – ეს არის ევროკავშირის პროგრამის Horizon 2020 და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პროგრამების ნაწილი. სქემის InnovFin მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მიზანია ხელი შეუწყოს და დააჩქაროს სესხის ფინანსების ხელმისაწვდომობა ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, და ის იძლევა გარანტიებს ვალის დაფინანსებაზე 25,000 – 7.5 მილიონი ევროს ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ მისი სამიზნე არ არის მწვანე მცირე და საშუალო საწარმოები, *როგორც ასეთი*, ეს გარანტია შეიძლება გამოყენებული იყოს რისკის შესამცირებლად მცირე და საშუალო საწარმოების მიერ განხორციელებულ მწვანე ინვესტიციებზე.

საქართველოში არსებული ზოგიერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მაგ. კრედო ბანკი და MFO Crystal, გასცემს სესხებს ენერფოეფექტურ საქმიანობაზე და მცირე მასშტაბის, ხშირად დეცენტრალიზებულ განახლებადი ენერგიის ობიექტებზე.

საქართველოს მთავრობამ ასევე შექმნა მხარდაჭერის მექანიზმები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ინვესტიციებში. „აწარმოე საქართველოში“ არის ძირითადი სამთავრობო პროგრამა, რომელსაც მართავს Enterprise Georgia – მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის დანერგვაზე პასუხისმგებელი უწყება საქართველოში. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას და ნაწილობრივ კოლატერალ გარანტიებს. ამ პროგრამის დიდი ნაწილი ინვესტირებულია სოფლის მეურნეობის და ტურიზმის / სასტუმროების სექტორში. გარდა ამისა, ორგანიზაციას Enterprise Georgia აქვს განახლებადი ენერგიის წყაროების პროგრამა და ის გასცემს მიკროსესხებს მცირე ბიზნესზე.

როგორია ძირითადი პირობები მცირე ბიზნესისთვის მწვანე კრედიტის მისაღებად?

კომერციული ბანკები წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების მთავარ წყაროს, მაგრამ კრედიტორები ამ სექტორს შედარებით მაღალი რისკის სექტორად თვლიან. საპროცენტო განაკვეთები შედარებით მაღალია (15%+), სესხები ზოგადად დინამიურად ფასდება მსესხებლის კრედიტის შეფასების და უფრო ფართო სასესხო ბაზარზე არსებული კონკურენციის საფუძველზე. კოლატერალთან დაკავშირებული მოთხოვნები შეიძლება ასევე მაღალი იყოს (სესხის საფასური 130% და მეტი). მიკროდაფინანსების სექტორში არსებული საკრედიტო განაკვეთები შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს. სასესხო

შეთავაზებების დოლარიზაცია ამცირებს განაკვეთებს, მაგრამ ასევე ქმნის პოტენციურ რისკებს ინდივიდუალური მსესხებლებისთვის, რადგან ისინი იღებენ საკუთარ შემოსავალს ლარში, სესხის დაფარვა კი დოლარში უწევთ.

მაგალითად, თიბისი ბანკის ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის პროექტების პორტფელის საპროცენტო განაკვეთის შეწონილი საშუალო 2018 წელს იყო 9.2% დაფარვის საშუალო 90-თვიანი ვადით.

საკრედიტო ხაზებს გარემოს დაცვის დასაფინანსებლად მოჰყვება ტექნიკური დახმარების კომპონენტები, რომლებითაც მსესხებლებს შეუძლიათ სარგებლობა. ასეთი საკრედიტო ხაზები ასევე იძლევა სუბსიდიებს მსესხებლებზე სტიმულის სახით – ეს არის მათი მოტივაცია სესხების ასაღებად მწვანე პროექტებისთვის. ვინაიდან ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის პროექტები შესამუშავებლად უფრო რთულია და მოითხოვს მეტ მონაცემებს და ინფორმაციას მათი ადეკვატური შეფასებისთვის (მაგ. CO_2-ის ემისიის სავარაუდო შემცირების გამოთვლა), საგრანტო განაცხადების მომზადება ასეთი პროექტებისთვის შესაძლოა მართლაც დიდ დროს და რესურსებს მოითხოვდეს, სტანდარტულ საბანკო სესხის განაცხადების მომზადებასთან შედარებით (მაგ. სამომხმარებლო სესხები ბინის ან მანქანის შესაძენად).

შესაძლებელია, რომ მთავრობა მწვანე სესხის აღებაში დამეხმაროს?

დიახ, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებიც დააწესა მთავრობამ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კრედიტებზე წვდომის გასაუმჯობესებლად და ფინანსური შეზღუდვების შესამცირებლად, მაგ. გრანტები, საკრედიტო განაკვეთების სუბსიდირების და საგარანტიო მხარდაჭერის სქემები.

ორგანიზაციას აწარმოე საქართველოში (Enterprise Georgia) საკუთარ არსენალში აქვს რიგი ფინანსური და არა-

ფინანსური ინსტრუმენტები საინვესტიციო შესაძლებლობების მხარდასაჭერად მცირე და საშუალო საწარმოების სექტორში. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, თუ კომპანია იღებს სესხს ბანკიდან, მთავრობას შეუძლია პროცენტის ნაწილის დაფინანსება. სესხის ოდენობა უნდა იყოს 150,000 – 2,000,000 აშშ დოლარის ფარგლებში საწარმოო პროექტებისთვის და 600,000 – 2,000,000 ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროექტებისთვის. საპროცენტო განაკვეთები 11-დან 13%-მდე მერყეობს. ორგანიზაცია Enterprise Georgia აფინანსებს არა მარტო მწვანე ინვესტიციებს, ის ასევე ახორციელებს საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთების 10% და ლიზინგის წლიური საპროცენტო განაკვეთის 12%-ის თანადაფინანსებას 24 თვის განმავლობაში. მის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის არის ასევე კოლატერალის ნაწილობრივი გარანტიის უზრუნველყოფა 50%-მდე პირველი 48 თვისთვის. ამის ერთი პირობა ის არის, რომ სესხის 80% კაპიტალური აქტივების შეძენას უნდა ხმარდებოდეს. ამგვარი მხარდაჭერა ხორციელდება მხოლოდ ქართულ ლარში გაცემულ სესხებზე. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერის ზოგიერთ სხვა ელემენტსაც მოიცავს. მაგალითად, „საკონსულტაციო მხარდაჭერა“ სთავაზობს ტრენინგის შესაძლებლობებს შემდეგ სფეროებში: მარკეტინგი, გაყიდვები, ბიზნესის დაგეგმვა, სამეწარმეო უნარები და ხარისხის მართვა.

ინოვაციურ საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მხარდაჭერით. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მართავს ინოვაციური საგრანტო პროექტების განხორციელებას. მცირე გრანტები და მიკროგრანტები ეხმარება ქართულ კომპანიებს და მცირე და საშუალო საწარმოებს ბიზნესის იდეების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციაში. მსოფლიო ბანკის სესხის ფარგლებში – საქართველოს ეროვნულმა ინოვაციურმა ეკოსისტემამ –

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA) დაიწყო სტარტაპების შესაბამისი გრანტების პროგრამა. აღნიშნულის მიზანია გლობალურ მასშტაბებზე მორგებადი სტარტაპების მხარდაჭერა, მათ შორის მწვანე ტექნოლოგიების და სოფლის მეურნეობის სფეროში, და მათი წვდომის გაუმჯობესება ფინანსებზე და გლობალურ ბაზრებზე.

ორივე მათგანი აწარმოე საქართველოში (Enterprise Georgia) და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ხორციელდება ევროკავშირის დახმარებით.

არსებობს რაიმე სახის საგადასახადო შეღავათები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მწვანე პროექტების განხორციელებისას?

საქართველომ განახორციელა საგადასახადო რეჟიმის შემსუბუქება მცირე საწარმოებისთვის. მიკროსაწარმოები 30,000 ლარზე (~ 9,052 ევრო) ნაკლები წლიური ბრუნვით თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან, ხოლო მცირე საწარმოები 500,000- ლარამდე (~ €150,870) წლიური ბრუნვით იბეგრებიან დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის 1%-ის ოდენობით. „მცირე ბიზნესის“ სტატუსი უქმდება, თუ საწარმოს ანგარიშებში ბრუნვა აჭარბებს 500,000 ლარს ორი კალენდარული წლის განმავლობაში. დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) ზღვარი ფიქსირებულია 100,000 ლარზე (~ €30,174), ხოლო დღგ-ს გამოქვითვის ავტომატური ახალი სისტემა 2019 წლის თებერვალში ამუშავდა. ყველა გადასახადის გადახდა სავალდებულოა ონლაინ.

არ არსებობს კონკრეტული საგადასახადო შეღავათები მცირე და საშუალო საწარმოების მიერ განხორციელებული მწვანე ინვესტიციებისთვის. მთავრობას შეუძლია განიხილოს ისეთი ვარიანტები, როგორიცაა დაჩქარებული ამორტიზაცია და გადასახადების შემცირება განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური აღჭურვილობისთვის, და შესაძლოა

კორპორაციული საგადასახადო სუბსიდირება მწვანე ინვესტიციებისთვის. შეღავათები გადასახადების საფუძველზე არის იმ ყველაზე ეფექტურ საშუალებებს შორის, რომლებსაც მთავრობები მთელ მსოფლიოში იყენებენ ბიზნესის მოტივაციისთვის მწვანე ინვესტიციების განსახორციელებლად და მათი საქმიანობის ეკოლოგიური შედეგების გასაუმჯობესებლად.

მრავალი მსგავსი ღონისძიება გატარებული იქნა ევროკავშირის დახმარებით. მაგალითად, "აღმოსავლეთ სამეზობლოში გამწვანების ეკონომიკა" (Greening Economies in the Eastern Neighbourhood) პროექტის ფარგლებში.

გეგმავს საქართველოს მთავრობა დამატებითი ღონისძიებების შეტანას COVID-19-ის კრიზისთან დაკავშირებულ პაკეტში, მწვანე ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის?

COVID-19-ის კრიზისის გათვალისწინებით, ეკონომიკის და მდგრადი განვითარებისა სამინისტრომ შეიმუშავა ღონისძიებების პაკეტი ბიზნესის სექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად კრიზისის დაძლევაში. ამ მხარდაჭერის პაკეტის ძირითადი ნაწილია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება და ლიკვიდურობის საკითხების გადაჭრა.

„მიკრო და მცირე ბიზნესის საგრანტო პროგრამის" ფარგლებში ორგანიზაცია Enterprise Georgia მხარს დაუჭერს მცირე კომპანიებს, რომლებიც კონკრეტულად მწვანე, ინოვაციურ და ეკოლოგიურ ბიზნესზე არიან ორიენტირებული. ამ პროგრამის გრანტების ოდენობა გაიზრდება 20,000 ლარიდან 30,000 ლარამდე, ხოლო ბენეფიციარებისგან მოთხოვნილი თანადაფინანსება შემცირდება 20%-დან 10%-მდე. 2020 წელს ამ

პროგრამის დაფინანსება ოთხჯერ გაიზრდება და გახდება 40 მილიონი ლარი.

კრედიტის საგარანტიო სქემა არის აღდგენის ძირითადი მექანიზმი, რომლის დიზაინი (ხელმეორე დიზაინი) მოხდა იმ მიზნით, რომ მისცეს მცირე და საშუალო საწარმოებს საკუთარი სესხების რესტრუქტურიზაციის საშუალება საპროცენტო განაკვეთების გაზრდის გარეშე, ასევე ახალი სესხების მიღების, მათი ლიკვიდურობის გაუმჯობესების და თანამშრომლების შენარჩუნების საშუალება. ამ სქემის ბიუჯეტი გაიზრდება 330 მილიონ ლარამდე, რაც მისცემს მთავრობას 2,2 მილიარდ ლარამდე სასესხო პორტფელის გარანტირების საშუალებას. გარანტიებით მოცვის მაქსიმუმი ახალი სესხებისთვის გაიზრდება 90%-მდე, ხოლო რესტრუქტურიზებულ სესხებს ექნება 30%-იანი მაქსიმუმი. საგარანტიო გადასახადი შემცირდება 1%-დან 0,3%-მდე, ხოლო სესხის ოდენობა მორგებული იქნება ბიზნესის საჭიროებებზე.

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის როლის და ამ სექტორში მცირე და საშუალო საწარმოების მაღალი კონცენტრაციის გათვალისწინებით, მთავრობამ ტურიზმის მხარდასაჭერად სპეციალური მექანიზმები შემოიღო. ამ მექანიზმებიდან ერთ-ერთი ითვალისწინებს ტურიზმის სექტორის მთლიანად განთავისუფლებას საკუთრების გადასახადისგან 2020 წელს და საშემოსავლო გადასახადის ცხრა თვით გადავადებას. გარდა ამისა, მთავრობა მოახდენს იმ სასტუმროების სესხის საპროცენტო განაკვეთების 80%-ის სუბსიდირებას, რომელთა ბრუნვა 20 მილიონ ლარზე ნაკლებია 6 თვის განმავლობაში (რაც საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიის უმრავლესობას წარმოადგენს). საკრედიტო გარანტიის სქემას ექვემდებარებიან ასევე რესტორნები, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ დაძლიონ ლიკვიდურობის ხარვეზები და დააფინანსონ საკუთარი საოპერაციო ხარჯები. მთავრობა ასევე

განახორციელებს ტურისტული კომპანიების/ოპერატორების საბანკო კრედიტების საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას 6 თვით.

მთავრობის დამატებითი დახმარებით ისარგებლებენ ასევე ფერმერები და სოფლის მეურნეობის ბიზნესი – მთავრობა ხელს შეუწყობს საშინაო წარმოებას, მათ შორის ბიოპროდუქციას.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიებები უშუალოდ არ ახორციელებს მწვანე ინვესტირების მხარდაჭერას, ყველა მათგანი შეიძლება იყოს სასარგებლო მწვანე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

კორონავირუსის პანდემიაზე მისი გლობალური პასუხის ფარგლებში, ევროკომისია მხარში უდგას აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს: აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვის რესპუბლიკას საქართველოს, სომხეთს და უკრაინას საგანგებო მხარდაჭერის პაკეტის ამოქმედებით.[32]

დასკვნა. მნიშვნელოვანია სიღრმისეულად შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა, რომლებიც შეიძლება მწვანე ეკონომიკის პრინციპულ ალტერნატივებად მოგვევლინონ. მაგალითად, ისეთი მაკროეკონომიკური პროგრამები, როგორიცაა ბიორეგიონული ეკონომიკის მოდელები8, ან კონკრეტულ სექტორებში მიმდინარე პროცესები – ენერგეტიკული ტრანზიცია გერმანიაში, წყლით მომარაგებისა თუ სხვა ძირითადი სერვისების დაბრუნება მუნიციპალიტეტებისთვის (ესპანეთში, გერმანიაში და ა.შ.). მართალია, ბევრმა სოციალურმა მოძრაობამ, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში, „მწვანე ზრდის“ ჩარჩო უარყო და სოციალური და გარემოსდაცვითი სიკეთეების და სამართლიანობის მისაღწევად უფრო რადიკალური პოლიტიკა მოითხოვა, ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, თუ როგორი უნდა იყოს ამგვარი პოლიტიკა, თუნდაც თეორიულ დონეზე9. აკადემიურ და პოლიტიკურ სივრცეში

[32] https://forbes.ge/ra-sargebloba-sheidzleba-m/

ამ მიდგომის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ წარმოუდგენელია კაპიტალიზმის დროს დაგროვებული სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების – მათ შორის, მიწისა და რესურსების განადგურებისა და კლიმატის ცვლილების – გადაჭრა კაპიტალიზმის მოდიფიცირებით. მწვანე ეკონომიკის მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ „პრაქტიკულად განხორციელებად პოსტ-კაპიტალისტურ და პოსტ-დაგროვებით ეკოლოგიურ ეკონომიკაში, რომელიც იმართება ხალხის მიერ, ხალხისთვის და სადაც წარმმართველია წარმოება საჭიროებისთვის და არა მოგებისთვის (Smith, R. 2010).[33]

გამოყენებული ლიტერატურა

1. Lohmann, Larry. 2016. What is Green in Green Growth
2. Kenisa, Anneleen and Lievens, Matthias. Greening the economy or economizing the green project? When environmental concerns are turned into a means to save the market
3. Eigth Steps for a Just Transition, Just transition Resources Portal
4. Sean Sweeney, „Green Capitalism won't work"
5. http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/02/Green_Economy_Dilemma_Geo.pdf
6. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf
7. Should we fear the robot revolution? (The Correct answer is yes), Auther/editor: Andrew Berg: Edward F Buffie; Luis –Felipe Zanna, May 21, 2018

[33] http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/02/Green_Economy_Dilemma_Geo.pdf

კითხვა, აუდიო-ვიდეო თხრობა ციფრულ სამყაროში - ინოვაციური ჟურნალისტიკა
Reading, Audio-Video Narration in the Digital World - Innovative Journalism

ია მახარაძე - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Ia Makharadze - Associate Professor,
Georgian national university
ia.makharadze@gmail.com

აბსტრაქტი: იმისათვის, რომ ქართული მედიაპროდუქტი შესაბამისი მომზადებით შეხვდეს თანამედროვე ჟურნალისტიკის თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა ტრადიციული და ახალი მედია მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი თანამედროვე, ინოვაციური *ტექნოლოგიების, მიმართულებების* კომპლექსური შესწავლა და განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების წარმატებული მედიაკომპანიების გამოცდილების მუდმივი კვლევა. სტატიაში მიმოხილულია ინტერნეტინფრასტრუქტურის პარალელურად საერთაშორისო და საქართველოს ზოგადი მედია გამოწვევები, გარემო და მდგომარეობა, რის საფუძველზეც სტატიის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია ინოვაციური მედიის ერთგვარი უნივერსალური მოდელი, რომელიც უშუალო კავშირშია ქვეყანაში ინოვაციური ტრადიციული ახალი მედიამენეჯმენტის განვითარებასთან.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ჟურნალისტიკა; ტრანსასაზღვრო ჟურნალისტიკა; კითხვა, აუდიო-ვიდეო თხრობა;

Abstract: In order for Georgian media products to meet the modern challenges of modern journalism with appropriate training, it is necessary to study the modern, innovative technologies, directions necessary for increasing the efficiency of traditional and new media management and to constantly study the experience of successful media companies in developed democracies. The article reviews the international, international and Georgian media challenges, environment and situation in parallel with the Internet infrastructure, based on which the final part of the article proposes a kind of universal model of innovative media, which is

directly related to the development of innovative traditional new media management in the country.

Keywords: Innovative Journalism; Cross-border journalism; Reading, audio-video narration;

შესავალი: მსოფლიოს ქვეყნების საინფორმაციო სისტემებში ყოველდღიურად ფართოვდება ინოვაციური მედიის განვითარების არეალი, ამას ერთი მხრივ, განაპირობებს ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევები, მეორე მხრივ, ამა თუ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული ადამიანური რესურსი და თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები. დემოკრატიული პროცესების გაძლიერება, ევროკავშირის საზოგადოებრივი სფეროს მომავალი დამოკიდებულია ამ პროცესებში ჟურნალისტიკის განვითარების მნიშვნელოვან როლზე. უფრო მაღალი საფეხურია ციფრული დემოკრატია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის სიტყვის თავისუფლების უპრეცედენტო შესაძლებლობებს, ინფორმაციის გავრცელებასა და კომუნიკაციის ინტერაქტივს. ციფრული დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ელექტრონული მმართველობა. მას დასავლეთში უწოდებენ "Electronic government, E- government".[34] ეს მოდელი ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში: ადგილობრივ თვითმმართველობაში, სახელმწიფო მმართველობაში ეროვნულ დონზე. ის ასევე უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია: ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური კომუნიკაციური სისტემები. ასევე გლობალური სოციალური კავშირები, პროფესიული, საზოგადოებრივი პერსპექტივების ზრდა აყალიბებს გლობალურ და ლოკალურ იდენტურობებს. ამ ბოლო პერიოდში კომუნიკაცია სულ უფრო სცდება ეროვნული მედიის ლანდშაფატს ტრანსნაციონალური

---

[34] როსტიაშვილი, ქ., 2010. **ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, გვ. 2.** ინტერნეტი ხელმისაწვდომია https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies [წვდომის თარიღი 21 აპრილი 2021}

პრობლემების მიზეზით, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება და ახალი მედიის - Facebook, YouTube და Netflix – ის მზარდი მნიშვნელობა. ეს ონლაინ პლათფორმები საშუალებას იძლევა შეიქმნას სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები, განთავსდეს ინფორმაცია მათ საქმიანობზე, ბიუჯეტებზე, კონკურსებზე, ვაკანსიებზე, ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები. ეს კი უპრეცედენტოდ ზრდის ხალხის მონაწილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვის საქმეში.[35] ამ კონტექტში დიდი მნიშვნელობა აქვს XXI საუკუნის ჟურნალისტიკისთვის ღია და ადვილად დამუშავებად ფორმატში არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობას, მონაცემთა გაანალიზებას. აგრეთვე ის, თუ როგორ იქცა ასეთი ანალიზი, კვლევა, გამოძიება ჟურნალისტებისთვის საკითხების სიღრმისეული შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობათ. ჟურნალიტი-მკვლევარი სხვადასხვა მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირებით და პროგრამული ანალიზით ააშკარავებს საჯარო ფიგურებისა თუ მაღალი თანამდებობის პირების მანამდე უცნობი ბიზნეს კავშირებსა და ინტერესებს[36]. მათ საკუთრებაში არსებულ ქონებასა და შემოსავლებზე ინფორმაციას, უკანონო გარიგებებს და საჯარო ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვას. ამ მეთოდით მოკვლეულ მასალებს ჟურნალისტები იყენებენ როგორც ერთჯერად, ისე ხანგრძლივ ჟურნალისტურ პროექტებში. კომპიუტერის მეშვეობით ინფორმაციის მოძიების ძირითადი ტექნოლოგიები, ახალი შესაძლებლობები დაკავშირებულია ახალ გამოწვევებთან და ტექნიკური უნარების ათვისების აუცილებლობასთან.[37] კერძოდ, თუ მანამდე ითვლებოდა, რომ ჟურნალისტებს ნაკლებად ეხებოდათ მონაცემთა ელექტრონულ ბაზებზე დაფუძნებული სტატისტიკური ანალიზი, ახლა ეს სიღრმისეული ჟურნალისტური გამოძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტია. ამ ტიპის ჟურნალისტიკას დღეს მონაცემთა ან საგამოძიებო ჟურნალისტიკას უწოდებენ. მონაცემთა ელექტრონულ ბაზებზე დაფუძნებული

---

[35] იქვე. გვ.1.

[36] მახარაძე, ი., 2019. ინფორმაციის ელექტრონული მოპოვების საშუალებები. თბილისი: სეუს სამეცნიერო ჟურნალი, გვ. 211,

[37] ტურაშვილი, თ.,2020.ღია მონაცემების სახელმძღვანელო. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), გვ. 8.

ჟურნალისტის მიზანია არა უბრალოდ ფაქტების აღწერა ან მიმოხილვა, არამედ მათი გამომწვევი მიზეზებზე დაკვირვება, კვლევა, განსაზღვრა და, ხშირ შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების ძიება - როგორ უნდა მოიძიოს, მოიპოვოს საერთაშორისი და ადგილობრივი სამთავრობო მონაცემები. კერძოდ, დოკუმენტების საჯაროობის კანონის გამოყენებით შეისწავლოს კომპიუტერის საშუალებით ინფორმაციის მოპოვების რა და რა სახის ამბები განიხილოს.

ადგილობრივი ჟურნალისტიკა კი კვლავ დემოკრატიის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ბევრი ჟურნალისტი ფიქრობს, რომ სოციალური არხები სრულიად საკმარისია ამა თუ იმ ტიპის კონტენტის გადაცემისთვის, რადგანც ვებეგვერდებზე მომხმარებლები სოციალური მედიიდან გადადიან. მსოფლიოში უკვე ბევრი პრეცედენიტია, ამ ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენებისთვის, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებმა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, მოძრაობის ციკლი და ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააფართოვა, რამაც უფრო პლურალისტური გახადა მედია. მომავალში ახალი მედიის, სოციალური არხების როლი გაიზრდება, მიუხედავდ იმისა, რომ მკვლევრების პროგნოზირების უმეტესობით ტრადიციულ მედია პლათფორმებს გაქრობა არ ემუქრებათ. მომავალში ინტერნეტ სივრცე უფრო საჭირო გახდება ადამიანებისთვის და მის გარეშე ცხოვრებას ვეღარ შეძლებენ: მისცემს ახალ შესაძლებლობებს ბიზნესსა და მთავრობებს; ხელს შეუწყობს გააძლიეროს მოქალაქეების მონაწილეობა სახელმწიფოთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; გაცილებით უფრო დინამიურს გახდის საზოგადოებრივ ცხოვრებას. მედიასაშუალებებს, ყველა მოქალაქეს ინტერნეტი აძლევს შესაძლებლობას თავად იპოვოს ინფორმაცია და გამოაქვეყნოს საკუთარ არხზე, შეზღუდვის გარეშე შეუძლია სწრაფად გაავრცელოს როგორც ფაქტები, ასევე ჭორები და ტყუილი ნებისმიერ საკითხებზე. თუმცა, ახალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის სოციალური მედიის შესაძლებლობების გამოყენება ხშირად კონსპირაციული ინფორმაციებითა და პროპაგანდის მიზნით ხდება, რასაც შეცდომაში შეჰყავს ახალი მედიის მომხმარებელი.

ციფრული დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ელექტრონული მმართველობაა. მას დასავლეთში უწოდებენ “Electronic

government, E- government".[38] ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ეროვნულ დონეზე ადგილობრივ თვითმმართველობას, სახელმწიფო მმართველობას და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს განსაზღვრავს. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური კომუნიკაციური სისტემები. ეს საშუალებას იძლევა შეიქმნას სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები, განთავსდეს ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტების მდგომარეობის, კონკურსების, ვაკანსიების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები. ეს კი უპრეცედენტოდ ზრდის ხალხის მონაწილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვაში. ასევე, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ახალი მედიის საზოგადოებაზე გავლენის შესახებ ახალი ცოდნის შექმნა როგორც მკვლევრებისთვის, ასევე მომავალი და მოქმედი ჟურნალისტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის.

ნაშრომის აქტუალური პრობლემაა დასავლეთის ქვეყნებში ინტერნეტთან თავისუფალი ხელმისაწვდომობა, საზოგადოების განვითარების ინსტრუმენტის მოდელად განხილვა. ინოვაციური ჟურნალისტიკის მთავარი აქცენტებია შემდეგი საბაზისო საკითხები: 1. ინტერნეტის ხარისხიანი ხელმისაწვდომობა; 2. ინტერნეტ სერვისის საფასური; 3. ტექნოლოგიების და კომუნიკაციების ტექნოლოგიებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; 4. უსაფრთხოება; 5. ტრანსსასაზღვრო ჟურნალისტიკა; 6. ანონიმურობა; 7. პირადი ინფორმაციისა და ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში. 8. კონტენტის ავტორებს უფლება აქვთ არ გაამჟღავნონ ნამდვილი ვინაობა ონლაინ სივრცეში და შეუძლიათ ისარგებლონ ფსევდონიმით.___გრაფიკები, დოკუმენტები, ფოტოები, ვიდეოე, ან ვებ – ბმულები ბევრისთვის ეს ახალი პასუხისმგებლობები უფრო თავისუფალია: ვებსაიტებზე მომუშავე ჟურნალისტებმა არ უნდა იდარდონ თავიანთი ინფორმაციების წინასწარ განსაზღვრულ დროში განთავსებაზე.

მნიშვნელოვანია, ონლაინ არხების დამფუძნებლებმა იცოდნენ, რომ ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები უფლებამოსილი არიან გარკვეული ზომები გაატარონ მათი ვინაობის დასადგენად. ერთის მხრივ,

---

[38] როსტიაშვილი, ქ., 2010. ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, გვ. 3. ინტერნეტი ხელმისაწვდომია https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies [წვდომის თარიღი 21 აპრილი 2021}

საქართველოში ინფორმაციის გავრცელების კონტროლის მექანიზმების გამორჩეული ფორმა და მეორეს მხრივ, კონტროლის მექანიზმების პარალელური შეუსწავლელობაა კვლევის მოტივი. თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია „ახალი მედიის“, „ტრანსასაზღვრო ინფორმაციისა“ და „სახელმწიფო მართვის ჟურნალისტური მონიტორინგის“ მედია მოდელები, რომელსაც დასავლელი, ქართველი მედია პოლიტიკის მკვლევრები გვთავაზობენ. ნაშრომში სწორედ ამ საკითხებზე გავამახვილებ ყურადღებას, შევეცდები გამოვყო პრობლემური საკითხები, გავაანალიზო სამაგიდე, კონტენტ-ანალიზისა და დაკვირვების, საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგები და არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევაფასო ციფრულ სამყაროში - ინოვაციური ჟურნალისტიკის საზოგადოების განწყობებზე ზემოქმედების შესაძლებლობები. ასევე მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების პრაქტიკოსი მედიამენეჯერების აზრია გასათვალისწინებელი. მაგალითად EBU აკადემიის ხელმძღვანელის ნატალი ლაბურდატის მითითების თანახმად, „ახალგაზრდა აუდიტორია აღარაა დაინტერესებული ტრადიციული მედიით. ჩვენ მათ ვერ უგულებელვყობთ, ამ აუდიტორიას ვერ დავკარგავთ. იქ უნდა ვიყოთ, სადაც ისინი არიან. გვესმოდეს ცხოვრების ახალი წესის გამოწვევები. ახალგაზრდები ინტენსიურად იყენებენ ახალი მედიის პლატფორმებს და იმსახურებენ ინტერნეტ წვდომას ტრადიციული მედიის კონტენტზე. ახალი თაობის ჟურნალისტებს ახალი გზა შეუძლიათ იპოვონ. მაგალითად, როგორ მოყვნენ ამბავი განსხვავებული, ახლებური გზით. როგორ გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური მედია. ეს გვეხმარება, რომ ახალგაზრდა აუდიტორიას მივაწვდინოთ ხმა“. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია სტუდემტებმა ისწავლონ როგორ მომაზადონ ახალი ამბები ინტერნეტ პლათფორმებზე. მიმაჩნია, რომ მსგავსი პრაქტიკული ტენდენციებით სწავლება მედია უმაღლესი სკოლებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანოა, რადგან ის რესურსი, რომელიც ახალი თაობის სახით მოდის, საბოლოოდ ახალ მედიაპლათფორმებში დაიმკვიდრებს ადგილს.

ძირითადი ტექტი: ნაშრომის შესავალშივე აღვნიშნე, რომ ინოვაციური ჟურნალისტიკას გავლენებზე და სპეციფიკაზე დაკვირვებისთვის ყველაზე უკეთ ინტერნეტ ტექნოლოგიები, ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები

გამოდგებიან, რადგან მათში განსაკუთრებით იკვეთება რეალურად თანამედროვე მედია სივრცე რას ემსახურება.

სპეციალისტთა აზრით, „ელექტრონულ მმართველობას სახელმწიფო სექტორის ტრანსფორმაციის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია". ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო რაციონალური, ხალხთან დაახლოებული, ამასთან ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ჰუმანური რესურსები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, რეგიონებთან, ბიზნესთან, ასევე თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა აადვილებს და აჩქარებს საქმეთა წარმოებას და მოქალაქეთა მომსახურებას.

კვლევის მიზანია - გამოავლინოს და აღწეროს ინოვაციური ჟურნალისტიკის ზოგადი სპეციფიკა და ის, თუ რა ხერხებით ახორციელებს ის იმ ფუნქციებს, რომლებსაც ზემოთ ნაშრომის დასწყისში შევეხეთ. მთავარი აქცენტებია შემდეგი საბაზისო საკითხები: 1. თანამედროვე მედიაში ინფორმაციის გავრცელებაზე კონტროლის მექანიზმები შეიცვალა; 2. ამ კონტექსტში „ტრანსასაზღვრო ჟურნალისტიკა“ აქტუალური პრობლემაა; 3. თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციული რესურსი უფრო მნიშვნელოვანი პროდუქტია, ვიდრე მატერიალური და ენერგეტიკული რესურსები.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ინფორმაციის დაცვას უნებართვო დაუფლებისაგან უპირატესობა ენიჭება. აქედან გამომდინარე „ტრანსაზღვრო ჟურნალისტიკის“ მიზნებია:

- ✓ სახელმწიფო და პირადი პრაივესის დაცვის მოტივით თავიდან აიცილოს გამჟღავნება ან არასანქცირებული წვდომა დაცულ ინფორმაციასთან;
- ✓ უკანონო ქმედებები, რომელიც ინფორმაციის განადგურებაზე, მოდიფიცირებაზე, დამახინჯებაზე, კოპირებასა და ბლოკადაზეა მიმართული;
- ✓ სხვადასხვა მეთოდებით უკანონო ჩარევის პრევენცია ინფორმაციულ რესურსეზე და საინფორმაციო სისტემებში;

- ✓ დოკუმენტირებული ინფორმაციის სამართლებრივი რეჟიმით უზრუნველყოფა, როგორც ობიექტის ქონება;
- ✓ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობისა საინფორმაციო სისტემებში;
- ✓ დაცულობა სახელმწიფო საიდუმლოებების, კონფიდენციალური დოკუმენტური ინფორმაციისა შესაბამისი კანონმდებლობით;
- ✓ უზრუნველყოს სუბიექტის უფლება ინფორმაციულ პროცესებში, წარმოებაში, საინფორმაციო სისტემების გამოყენებასა და ტექნოლოგიებში.

დაცვის ამ განმარტებიდან გამომდინარე, ინფორმაციის უსაფრთხოება საკმაოდ ტევადი და მრავალმხრივი პრობლემაა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ინფორმაციის დაცვას, არამედ თუ როგორ უნდა დაიცვა, რისგან უნდა დაიცვა, როდის უნდა დაიცვა, რითი უნდა დაიცვა და როგორი უნდა იყოს ეს დაცვა.

ჟურნალისტებთან, მედია ექსპერტებთან, უსაფრთხოების სფეროსა და სხვადასხვა პროფილით მომუშავე წარმომადგენლებთან, არასამთავრობო სექტორთან კომუნიკაციის, ინტერვიუების, კვლევებისა და დაკვირვების საფუძველზე, დადგინდა, რომ ქართული მედია საშუალებები, განსაკუთრებით კი სოციალურ არხებში ხშირად ხდება დეზინფორმაციის გავრცელება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა დიდი ნაწილის შეფასებით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს ამ პროცესის რეგულირება ისე, რომ არ შეიზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

ციფრულ სამყაროში ჟურნალისტურ პროდუქტში ჟურნალისტის, მოქალაქის მხრიდან როგორ იცვლება თემების კითხვა, აუდიო-ვიდეო თხრობა, მასალისთვის სწორი ფორმისა და შინაარსის კონსტრუირების მეთოდები. ახალი მიდგომები საგამოძიებო ჟურნალისტიკაში, არსი და მისი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ეთიკა ელექტრონული საინფორმაციო რესურსების გამოყენებისას. როგორ ცვლის Covid19 ჟურნალისტიკას? რას ცვლის ეს მედიასაშუალებების მუშაობაში? როგორ უნდა მოახერხონ ჟურნალისტებმა დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად საზოგადოების ინფორმირება? რა

ბიზნესის მოდელები არსებობს მაღალი ხარისხის ჟურნალისტიკისთვის? როგორ შეგვიძლია ცნობიერების ამაღლება ჟურნალისტიკის ღირებულებებზე? რა საჭიროებაა მედია განათლების პროგრამებში, სილაბუსებში გათვალისწინდეს ახალი მიდგომები, ლიტერატურა ქართულ სოციალური და ტრადიციული მედია ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად? ამ კონტექსტში აკადემიური პროგრამები როგორ უნდა იყოს ორიენტირებული სტუდენტებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებასა და მათთვის პრაქტიკული ცოდნის მიცემაზე. ინტერნეტ - მომხმარებლები როგორ მუშაობენ სამოქალაქო ჟურნალისტიკაში, ბლოგინგსა ან სამეცნიერო სოციალურ არხებზე. ისინი როგორ უნდა იყვნენ გატაცებულნი თავიანთი როლით დემოკრატიულ პროცესებში და აქტიურად დაინტერესდნენ მედიის, ჟურნალისტიკისა და დემოკრატიის მომავლით.

კვლევის მეთოდად ვიყენებ სამაგიდე კვლევას, კონტენტ-ანალიზსა და დაკვირვებას, რომლებიც ბეჭდვური, ელექტრონული, ონლაინ მედიის და ჩაწერილი ინფორმაციის დამუშავებისა და შემოწმების ტექნიკაა. კვლევის ეს მეთოდი ემსახურება ტექსტში შემავალი სიტყვებისა ან თემების დათვლას, გაზომვას და ამ გზით ტექსტის შინაარსის დადგენას. ეს მეთოდი იძლევა როგორც ჰიპოთეზის დამტკიცების, ასევე მნიშვნელოვანი ასპექტების აღმოჩენის საშუალებას. კვლევა ასევე ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას. ესაა; ,,ქეის სტადი“ მიდგომა, კონტენტ და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი. კვლევის მეთოდს მედიების წარმომადგენლების სიღმისეული ინტერვიუები და რეგიონებში მოქმედი ჟურნალისტების მონაწილეობით ჩატარებულ ანკეტურ გამოკითხვები, ფოკუსჯგუფები და ცდები წარმოადგენს.

ამ ნაშრომის ემპირიული ნაწილის ჰიპოთეზაა შემდეგი დებულება - ინოვაციური ჟურნალისტიკის მთავარი აქცენტების შემდეგი საბაზისო საკითხების განხილვა: **კითხვა, აუდიო-ვიდეო თხრობა ციფრულ სამყაროში- ინოვაციური ჟურნალისტიკა** - საზოგადოების განვითარების ინსტრუმენტის მოდელად განხილვა. ამ ჰიპოთეტური საკითხების ფონზე, მოცემული საკითხი ფოკუსირდება ჟურნალისტიკის მომავალზე გლობალურ სამყაროში და მიზნად ისახავს მსოფლიო საინფორმაციო სისტემის სივრცეში მდგრადი, ინოვაციური ადგილობრივი ჟურნალისტიკის

კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებას. ეს ტენდენციები მედიაში ახალ ინსტრუმენტებს/ფაქტორებს ქმნის, ან არსებულს აძლიერებს.

ინფორმაციის გავრცელებაზე კონტროლის მექანიზმები შეიცვალა. დღევანდელ საინფორმაციო საუკუნეში დიდი კონკურენციაა და მათი რეპუტაციის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: საიმედობა, ოპრატიულობა და ექსკლუზიურობაა. **გამოიკვეთა „ტრანსასაზღვრო ჟურნალისტიკის“ გამოწვევები:** თანამედროვე მედიის მართვის თეორიული პრობლემები, მისი ფუნქციები, მეთოდები და სახელმწიფო მართვის ჟურნალისტური მონიტორინგის რეალიზაციის მექანიზმები, საზოგადოების მართვის თანაფარდობა და ურთიერთქმედება, მედია მართვაში სისტემური მიდგომის გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფო მართვის რეფორმების დღევანდელ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანია. საზოგადოებრივ ევოლუციაში კომუნიკაციის მრავალფეროვანი მედიაპლათფორმები, მსოფლიო ინფორმაციული სისტემები იქცნენ ადამიანის მუდმივ ინტეგრაციის შესაძლებლობად, რომლებსაც ის ასევე ანდობს თავის პერსონალურ მონაცემებს, ფინანსურ ოპერაციებს, ბიზნესს. ციფრულ სამყაროში ბევრი სირთულეა კიბერუსაფრთხოების სამართლებრივ განმარტებებში, საბანკო თაღლითობა – საკრედიტო ბარათებიდან ფულადი სახსრების მოპარვა; საინვესტიციო თაღლითობა – პირამიდის სქემები, ყალბი აქციები და წილები; ინტელექტუალური საკუთრების დანაშაულები, საავტორო უფლების მქონე ფილმების, მუსიკის, ელექტრონული წიგნების, სურათებისა და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის უნებართვო გაზიარება; უხამსი და აკრძალული სექსუალური გამოსახულებების გაზიარება და გაყიდვა; სექსუალური ძალადობა, დევნა, დაშინება, სექსუალური მტაცებლობა და სხვ. მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკაში და ტექნიკურ შესაძლებლობებში კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით სხვადასხვა სფეროში გამოწვევაა: მაგალითად, სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა კიბერთავდასხმის ფაქტზე. ამ დროს ჩრდილოეთ კორეელ ჰაკერებს შესაძლოა მოეპარათ თავდაცვის საიდუმლო გეგმა. მოპარული ინფორმაცია ეხებოდა სამხრეთ კორეისა და აშშ-ის სტრატეგიულ მასალას იმ შემთხვევისთვის, თუ ომი კორეის ნახევარკუნძულზე დაიწყებოდა. შპიონაჟისგან დამცველმა აგენტებმა გერმანიაში განაცხადეს, რომ ქვეყანა დახვეწილი ჩინური და რუსული

ინტერნეტ-მეთვალყურეობის ოპერაციების საფრთხის წინაშე იყო. მათ მიზანში გერმანიის ენერგოსისტემა ჰქონდათ ამოღებული. BBC-ის ცნობით, 2017 წელს მსოფლიოს კიბერთავდასხმა 99 ქვეყანაში განხორციელდა. აქედან წარმოგიდგენთ რამდენიმე ქვეყანას: დიდ ბრიტანეთს, აშშ-ს, ჩინეთს, რუსეთს, ესპანეთს, იტალიასა და საქართველოს. BBC - ის კომენტარებით და განმარტებებით თავდამსხმელებს ეს ქვეყნები შემთხვევით არ ჰქონდათ ობიექტივში ამოღებული. მათ სწორედ ამ სახელმწიფოებში კონკრეტულ სფეროებზე დეტალური ინფორმაციის მიღება სურდათ.[39] აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების სისტემაში გამოიკვეთა ორგანიზებული შერწყმა სპეციალური ორგანოების, მომსახურების, საშუალებების, მეთოდებისა და ღონისძიებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ პირების, საწარმოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.

ერთ-ერთი ცნობილი კიბერთავდასხმისას, რომელიც ესტონეთში 2007 წელის გაზაფხულზე განხორციელდა გამოიყენეს ერთი მილიონი კომპიუტერი მთავრობის, ბიზნესისა და მედიის ვებგვერდებისათვის საცობის შექმნისთვის. ექსპერტების ვერსიით თავდასხმები რუსეთიდან მოდიოდა, დროში დაემთხვა პოლიტიკური დაძაბულობის პერიოდი. ქვეყნის ზარალი ათობით მილიონ ევრო იყო. კიბერშეტევის შემდეგ, საჯარო და არასამთავრობო სექტორში, მედიაში, საზოგადოებაში პირადი თუ საქმიანი მოხმარებისას მნიშვნელოვნად ამაღლდა ცნობიერება საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებაზე. ესტონეთმა მომავალში ქვეყნის კიბერშეტევებისგან დაცვისთვის 2008 წელს შეიმუშავა ხუთწლიანი კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომლის ძირითდი მიზანი ახალი უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება, განხორციელება, კიბერუსაფრთხოებაში კვალიფიკაციის ამაღლება, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო. ესტონეთის კუბერუსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი აქცენტია თანამშრომლობა კერძო, საჯარო სექტორსა და ეროვნული კიბერთავდაცვის ლიგის სტუქტურებს შორის. ლიგამ 150 - ზე მეტი ექსპერტის ჩართულობით განავითარა ინფორმაციის უსაფრთხოების სხვადასხვა სიმულაცია და

[39] (BBC, 2017).

ჩაატარა წვრთვნები. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისთვის გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ესტონეთის ტელესაკომუნიკაციო ქსელებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას. ნატომ 2008 წელს შექმნა კიბერთავდაცვის ცენტრი ესტონეთში ნატოს წევრი ქვეყნებისთვის კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის.[40] ეს ცენტრი შექმნის დღიდან მხარს უჭერს სხვადასხვა კომპანიებსა თუ აკადემიურ კვლევებს ცნობიერების ამაღლებისთვის. ამ მიზნით ესტონეთმა უმასპინძლა რამდენიმე მაღალი დონის კონფერენციას და განახორციელა მნიშვნელოვანი აქტივობები ამ მიმართულებით.

უახლეს წარსულში ჩინეთმა დაადანაშაულა ობამას ადმინისტრაცია ირანის წინააღმდეგ ონლაინ-ომების წარმოებაში, რომელშიც ჩართული იყო დაქირავებული „ჰაკერების ბრიგადა“ და მიმდინარეობდა მანიპულაცია Twitter-ისა და YouTube-ის დახმარებით, რათა გაღვივებულიყო ანტისახელმწიფოებრივი აგიტაცია“.

IISS-ის მიხედვით, ტერორიზმი და ომები კიბერსივრცეში შესაძლებელია გამოყენონ ქვეყნის ინფრასტრუქტურის გათიშვისთვის, ქვეყნის სამხედრო მონაცემების სისტემებში შეღწევისთვის, ქვეყნის ფინანსური ტრანსაქციების არევისთვის ან სხვა რაიმე საზიანო ქმედება განახორციელონ. მაგალითად, პენტაგონმა 2009 წლის ივნისში აშშ-ის კიბერმართველობა (US Cyber Command) შექმნა. ბრიტანეთმა კიბერუსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი ჩამოყალიბა ჩელტენჰემში (GCHQ). აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში გატარებული ღონისძიების მიუხედავად, დღეს მთავრობებს და ეროვნული უსაფრთხოების დაწე-სებულებებს არ შეუძლიათ განაცხადონ, თუ როდის და ვის მიერ მოხდა მათზე თავდასხმა და როგორი იქნება მათი რეაქცია და პასუხი.

ჩინეთისა და სხვა ქვეყნების მაგალითები განხილული იყო იმ მოტივით, რომ თვალსაჩინოდ ასახავს ინტერნეტის შეღწევადობის სისწრაფეს, მასშტაბს და ასევე წარმოაჩენს ხელისუფლებების სტარტეგიების

[40] ინტერნეტი: https://www.nato.int/docu/update/2008/05-may/e0514a.html წვდომა 10.05.21.

ცვლილებებს ინფორმაციის მართვის ადგილობრივი და გლობალური ძალაუფლების საკითხებში.

დასავლეთის ქვეყნებში, როგორებიცაა გაერთიანებული სამეფო და აშშ-ი მედია-კომენტატორებს, პოლიტიკოსებს, სისხლის სამართლის სპეციალისტებს და უსაფრთხოების პროფესიონალებს შესაძლებელია ამოძრავებდეთ ძლიერი ინტერესი გააზვიადონ რისკები, რაც შეიძლება მომდინარეობდეს ზემოთ აღნიშნული მიზეზებით. სოციოლოგი მაჯიდ იარი ინფორმაციული უსაფრთხოების ტრანსაზღვრო ტენდენციებს ასე აფასებს: „შეშფოთება, რომელიც დასავლეთმა ჩინეთზე გამოთქვა კიბერდანაშაულის, კიბერტერორიზმისა და კიბერომების წყაროს მიმართ, რეალურად ჩინეთის ეკონომიკის გაძლიერებას უკავშირდება. ეს იწვევს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შიშს იმ ქვეყნებში (განსაკუთრებით აშშ-ში, რომლის ეკონომიკაც ერთ კვირასაც ვერ გაძლებდა ჩინეთის ეკონომიკის გარეშე), რომლებსაც რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ხელთ ეპყრათ ძალაუფლება ამ სფეროში.

ქვეყნების ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის ნატოს კიბერთავდაცვის ცენტრი 2009 წლიდან ატარებს ყოვლეწლიურ კონფერენციას კიბერ კონფლიქტებზე, რომელშიც მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპერტები, მთავრობების, მედიის, კერძო სექტორის თუ აკადემიური წრეების წარმომადგენლები. კონფერენციის მთავარი თემებია: საერთშორისო თანამშრომლობა, კიბერუსაფრთხოების საკანონმდებლო, მარეგულირებელი, სამხედრო ასპექტები თავისუფალი და უსაფრთხო ინტერნეტის განვითარებისთვის.[41]

ინტერნეტის შემქმნელები ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ ინტერნეტ ინფრასტრუქტურების მზარდი განვითარება წარმოშობდა ისეთ მასშტაბურ სისტემათა სისტემას, რომლის უსაფრთხოება მნიშვნელოვან გამოწვევად გადაიქცეოდა. ამ ახალმა მეცნიერულმა მიღწევამ ბევრ სიკეთესთან ერთად, ასევე საფრთხეები და ინფორმაციის საბრძოლო სივრცის ახალი ველი წარმოშვა. ახალა ყოველდღიურად ხდება კიბერდანაშაული ინდივიდების, სხვადასხვა ბიზნესისა თუ მთავრობის წინააღმდეგ.

---

[41] ინტერნეტი: https://ccdcoe.org/ წვდომა 10.05. 21.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ახალი ინფორმაციული სივრცის გლობალურ მნიშვნელობას, მის დადებით და უარყოფით ფაქტორებს. მასში ფართოდაა გაანალიზებული სოციალური მედიის როლი, რომელსაც თავისი მნიშვნელობით და გავლენით დღეს „მეხუთე ხელისუფლებასაც“ უწოდებენ. დამკვიდრდა მსოფლიო მასშტაბის კომუნიკაციის შესაძლებლობანი. პოლიტიკურ ზეგავლენათა და პერსპექტივათრა ქსელმა მთელი მსოფლიო მოიცვა. ურთიერთობა და კომუნიკაცია მრავალი თვალსაზრისით გამარტივდა, რამაც ყველა ადამიანის განცდისა და ქმედების დროში სინქრონზაცია მოახდინა. ყოველმხრივი გლობალიზაციის, მზარდი რისკების და საზოგადოებრივი პროცესების განუსაზღვრელობის პირობებში ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები ხდება ერთ–ერთ ძირითადი საკითხი ელექტრონული ხელისუფლების თვითშენარჩუნებისთვის. ეს კი ნიშნავს: ყველა ხდომილების თანადროულობა და ერთმანეთთან შეთანხმების მოთხოვნილება, საერთო მომავალთან ერთად ჰეტეროგენულ წარსულთა ფონზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაცნობიერდა - და თანაც, მოთხოვნის სახით. მის ფარგლებში ჟურნალისტებს სხვადსხვა ქვეყნიდან საშუალება აქვთ იმუშავონ ერთობლივ ეროვნულ და საერთაშორისო დონის პროექტებზე. ასეთი ჟურნალისტური იდეების გენერაცია რამდენიმე ქვეყნისათვის ყოველთვის აქტუალურია, თუკი ამ კუთხით რეალობას ანგარიშს გავუწევთ, ასეთი განვითარებანი გვაიძულებენ საზოგადოების ცნების საკითხი ახლებურად დავსვათ. საქართველოში საზოგადოების საინფორმაციო მართვის სისტემებს მცირე გამოცდილება აქვს. ჩვენს ქვეყანაში ინფორმაციულ უსაფრთხოების კანონის არსებობის მიუხედავად, რომელიც უფლება - მოვალეობებს, სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმებს საზღვრავს, ამავე სფეროს ექსპერტები მიუთითებენ საკონსტიტუციო ბაზის ხარვეზებზე, ინფორმაციის უსაფრთხოების პრობლემებზე, ამ საკითხებში საკანონმდებლო სფეროს პრაქტიკულად გაუმართავობაზე.[42] მაგალითად, საქართველოში 2014 წელს ინტერნეტის თავისუფლების საკითხი ფარულ მიყურადებაზე კანონის დისკუსის კონტექსტში აქტუალური იყო. ამ დისკუსიის მთავარი საკითხი სამართალდამცავების მხრიდან უკანონო

[42] მედიის განვითარების ფონდი. (2018). ინტერენეტი Retrieved from http://mdfgeorgia.ge/eng/home წვდომა 05.09 21.

მოსმენების შესაძლებლობა, სასამართლოს ნებართვის გარეშე მობილურ კომპანიებთან პირდაპირი წვდომა იყო. ეს წესი ინტერნეტ პროვაიდერებზეც ვრცელდება. ეს გულისხმობს, რომ სამართალდამცავებს თეორიულად შეუძლიათ, სასამართლო ნებართვის გარეშე, მოქალაქეების ინტერნეტ ანგარიშებს უთვალთვალონ. დღემდე საქართველოში ეს საკითხი პრობლემატურია.

ჩვენს ქვეყანაში ათწლეულების მანაძილზე არ არსებობდა ანგარიშვალდებულების აუცილებლობა საზოგადოებასთან, ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობებიც ისეთივე იყო, როგორც ზოგადად სახელმწიფოს მართვის სისტემა. გაზეთებს, ჟურნალებს, სახელმწიფო დაწესებულებების პრეს-სამსახურებს კი ზუსტად განსაზღვრული ინფორმაციის გადაცემის უფლება ჰქონდათ. ქართული საინფორმაციო გადაცემები ცდილობდნენ რეალური მოვლენებიდან ყურადღება ნაკლებად მნიშვლელოვან მოვლენებე გადაეტანათ. დღემდე საქართველოში ამ მხრივ სახელმწიფო და კერძო სექტორში სერიოზული პრობლემებია. რეგიონალურ, ქვეყნების მიხედვით, საზოგადოებათა საწყის წერტილად აღება და ყველა ამ მსოფლიო მასშტაბის დონეზე ურთიერთდამოკიდებულებათა ურთიერთობათა სახით განხილვა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ფაქტია: მსოფლიო საზოგადოება, დიდ ხანია ჩამოყალიბდა ერთიან საინფორმაციო სისტემად. მხოლოდ აზროვნებისა და აღქმის ტრადიციული სტრუქტურები გვიშლიან ხელს, დავინახოთ და ვაღიაროთ ეს რეალური ვითარება. მაგალითად, 1991 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყანა თითქმის 50-წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ინფრასტრუქტურა საშინელ მდგომარეობაში იყო. იგივე მდგომარეობაში ბალტიის ქვეყნები იყო. ესტონეთის ახალმა ხელმძღვანელობამ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრესს ინსტრუმენტად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება მიიჩნია და დიდი ინვესტიციები ჩადო მის განსავითარებლად.

თუ დიდ მანძილს დავიჭერთ და მკაფიო ცნებით აბსტრაქციას მოვახდენთ, შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორაა დამოკიდებული მსოფლიო საზოგადოებრვი ევოლუცია კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზე. ასეთი კავშირის არსებობა მოსალოდნელიცაა. ბოლოს და

ბოლოს, საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისგან შედგება. ძალიან უხეშად, საზოგადოების სისტემა შეგვიძლია დავახასიათოთ ერთმანეთისთვის ხელმისაწვდომ, კომუნიკაციურად მისაღწევად განცდათა და ქმედებათა ერთობლიობად. კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს. ამის კონსტანტირება არც ისე რთულია; მნიშვნელოვანია, შევძლოთ კომუნიკაციის სახეთა და საზოგადოების ურთიერთკავშირზე ამ თეზისის ისტორიული, თანამედროვე და შინაარსობრივი თვალსაზრისით დიფერენცირება. წინააღმდეგ შემთხევაში, იგი ლიტონ განცხადებად დარჩება.[43]

ციფრულ სამყაროში ჟურნალისტურ პროდუქტში ჟურნალისტის, მოქალაქის მხრიდან კითხვა, აუდიო-ვიდეო თხრობა მასალისთვის სწორი ფორმისა და შინაარსის კონსტრუირებისთვის ახალი რეალობაა. განსაკუთრებით იმგვარ სოციალურ ცნებათა ზემოქმედების გასახანგრძლივებლად, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოების ერთიანობა ერთ-ერთი ნაწილობრივი ფუნქციიდან განისაზღვრება - ან პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროს პერსპექტივიდან. ხოლო თუკი, ამის საპირისპიროდ, იმ ფაქტიდან ამოვალთ, რომ ამასობაში ერთიანი, მთელი მსოფლიოს მომცველი საზოგადოებრივი სისტემა შეიქმნა, რომელსაც მსოფლიო სახელმწიფო არ ესაჭიროება, მაშინ, ბუნებრივია, ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ დედამიწის ყველა რეგიონი მსოფლიო საზოგადოების ამ ფაქტში თანაბრად არ მონაწილეობს. პოლიტიკური ძალაუფლების, კაპიტალთა მასების, ეკონომიკურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურების, განათლებისა და ცოდნის უზარმაზარ სხვადასხვაობათა არდანახვა შეუძლებელიცაა და დაუშვებელიც.

„აკურატული ჟურნალისტიკა“, „ანალიტიკური ჟურნალისტიკა„, „მონაცემებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა“, „კომპიუტერული ჟურნალისტიკა“ „მობილური ჟურნალისტიკა“ - ყველა ეს ტერმინი აერთიანებს, აღნიშნავს პერსონალური კომპიუტერების მიერ ახალი ამბების გაშუქებაში მოხდენილ რევოლუციას. ჟურნალისტისთვის აღარ კმარა, რომ უბრალოდ სიტყვის დიდოსტატი იყოს. თანამედროვე საინფორმაციო

[43] ლუმანი, ნ., 2007. საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია. თბილისი: გამომცემლობა „არსე“.

საზოგადოებაში „ჟურნალისტი უნდა იყოს მონაცემთა ბაზების მენეჯერი, მონაცემთა დამმუშავებელი და ანალიტიკოსი“, ამბობს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი და ჟურნალისტიკაში სოციალურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების სპეციალისტი ფილიპ მეიერი.

ორი ამოცანაა თანამედროვე ჟურნალისტის წინაშე 1. კომპიუტერის წყალობით ჟურნალისტის ხელთ აუარება ინფორმაციაა და მისი დამუშავებაც მალე და დიდი სიზუსტით შეიძლება; 2. ორი შეუცვლელი ამოცანა ჟურნალისტის წინაშე, რომელსაც კომპიუტერი ასრულებს მის ცხოვრებაში: პირველი - ინფორმაციის მოძიება; მეორე - ინფორმაციის დამუშავება

კონტენტის შინაარსი და ტექნოლოგიები ცვლილება. ნაშრომი მოიცავს ინფორმაციული საზოგადოების ევოლუციის ძირითად ტენდენციებს, სადაც მოცემულია განაზრებანი მედიაში ტექნოლოგიური ცვლილებების აქტუალურ პრობლემებზე. დღეს სოციალური არხები საზოგადოების ახალ სოციალურ სტრუქტურად ჩამოყალიბდნენ. ყურადღება გამახვილებულია ახალი მედიის რაობისა და როლის შესახებ, როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ისე საქართველოში. აქცენტი კომუნიკაციური პროცესების ანალიზზეა გაკეთებული: ინფორმაცული მსოფლიო სისტემა, მედია ტექნოლოგიების რევოლუციის სოციალური, კულტური შედეგები, სოციალური მედია, ვორდპრესი, ბლოგინგი და ტრადიციული მედია. ტრადიციული და ახალი ბიზნეს-მოდელები, არქიტექტურა როგორც კომუნიკაცია, ინტერნეტის ინფრასტრუქტურა. ესაა ავტორის ქართულ სამეცნიერო, პრაქტიკულ ქართულ ჟურნალისტიკაში პრობლემების ხედვის მიდგომები და ხშირად მათი გადაჭრის გზებისა და საშუალებების შემოთავაზება. სოციალური არხების მომხმარებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ფაქტების თვითმხილველნი არიან. ჟურნალისტებისგან დამოუკიდებლად აქვეყნებენ იმ ინფორმაციებს, რომლებსაც შეესწრნენ. ამ მხრივ „ფეიბუქის ერამ“ წარმოუდგენელი შესაძლებლობები მისცა ჟურნალისტებს ინფორმაციის წყაროს თვალსაზრისით. სწორედ აქედან გამომდინარე ეწოდება სოციალური მედიას:

- ✓ **„ღია წყაროს ჟურნალისტიკა“ (Open Source Journalism);**

- ✓ **„მონაწილეობითი ჟურნალისტიკა“ (Participatory Journalism),**
- ✓ **„პუბლიკის ჟურნალისტიკა“** [44]

სოციალური არხების მკვლევრის ჯოის ნიპის განსაზღვრებით ჟურნალისტიკის ამ მოდელში პროფესიონალები (ისეთი მომხმარებლები, ვისაც გაწეული რეპორტიორული სამუშაოსთვის ჰონორარს უხდიან) საერთოდ არ არიან ჩართულნი. ახალი ამბების გვერდს/ბლოგინგს, ადგილობრივ რადიოსადგურსა თუ გაზეთს მთლიანად მოქალაქეთა ჯგუფი ან რაიმე ორგანიზაცია მართავს. იმისათვის, რომ მსგავსი მუშაობა „ჟურნალისტიკად“ შეფასდეს, იგი უნდა შეიცავდეს ორიგინალურ ინტერვიუებს, რეპორტინგს ან იმ მოვლენების, ფაქტების ანალიზს, რასთანაც თვითონ ავტორს აქვს შეხება.[45]

თანამედროვე მედის ციფრული განვითარების ამ ტენდენციებიდან გამომდინარე მედიამკვლევრების ერთი ბანკი ტრადიციული მედიის კრიზისზე მიანიშნებს, თუმცა ჟურნალისტის პროფესია არასოდეს ყოფილა ისე მნიშვნელოვანი, როგორც ახლა. ცალკე საკითხია ინფორმაციის წარმოუდგენელ ნაკადებთან გამკლავება. ამიტომაც სოციალური არხებიდან ინფორმაციის გამოყენებისას ჟურნალისტების როლი ონლაინ წყაროების გადამოწმება, ფიქსაცია, ფაქტოგრაფია და ლეგიტიმაციაა. ჟურნალისტების ინტერაქტიული საქმიანობის ყველაზე საინტერესო ასპექტია, რომ მათ შეუძლიათ პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ აუდიტორიასთან სოციალური არხების საშუალებით. გარდა მომხმარებელთან კომუნიკაციისა, ჟურნალისტებს შეუძლიათ შეაგროვონ და გაავრცელონ ინფორმაციები: მოიძიონ საჭირო ლინკები, საინტერესო ამბები, მოვლენები, წყაროები, ხალხი, რომელიც საქმიანობს ავტორის მიერ არჩეულ სფეროში. ჟურნალისტმა მეთიუ ინგრმა სოციალურ ქსელი „ტვიტერი“ ასე შეაფასა: „Twitter-ი ისტორიის პირველი ვერსიაა“. ამ მოსაზრებას ადასტურებს: მბუმბაიზე თავდასხმა, კოლარადოში თვითფრინავის ჩამოვარდნა, მდინარე გუმონში ავტოკატასტროფა. ეს ფაქტები თვითმხილველებმა ტელეფონით გადაიღეს და Twitter-ზე გამოაქვეყნეს. მაგალითად, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ციტატა, „ტვიტერის" ისტორიაში, ყველაზე

---

[44] Haas, Tanni (2005). From “Public Journalism” to the “Public’s Journalism”? Rethoric and reality in the discourse on weblogs, Journalism Studies 6(3): 387.

[45] Nip, Joyce Y.M. (2006). Exploring the second phase of public journalism, Journalism Studies, 7(2): 230.

პოპულარული „ტვიტი" გახდა. ობამამ ნელსონ მანდელას ციტატა გამოიყენა: „არავინ იბადება სხვა ადამიანის მიმართ სიძულვილით კანის ფერის, წარმომავლობის ან რელიგიის ნიშნით"... ობამას ტვიტის ეს გვერდი ფოტოთი ილუსტრირებული იყო: ობამას პატარა ფანჩატურიდან სამი სხვადსხვა რასის ბავშვი უყურებს. ეს „პოსტი" სამმა მილიონმა ადამინამა მოიწონა. ამ მასალით ბარაკ ობამამ 12 აგვისტოს შარლოტსვილში მომხდარ დაპირისპირებას უპასუხა. ულტრამემარჯვენე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ანტიფაშისტების აქციაზე მანქანით შევარდა. შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, 19 დაშავდა.[46]

ბლოგები ასევე ეფექტიანი პლათფორმებია ჟურნალისტური საქმიანობისთვის - ხალხი ბევრ კრიატიულ იდეებს ატრიალებს ინტერნეტში. ცნობილია, რომ წარმოდგენილი სოციალური ქსელები ვებტექნოლოგიაზე დაფუძნებული სერვისია, რომელიც ნებას რთავს ინდივიდებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს ღიად გამოხატონ საკუთარი თვალთახედვა და იდეები. მოიწვიონ სხვა ადამიანები, ჩართონ სადისკუსიო კლუბებში. ასეთი კავშირი მოსალოდნელიცაა. ბლოგინგის ბევრი მეთოდი არსებობს, გამოვკეთავთ რამდენიმე ძირითად ტიპს: 1.პირადი - ბლოგი, როდესაც ავტორი პირად ისტორიებზე, ემოციებზე, მეგობრებზე ჰყვება; 2. თემატური - როდესაც ბლოგერი კონკრეტულ საკითხზე წერს კონტენტს; 3. კორპორატიული - მედიაკომპანიების ვებგვერდზე გახსნილი ბლოგები, როდესაც თავად გამოცემის ჟურნალისტები ან მოწვეული ბლოგერები წერენ მასალებს. ასეთი ბლოგინგების თემა შეიძლება იყოს პრობლემატურ საკითხებზე დაწერილი მასალების შეჯამება და ანალიზი. საგანმანათლებლო მიმართულების მასალების გამოქვეყნება; პროფილები - ხალხზე, კომპანიებზე; დებატები - ორი განსხვავებული აზრის წარმოდგენა; ავტორისეული მოსაზრებების განხილვა და საზოგადოებისთვის საჭირბოროტო თემებზე განმარტებები. ჟურნალისტის გამოცდილების გაზიარება, ახალი ამბები და შეფასებები ცნობილ ადამიანებზე. მაგალითად,

---

[46] ინტერნეტი Barack Obama @BarackObama

https://twitter.com/barackobama/status/896523232098078720 წვდომა10.05. 21

ასეთ ბლოგებად შეიძლება განვიხილოთ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის“, „რადიო თავისუფლების“, „ლიბერალის“, ტაბულის“, „ნეტგაზეთის“ და სხვა ქართულ მედია სივრცეში მომზადებული კორპორატიული ბლოგები.

ინტერნეტ ინფრასტრქუქტურა ჟურნალისტს აძლევს საშუალებას, რომ სამიზნე აუდიტორიისთვის იყოს ყველგან და ყოველთვის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ სოციალურმა ქსელებმა და ბლოგებმა ინფორმაციის მოპოვება, გავრცელების, აზრის გამოხატვის მიზნით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განვითარებული მოვლენების პარალელურად დაიწყო. იმ პერიოდში გამიზნულად დაიხურა ქართული ვებგვერდები და მათთან ერთად საზოგადოებრივ აზრთა მიმოცვლისა და დისკუსიის შესაძლებლობა. ამ სიტუაციის გამო ბევრმა ინტერნეტ მომხმარებლემა გახსნა საკუთარი საავტორო პლათფორმა და ის ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიულ ერთადერთ საშუალებად აქცია. ტექნოლოგიების ხანაში აუდიტორიის ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები მედია კონტენტს ძირითადად სმარტფონებში ნახულობს. მაგალითად, სოციალური ქსელი „ინსტაგრამი“ მედიისთვის ის საშუალებაა, რომელიც ახალგაზრდა აუდიტორიას წვდება. მაგალითად, BBC ექვს წელზე მეტია იყენებს BBC-ის „ინსტაგრამ“ ანგარიშის პლატფორმას, სადაც შესაძლებელია მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ამბების ნახვა. შესაბამისად, მსოფლიო გამოცემები, ტრადიციული მედია ამბის ვიზუალიზაციის ისეთ ფორმებს მიმართავენ, რომლებიც მობილურის ფორმატს მოერგება.

სმარტფონისთვის ამბის ვიზუალური თხრობის რამდენიმე მაგალითი სახელდება: ***1. მოკლე განმარტებითი ვიდეო, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური მასალა:*** თხრობის ამ ფორმატს არაერთი მედია საშუალება მიმართავს. ამ კუთხით გამოირჩევიან by AJ+ და NowThis. ამ ფორმატის მოკლე ვიდეოებში ანიმაციები და სუბტიტრებია წარმოდგენილი; 2."სთორები": ეს კონტენტი ძირითადად Instagram-ისა და Snapchat-ისთვის იქმნება. ბევრი მედია „სთორების" კატეგორიას ვებგვერდზე, სტატიებშიც, ტექსტებშიც იყენებს - ინტერნეტ მომხმარებელს შეუძლია სმარტფონში გვერდებზე ჰორიზონტალურად გადავიდეს. BBC: A mission of astonishing discovery , Washington Post: A city destroyed by riot; ***3.“SCROLLYTELLING”-ი:***

ტრადიციული ბეჭდვური მედიის ჟანრით დაწერილი სტატიაა, სმარტფონის მომხმარებელი ე.წ "სქროლვით" კითხულობს. მასალაში გამოყენებულია ფოტოები, ვიდეოები, გრაფიკები და ა.შ 4. ***მონაცემთა ვიზუალიზაცია:*** ძირითადი ტექსტის გარეშე, ინფორგრაფიკებითა და მონაცემებით შექმნილი ინტერაქტიული ფორმატი. 5.*სტრუქტურიზებული სტატიები და ჩამონათვალი:* კონკრეტული თემის ირგვლივ დანომრილი, ტიპოგრაფიული ან სხვა ფორმით სტრუქტურიზებული ვიზუალური მასალაა. გამოიყენება BuzzFeed-ი და Huffington Post-ი. მაგალითი: *Quartz: How We'll Win 6.პერსონიფიცირებული თხრობა, ადაპტირებული მასალები:* ამბავი, თემა კორექტირდება მკითხველის პერსონალური არჩევანიდან გამომდინარე. ასეთი ფორმატით გადმოცემული ამბავი მომხმარებელზეა ადაპტირებული და მის ინტერესებს შეესაბამება. მაგალითი: BBC*: Life expectancy calculator*; **7.*LIVE ბლოგინგი - განახლებადი ინფორმაცია***

გამოცემები: ამ ფორმატს მნიშვნელოვანი მოვლენებისას იყენებენ: მაგალითად, პოლიტიკური შეხვედრებისას, კულტურული და სპორტული,ღონისძიებებისას. 8. ***ბოტები, ამბის ავტომატიზებული თხრობა:*** არჩევნების, სპორტული ღონისძიებებისა და სხვა მოვლენების გასაშუქებლად ზოგიერთი მედია ყალბ ინფორმაციებს იყენებს, რომელიც მომხმარებელს ინფორმაციას შეტყობინების სახით უგზავნის; *9.360° ვიდეო, ვირტუალური და გაფართოებული რეალური სივრცე:* The Guardian-სა და The New York Times-ს თავიანთი აპლიკაციებისთვის ვირტუალური რეალობის სივრცის გამოყენებით სხვადასხვა თემაზე აქვთ მასალები მომზადებული. მაგალითი: New York Times: Daily 360[47]

აქედან გამომდინარე, ინფორმაციაზე მისაწვდომობა, გავრცელება სოციალური ქსელების გამოყენებით უფრო პოპულარული გახდა. სწორედ ესაა მისი ძალუფლება. ნაშრომშიც, სწორედ ამ ორ მიმართულებაზე: ტრადიციულ და ინოვაციურ ჟურნალისტიკის ძალაუფლებაზე, როლზე კეთდება ძირითადი აქცენტები.

---

[47]ინტერნეტის ხელმისაწვდომობა https://www.mediachecker.ge/ka/wiki/resursebi/article/80691-ambis-vizualuri-thkhrobis-9-tipi-smartfonisthvis. [წვდომის თარიღი 24 აპრილი 2021}

ინოვაციური ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ახალი მედია ენა. ჟურნალისტისთვის ენა მთავარი სამუშაო იარაღი, საშენი მასალაა: თუ დიდ მანძილს დავიჭერთ და მკაფიო ცნებით აბსტრაქციას მოვახდენთ, შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორაა დამოკიდებული საზოგადოებრივი ევოლუცია ვერბალური კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზე. ახალი მედია ენის გამოწვევებს გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე საზოგადოებასთან კომუნიკაციით და ამ საზოგადოებაში ძალაუფლებრივი ურთიერთობებით. მედიის პოლიტიკური დისკურსის ენობრივი ასპექტებია: ტექსტის ფორმა, შინაარსი და ზოგადად ლექსიკა. კომუნიკაცია კი მედია ენის განუყოფელი ნაწილია. [48]

მედია ენის მკვლევარი ფერკლაუფი განიხილავს მასმედიის „ფარულ ძალაუფლებას“.[49] მისი განმარტებით: „დისკურსში გამოხატული ძალაუფლება უკავშირდება ძალაუფლების მქონეთა მიერ საზოგადოების იმ ნაწილის კონტროლს, რომელსაც ძალაუფლება არ გააჩნია“. მეცნიერი განასხვავებს სამი ტიპის მედია ენის საშუალებით იძულებით გადაწყვეტილებებს:

1. თანხმობის მოპოვება იმ თემაზე, რაც ძალაუფლების მქონე წარმომადგენლის მიერ ითქვა ან განხორციელდა; განსაზღვრავს თუ რა სოციალურ-პოლიტიკური შეტყობინება გადმოიცემა ზეპირ თუ წერილობით ტექსტში, იკვლევს ენისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებას;

2. სოციალური კომუნიკაციები, რომლებშიც ადამიანები მონაწილეობას დისკურსის საშუალებით იღებენ;

---

[48] ლომიძე, თ., 2016. საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები. თბილისი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, გვ.14.

[49] Fairclough, N., 2001. Language and Power. New York : Published in the United States of America by Longman Inc.გვ. 8.

3. სუბიექტები, ან „სუბიექტური პოზიციები“, რომლებიც შესაძლოა გააჩნდეს ხალხს. მედია ტექსტებს, როგორც სოციალური მოვლენების შემადგენელ ფაქტებს, გააჩნია მიზეზობრივი ეფექტები, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს. უპირველესად, მედია ტექსტებს ცვლილებები შეაქვთ ჩვენს ცოდნაში, რწმენაში, დამოკიდებულებებში, ღირებულებებში და ა. შ. მათ გააჩნიათ გრძელვადიანი გავლენები.[50]

მაგალითად, მედიაში ხანგრძლივ რეკლამებს და სხვა ტიპის კომერციული ხასიათის ტექსტებს საზოგადოების როგორც „მომხმარებლის“ იდენტობის ან მათი ზოგადი იდენტობის ფორმირება შეუძლიათ. მედია ტექსტები ახდენენ ომის პროვოცირებას, ცვლილებები შეაქვთ განათლებაში, ინდუსტრიულ ურთიერთობებში და ა. შ. ეს შეიძლება მოიცავდეს მატერიალურ სამყაროსაც, როგორიცაა მაგალითად ურბანული დიზაინი, არქიტექტურა ან კონკრეტული შენობის დიზაინი. ზოგადი შეფასებით, მედია ტექსტებს აქვთ მიზეზობრივი გავლენა და გარკვეული წვლილი შეაქვთ ადამიანების ცხოვრებაში (მათ რწმენაში, დამოკიდებულებებში და ა. შ.), ქმედებებში, სოციალურ ურთიერთობებსა და მატერიალურ სამყაროში.

პოლიტიკური დისკურსის ანალიზი (PDA) კი შეისწავლის სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ მედია ტექსტს. პოლიტიკურ ტექსტებს აქტიურად იკვლევენ დასავლეთელი მეცნიერები: ვან დეიკი, ნორმან ფერკლაუფი, რუთ ვოდაკი, ბოგრანდი, დრესლერი. ეს კვლევები ციფრულ სამყაროში განსაკუთრებით აქტუალურია.

ვან დეიკი მიხედვით, პოლიტიკური დისკურსის კრიტიკული ანალიზი ძირითადად განიხილავს პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, პოლიტიკური დისკურსის სიჭარბესა და გაბატონებას. ამ კომპონენტით ხდება იმ შედეგების კვლევა, რაც ჟურნალისტებისა თუ რესპოდენტების რიტორიკით გამოწვეულ სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობას იწვევს.

---

[50] ლომიძე, თ., 2016. საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები. თბილისი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, გვ.15

ამ ლოგიკით პოლიტიკური დისკურსის ორი გაგება სახელდება:

1. პოლიტიკური დისკურსი განიმარტება როგორც პუბლიცისტური ენა. მკვლევარ ლანდშერის ნაშრომებში „The Political Rhetoric of United Europe“ განმარტებულია, ყველა საჯარო გამოსვლა პოლიტიკურ კონტექსტში. ამდენად, პოლიტიკური დისკურსია განხილება პუბლიცისტურ ენად. ეს ასპექტი გამოიყენება კომუნკიაციების სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. ვან დეიკის მითითებით პოლიტიკური დისკურსი განიხილება პოლიტიკური სფეროს შემოფარგლული მედია ფორმატით. მედია ამ ფორმატს იყენებს სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსით, * ფუნქციური დანიშნულებითა და კომუნიკაციური ზემოქმედების მიზნით. ვან დეიკის კონცეფციაში, პოლიტიკური დისკურსი პოლიტიკოსების დისკურსია. პროფესიონალურ ჩარჩოში წარმოდგენისას დისკურსის ინსტიტუციონალურ ფორმად მოდიფიცირდება. შესაბამისად, პოლიტიკოსების დისკურსად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის დისკურსები, რომლებიც რეალიზდება ისეთ საინსტიტუციო გარემოში, როგორიცაა სამთავრობო სხდომები, საპარლამენტო სესიები, პოლიტიკური პარტიის ყრილობები, წინასაარჩევნო კამპანიები, პოლიტიკური დებატები, რომლებიც მედიასაშუალებებით გადაიცემა. პერსონის მიერ აზრის გამოთქმა ხდება პოლიტიკოსის ამპლუაში შესაბამის ინსტიტუციონალურ გარემოში.[51]

აქედან დასკვნა, პოლიტიკოსები დაინტერესებულნი არიან, ან უნდა იყვნენ იმით, თუ რას ილაპარაკებენ და როგორ მიიტანენ თავიანთ სათქმელს აუდიტორიასთან. ნებისმიერი პოლიტიკური წყობის, რეჟიმის შემთხვევაში პოლიტიკოსისთვის უმთავრესია კომუნიკაციის სწორი

---

* ამა თუ იმ ენის ლექსიკის სრული მარაგი; ცნებასთან მიწერილია სათანადო სიტყვები და შესიტყვებები ერთ ან რამდენიმე ენაზე. საშუალებას იძლევა მნიშვნელობის მიხედვით მოვძებნოთ ამა თუ იმ ენის სიტყვები.

[51] კირვალიძე, ნ.,2010. პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი. თბილისი: საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ გვ. 1. ინტერნეტი http://eprints.iliauni.edu.ge/1019/ წვდომა 10.05.21.

ფორმის შერჩევა, რათა ამა თუ იმ საკითხში დაარწმუნოს თავისი შესაძლო ამომრჩეველი. კარგად მომზადებული წინასაარჩევნო დისკურსი „ლინგვისტურ ომში" გამარჯვების გარანტიაა. პოლიტიკოსები ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზროვნების მართვით მიაღწიონ წარმატებას. აქედან ლინგვისტები საარჩევნო დისკურსს ასახელებენ ერთ-ერთ უმთავრესს კოპონენტს, რომელიც ხშირად წარმატებული საარჩევნო კამპანიის მთავარი წინაპირობაა. [52]

ამჯერად ჩვენი კვლევის ერთ-ერთი საკითხია ტექსტები, რომლებსაც მედია გადასცემს. მედია მკვლევარმა პ. ბურდიემ გამოიკვლია მედიის ფარული სტრუქტურები. მისი ნაშრომი, რომელიც ამ საკითხების კვლევას ეხება, მედიამკვლევრებში, პრაქტიკოს ჟურნალისტთა წრეებში მკვლევრის ასეთმა თვალთახედვამ არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია: ჟურნალისტები აჩვენებენ სიახლეებს და აიძულებენ საზოგადოებას სჯეროდეს იმის, რასაც მედია პროდუქტი სთავაზობს. ფლობენ ჩვენების, სოციალური მობილიზაციის ძალაუფლებას. ამ მოსაზრებით, მასმედია ახორციელებს არამხოლოდ იდეებს, არამედ სოციალურ ჯგუფებს ქმედითს ხდის. ჟურნალისტური მასალების ტექტსებს შეუძლია როგორც პოზიტივის, ასევე დესტაბილიზაციის შეტანა საზოგადოებაში: სოციალური ინტეგრაციის პარალელურად ხელი შეუწყოს ნეგატიურ პროცესებს, როგორიცაა რასიზმი, შოვინიზმი, ქსენოფობია, დისკრიმინაცია, აგრესია და ა. შ. მცირე მედია პროდუქციის მომზადებაც კი რეალობის კონსტრუირების საშუალებაა. აქედან გამომდინარე დღეს, თანამედროვე პირობებში მასმედიის ვალია მხოლოდ ხელი შეუწყოს ჯანსაღი თანამედროვე საზოგადოების ლიბერალურ პრინციპებზე დამყარებული სამოქალაქო შეთანხმების შექმნას და არავითრ შემთხვევაში მის დანაწევრებას სხვადასხვა ბანაკად. ამ კატეგორიის საკითხების კვლევისას საჭიროა შეფასდეს ის ჟურნალისტური ტექსტები, სადაც არსებითად დარღვეულია სიზუსტის პრინციპი, ფაქტები და კონტექსტი არასრულყოფილადაა

[52] ლომიძე, თ., 2016. საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები. თბილისი :წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, გვ.16.

გადმოცემული. ასევე გამოიკვეთოს ის ჟურნალისტური მასალები, სადაც ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა მხრიდან დისკრიმინაციას, ხოლო რესპონდენტთა მხრიდან დისკრიმინაციის შემთხვევაში, დაცული არ ყოფილა პროფესიული სტანდარტი.

თუმცა, დღეს სხვადასხვა სფეროს მეცნიერები ჟურნალისტიკის ორმაგ სტანდარტს ასახელებენ დემოკრატიულ პროცესებთან მიმართებით: ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს თავისუფალი აზრისა და დისკუსიების განვითარებას, მეორე მხრივ, კი სპობს დიალოგისთვის აუცილებელ საჯარო სივრცეს. სოციოლოგ ენტონი გიდენსის მოსაზრებით:* „გლობალური ინფორმაციული საზოგადოების არსებობა უკვე ძლიერ მადემოკრატიზებელ ძალას წარმოადგენს. მეორე მხრივ, მასმედიის საშუალებები თვითონვე სპობენ დიალოგისთვის აუცილებელ თავისავე მიერ შექმნილ საჯარო სივრცეს პოლიტიკური საკითხების განუწყვეტელი გამარტივებისა და პერსონალიზაციის მეშვეობით“. [53]

ვიდეო-აუდიო ამბავი ნებისმიერი სხვა სახის მასალასავით იძენს თავის ფორმას. პირველ ყოვლისა, უნდა ჩამოყალიბდეს მოკლე მონახაზი, რომელიც ამბის ძირითად სათქმელს გამოხატავდა. ამ მოკლე მონახაზს ხანდახან ფოკუსირებულ გეგმას უწოდებენ. ტერმინოლოგია აქ მეორეხარისხოვანია, მთავარია, ვიდრე ჩაწერას დაიწყებდეთ, გონებაში თქვენი მომავალი სამუშაოს მონახაზი გააკეთოთ. ამბის თემის განსაზღვრა აიძულებს აუდიოჟურნალისტს, რომ მარტო სახელი კი არ მოიფიქროს, არამედ ამბის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მხარეებიც გამოკვეთოს.

---

* ე. გიდენსი (Giddens) 1938 წ. 18 იანვარს დაიბადა. იგი დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი და პოლიტიკური მეცნიერია. მისი კონცეფცია თანამედროვე თავისუფალი საზოგადოებისა და ადამიანის პირადი თავისუფლების ახალ საფეხურზე ამყვანის აღიარებას ეყრდნობა.

[53] Fairclough N.,2016.. linguistic and Intertextual Analysis Within Discourse Analysis Lancaster university. ინტერნეტი Linguistic and Intertextual Analysis Within Discourse Analysis (researchgate.net) წვდომა 05. 09 21.

ამბის ფოკუსური მონახაზი მარტივია, სხარტი თხრობითი წინადადებაა, რომელიც გამოხატავს ეთერში გასაშვები ამბის ძირითად არსს. ეს ის ძირითადი პრაქტიკული შედეგია, შთაბეჭდილებაა, რომელიც მომხმარებელს სიუჟეტის ნახვის შემდეგ დარჩება. მაგრამ, ვიდრე არ გეცოდინებათ, თუ რას ეხება თქვენ მიერ მომზადებული მასალა, გაგიჭირდებათ თემის არსის სხვისთვის გადაცემა. „თუ ამბის იდეას პატარა საკართოთეკე ბარათზე, ერთ წინადადებაში ვერ ატევთ, ესე იგი, თავადაც არ გესმით საკუთარი მომავალი ნამუშევრის არსი“, - ამბობს ტელერადიო ჟურნალისტი შელი კარაბელი..[54]

გასათვალისწინებელია ამერიკელი ჟურნალისტის ბილ ჯენტილის გამოცდილება, რომელიც მედიაში 1977 წლიდან მუშაობს: ტრადიციული ბეჭდური მედიით დაიწყო, მუშაობდა უცხოეთის სპეციალურ კორესპონდენტად, ფოტოჟურნალისტად, ტელერადიოს რეპორტიორად და დღეს თანამედროვე ტექნოლოგიებში, ზურგჩანთიანი ჟურნალისტიკის სფეროში ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტია: ზოგიერთი ჟურნალისტი ამ ტექნოლოგიურ წინსვლას უყურებს გამოწვევას, მუქარას კლასიკური მედიის წინააღმდეგ. ამერიკელი ჟურნალისტის მრავალწლიანი პრაქტიკითა და შეფასებით: „ეს ღია კარია ახალი შესაძლებლობებისკენ“. ტრადიციული მედიის მომავალს ტექნოლოგიების განვითარებაში ხედავს. მისი მოსაზრებით, თანამედროვე ჟურნალისტი ვიზუალური კომუნიკაციის ხელოვანია კომპაქტური ციფრული ვიდეოკამერისა და სხვა საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით. ეს აღჭურვილობა ერთ ზურგჩანთაში თავსდება და ამბის ვიზუალურად თხრობის საშუალებას იძლევა. ასეთი თხრობის ფორმა ბევრად უფრო ინტიმური და სწრაფია, ვიდრე ამბავი, რომელსაც ვყვებით ოპერატორებით, ხმის რეჟისორებით, პროდიუსერებით, რეჟისორებით, კორესპონდენტებითა და სცენარისტებით დაკომპლექტებული გუნდის მეშვეობით. ბილ ჯენტელს სჯერა, რომ ზურგჩანთიანი ჟურნალისტიკა მედიის მომავალია. კონტენტის ავტორი თუ კარგად მუშაობს, მას ძალიან ძლიერი შეგრძნება უჩნდება. ავტორობა კი

[54] შუკი, ფ, ლარსონი, ჯ, და დატარსიო, ჯ., 2014. სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი.

მარტო კომფორტი არაა, არამედ პასუხისმგებლობაცაა, რადგან რაც საბოლოო პროდუქტშია წარმოდგენილი ჟურნალისტის საკუთრებაა და მისი დაცვა უნდა შეძლოს. ერთ-ერთი რამ, რაც ტექნოლოგიური ევოლუციის ამ ერას საინტერესოს ხდის, ისაა, რომ ჩვენ ყველა ინტერნეტმომხმარებელს შეგვიძლია ჩავერთოთ ამ დისკუსიაში ისე, რომ არ გვჭირდება ვიმუშაოთ „სი ენ ენში“, „ნიუსვიკში“, „ნიუ იორკ თაიმსში“, ჟურნალ „თაიმში“. მთავარია, გვქონდეს ისეთი მარტივი აღჭურვილობა, როგორიცაა მობილური ტელეფონი, ლეპტოპი და ინტერნეტი.

BBC World Service-ის ყოფილი მმართველი დირექტორის სერ ჯონ ტუსასის განმარტებით, **სოციალური მედია მუშაობს ცვლილების კატალიზატორად, მაგრამ არ შეუძლია, მოიხელთოს და მართოს ის, რაც ამას მოჰყვება.** სოციალური მედია ეფექტიანი, გამოსადეგი იყო ისეთი ატმოსფეროს შექმნაში, რომელშიც ცვლილებები მოხდებოდა. ხოლო უძლური აღმოჩნდა, როცა საქმე იმის შენებაზე მიდგა, რაც ცვლილებას მოსდევს. არაბული გაზაფხულის განმავლობაში სოციალურმა მედიამ უზარმაზარი როლი ითამაშა დიქტატორების დამხობაში, მაგრამ მოქალაქე ჟურნალისტის ძალა, კომპეტენცია არასაკმარისი გამოდგა მძიმე, გარდამავალი პერიოდის სამართავად: ერების უმრავლესობა ადრინდელზე ბევრად უარეს პირობებში ჩავარდა. მეორე მხრივ, ტრადიციული მედიის ჟურნალისტებს შესწევთ პროფესიული უნარები მიიღონ ინფორმაციის ნაკადები და მათი სელექცია, სინთეზი უზრუნველყონ. კომპეტენტური ცოდნის საფუძველზე დაბალანსირებული რეპორტაჟები შექმნან.

აუდიო-ვიდეო, ფოტო ფორმის კონტენტის გამოქვეყნების სტრუქტურა სხვადსხვაა cms - ზე. ეს მედია პლათფორმები ძირითადად ერთნაირია და მცირე განსხვავებების შესწავლას ნებისმიერი სტუდენტი, ჟურნალისტი ადვილად გაართმევს თავს. ვორდპრესი ამ მიმართულებით ყველაზე მოქნილი სისტემაა, როგორც პატარა, ისე მსხვილი კომპანიებისთვის. ვორდპრესის კრეატიული არხი ფასიან სერვისებსაც სთავაზობს, რომელშიც სრული ტექნიკური მხარდაჭერა შედის და არც ისე იაფია. ასე რომ, ამბების მოსაყოლ ინსტრუმენტად ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ უამრავი სხვადასხვა ონლაინ სერვისი. თხრობის ფორმის ძიებისას ინსპირაცია შეიძლება თავად ონალინ სერვისები იყოს. აქედან გამომდინარე ვებ

რეპორტიორებისთვის ახალი ონლაინ პლათფორმები და აპლიკაციები ისევე მნიშვნილევოანია, როგორც თავად ამბის იდეები.

სოციალურმა მედიამ დიდი შესაძლებლობები მისცა ჟურნალისტებს ინფორმაციის წყაროების გამოყენების თვალსაზრისით. ამავე დროს, გაართულა ხარისხიანი ჟურნალისტური მასალის წარმოება. ეს კი ინფორმაციული ნაკადების მართვის პრობლემებია. ციფრულ ერაში სოციალური მედია როგორც ინფორმაციის წყარო გამოწვევაა მაღალი ჟურნალისტური სტანდარტის, პასუხისმგებლობის მქონე მედიასშუალებების წარმომადგენლებისთვისაც: გაავრცელონ ინფორმაცია არა მომხდარ ფაქტზე, არამედ იმაზეც, რაც არ მომხდარა. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა იცნობს მაგალითებს სოციალური არხების მეშვეობით როგორ შეიძლება დაიწყოს სხვადასხვა პოლიტიკური პროცესები და რევოლუციებიც გამოიწვიოს. ამ მოტივით აშშ-მა რამდენიმე მილიონი დოლარი გამოყო ავტოკრატიულ ქვეყნებში ბლოგინგის და სოციალური ქსელების გასავითარებლად.

სოციალური მედიის გამოწვევებს მსოფლიოს ცნობილი მედასაშუალებების მედიამენეჯერები სტრატეგიების შემუშავებითა და რეგულაციების დაწესებით პასუხობენ. ამ კუთხით ერთიანი მსოფლიო სტანდარტზაცია მედიაში არაა. თუმცა, თითქმის ყველა მაღალი სტანდარტების მქონე საერთაშორისო მედია ჟურნალისტებს ურჩევს პროფესიული სტანდარტების დაცვით სოციალურ არხებში აქტიურობას. მათმა ამ სივრცეში აქტიურობამ არ უნდა შელახოს გამოცემის, ჟურნალისტის რეპუტაცია და სანდოობა. სოციალური მედიის სახელმძღვანელოები ჟურნალისტებისთვის გამოსცეს მსოფლიოს ცნობილმა მედიაორგანიზაციებმა, საინფორმაციო სააგენტოებმა. მაგალითად, აშშ-ში - „ასოშიეთიდ - პრესმა“ (AP) და საფრანგეთში - „აჟან-ფრანს-პრესმა“ (AFP). სახელმძღვანელო პრინციპები ეყრდნობა სააგენტოს განაცხადს საინფორმაციო მასალის ღირებულებებისა და პრინციპებზე. AP – ბრენდისა და თანამშრომელთა პირადი იმიჯის განვითარებას სოციალურ ქსელებში. AFP სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელო მიუთითებს ჟურნალისტებს გახსნან ანგარიშები პოპულარულ სოციალურ ქსელებში. მათ შორის „ტვიტერი“ და „ფეისბუკი“ რჩება ყველაზე მნიშვნელოვან რესურსებად. ამ ნორმატივებზე დაყრდნობით, კვლევით სოციალურ

მედიაში ჟურნალისტების აქტიური მონაწილეობა პროფესიული ზრდისთვის მნიშვნელოვანი გახდა, როგორც კონტარქტების დამყარებისა და ახალი წყაროების პოვნის, ასევე, ახალი ამბების მონიტორინგისა და რეპორტინგისთვის. ამ ჟურნალისტების რეპრეზენტაცია სოციალურ ქსელებში დაეხმარება სააგენტოს ონლაინ მედიაში სანდოობის გაზრდაში და იმის მაჩვენებელი, ნიშა იქნება, რომ ეს კომპანია სოლიდურადაა წარმოდგენილი ციფრულ და ტრადიციულ მედიაში. წარმოდგენილი რეკომენდაციები მიმოიხილავს და განსაზღვრავს AFP - ის წესებს სოციალური ქსელების გამოყენებისას. ეს რეკომენდაციები რეგულარულად კორეკტირდება ინტერნეტის ტენდენციების განვითარების შესაბამისად. ეს ქსელები ერთამანეთთან აკავშირებს ინტერენეტ მომხმარებელების გლობალურ კომუნას, რომელებიც ხშირად მიმდინარე მოვლენების, პროცესების თვითმხილველები, ექსპერტები არიან. ამ კომპანიაში მომუშავე ჟურნალისტებს ეს წესები ეხმარება, მოტივირებულებს ხდის იყვნენ პროცესების ნაწილი და აქტიურნი სოციალურ მედიაში. მათ მოზომილი, სანდო გზით, კომპანიის ისტორიული, ჟურნალისტური ტრადიციების ბრენდი, ნიშა, პოზიციონირება შენარჩუნონ.[55]

კორონავირუსის გავრცელებამ კი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო მედია როგორც პროფესიული სტანდარტების დაცვის კუთხით, ასევე დისტანციურ რეჟიმზე, მუშაობის ახალ სტილზე გადასვლითაც. მსოფლიო დონეზე დეზინფორმაციის გავრცელება მედიისთვის ასევე ქმნის ახალ პრობლემებს, ინფორმაციის გადასამოწმებლად დახვეწოს ტექნოლოგიები. ქართულ რეალობაში პრაქტიკულ და მედია განათლების სივრცეში გაჩნდეს ცოდნა პანდემიის მაღალი პროფესიული სტანდარტით სწავლებასა და გაშუქების თაობაზე. ამავდროულდ დამწყებ ჟურნალისტებს (სტუდენტებს) მომავალში უფრო უსაფრთხოდ მუშაობაში დაეხმარება და ასევე, ხელს შეუწყობს ჟურნალისტიურმა სამეცნიერო წრეებმა პანდემიასთან დაკავშირებით დისკუსის ფორმატში წამოიწყონ: მედია განათლებაში, სალექციო კურსებში კორონავირუსულ ინფექციასთან დაკავშირებული ახალი ცოდნა და გამოცდილება როგორ დააგროვონ, გაანახლონ, შეავსონ და სისტემატურად დაახარისხონ.

---

[55] Associated Press - Social Media Guidelines for AP Employees

სწორედ ნაშრომში განხილული ინოვაციური ჟურნალისტიკის არსი, მისი გამოყენების შესაძლებლობების ცოდნა პასუხობს Covid 19 პანდემიის პირობებში დისტანციური ჟურნალისტიკის გამოწვევებს: როგორაა შესაძლებელი ონლაინ მუშაობა, კომუნიკაცია თუკი ამის საჭიროება დადგება: როგორ შეიძლება აეწყოს ტექნიკური სისტემა ისე, რომ დისტანციურად მონტაჟის საშუალება ჰქონდეს ჟურნალისტს - ძირითადად, ეს ეხება ვიდეო პერსონალს, სახლიდან სამონტაჟოებზე წვდომა როგორ უნდა ჰქონოდათ.

დისტანციური კომუნიკაციის პრაქტიკა ისედაც გვქონდა, მაგალითად ინტერვიუების დიდი ნაწილი ტელეფონით იწერებოდა. ძირითადად პრობლემა მაინც ვიდეოამბებთან დაკავშირებით იქმნება: რაც შეეხება სირთულეებს, აქ შემოდის ისეთი საკითხები, რამდენად აქვს ჟურნალისტს სახლში მუშაობისთვის საჭირო კომპიუტერი, ინტერნეტი, შესაბამისი პროგრამები ვიდეო ან აუდიო ფაილების ჩასაწერად.

ქართულ მედია სივრცეში ბოლო პერიოდის გამოწვევებია Covid 19 პანდემიის პირობებში ჟურნალისტებისთვის კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაში მომუშავე ჟურნალისტებისთვის და ონლაინ საინფორმაციო საშუალებებისთვის ინფორმაციაზე წვდომის პრობლემაა. სახელმწიფო მოხელეები და ინსტიტუტები ცდილობენ გაართულონ ინფორმაციის მოპოვების პროცესი. Covid 19-ის პანდემიამ და მისმა უარყოფითმა გავლენამ ქვეყანაში გაზარდა მოქალაქეთა მზარდი მოთხოვნა საინფორმაციო საშუალებებზე.[56] ინფორმაციის სიმწირე ჟურნალისტებისთვის ქმნის ინფორმაციულ შეზღუდვას მოქალაქეებისათვის. ჟურნალისტების თქმით, შეუძლებელი გახდა სანდო და დეტალური ინფორმაციის მოპოვება შემდეგ თემებზე, როგორიცაა: მთავრობის კრიზისის მართვის სტრატეგია, ჯანდაცვის დაწესებულებებზე

[56] ეთიკა, უსაფრთხოება და ფსიქიკური ჯანმრთელობა კორონავირუსული პანდემიის (COVID-19) გაშუქებისას - სახელმძღვანელო წესები მედიისათვის. ინტერნეტი https://www.qartia.ge/ka/covid. წვდომა 10.05 21.

ხელმისაწვდომობა, შინ მყოფი პაციენტების მართვა, ამომრჩეველთა უსაფრთხოების დაცვა არჩევნების დღეს, და სხვა.[57]

სახელმწიფო მართვის ჟურნალისტური მონიტორინგი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ჟურნალისტიკის ამ ფუნქციის განხორციელება გვევლინება ადამიანის ცხოვრების აუცილებელ ელემენტად. ჟურნალისტების დაკვირვება სახელმწიფო ინსტიტუციების სისტემებზე საზოგადოებრივ მოვლენებზე, პროცესებზე, ადამიანთა საქმიანობასა და ურთიერთობებზე მიზანმიმართული მოქმედებაა. ჟურნალისტიკის ეს ბუნება მომდინარეობს მისი სოციალური ფუნქციიდან. ის მიმართულია იმ პროცესების მოწესრიგებისკენ, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს. მოცემული ნაშრომი ეხება სწორედ ჟურნალისტების შეხედულებებს იმ მეთოდებზე, რომლებიც მათი და მათი კოლეგების მიერ შეიქმნა უკანასკნელ ათწლეულებში. აქვე აღნიშნულია, თუ როგორ აისახა დოკუმენტებში მოძიებული და პირად საუბრებში მოპვებული ინფორმაცია, რაც მომხდარის უფრო სრულყოფილად აღქმას უწყობს ხელს. ჟურნალისტიკის მონიტორინგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მმართველობის ფორმების განვითარებისთვის. ის ინფორმირებულ საზოგადოებას გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება.

მედიის პლურალიზმს და თავისუფლებას, სჯერათ, რომ საქართველოში, დამოუკიდებელი მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მთავრობისა და პოლიტიკოსების ქმედებების ზედმიწევნით გაკონტროლებაში, რათა ისინი უფრო მეტად ანგარიშვალდებულნი და გულისხმიერნი გახადონ მოქალაქეების მიმართ. საზოგადოებრივი

---

[57] https://www.qartia.ge/ka/covid. (იხ. ჟურნალისტთა უსაფრთხოება) ხელისუფლების წევრებისა და 155 მედიის მდგრადობის ინდექსი, საქართველო.

ორგანიზაციები ასევე აცნობიერებენ, რომ არსებობს ეთიკური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქართული მედიის მუშაობაზე, თუმცა ფიქრობენ, რომ ამგვარი პრობლემები უნდა მოგვარდეს თვითრეგულაციითა და შესაბამისი პროფესიული გაერთიანებების ჩართულობით.

გასათვალისწინებელია ახალი მიდგომები ქართულ ჟურნალისტიკაში საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებისთვის. საკვანძო საკითხებია:

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის იდეა და მისი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- ჟურნალისტის სამართლებრივი იმუნიტეტი - ჟურნალისტური გამოძიება, როგორც წინასწარ გამოძიებასა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე გარეგანი კონტროლის მექანიზმი;
- იურიდიული ტერმინოლოგია და მისი გამოყენების კომპეტენცია ჟურნალისტური გამოძიებისას;
- სისხლის საპროცესო კოდექსი და ჟურნალისტური გამოძიება;
- სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და ჟურნალისტური გამოძიება;
- ლიბერალური და რეპრესიული მოდელის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მედია და ადამიანის უფლებები;
- უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- ჟურნალისტების მხრიდან ზემოქმედების განხორციელება მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ჟურნალისტური გამოძიებისათვის ინფორმაციის მისაღებად;
- ინტერესის ობიექტის განსაზღვრა (სახელმწიფო ხელისუფლება; ა/რ და რეგიონული მმართველობის ორგანოები; ადგილობრივი თვითმმართველობა) ადმინისტრაციული ორგანოები
- თანამედროვე საქართველოს ბიუროკრატიის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება;

- ინფორმაციის წყაროები და ინფორმაციის წყარობთან ურთიერთობა;
- მუშაობა საინფორმაციო წყაროებთან - ინფორმაციის შეფასება;
- ინფორმაციის გავრცელება, თავისუფლება და საგამოძიებო ჟურნალისტიკა
- ღია საჯარო ინფორმაცია + საგამოძიეო ჟურნალისტიკა
- საიდუმლო ინფორმაციის სახეები - ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;
- გასაჩივრების მექნიზმები საჯარო ნფორმაციის მისაღებად;
- ჟურნალისტის საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობის საფუძვლები;
- სანებართვო სამართალი - პრივატიზაცია და ჟურნალისტური გამოძიება;
- ელექტრონული საინფორმაციო რესურსების გამოყენება ჟურნალისტურ გამოძიებაში.

განვითარებასა და დემოკრატიის გზაზე მდგარ ქვეყნებში ჟურნალისტები აწყდებიან ურთულეს და ხშირად უფრო ძნელად გადასალახავ პრობლემებს, ვიდრე ნებისმიერი დასავლელი ჟურნალისტი. ამ ახალბედა ჟრნალისტების სტატიები უმეტესად საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროს მიეკუთვება. ამ ქვეყნებში ხშირად არ არსებობს არც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და არც ცილისწამებისგან თავდაცვის კანონი. ჟურნალისტები მასალის შესქმნელად მუშაობენ მცირე ჯგუფებად ყოველდღიური ზეწოლის პირობებში. ზოგჯერ მათ საფრთხე და ძალადობაც კი ემუქრებათ. ხშირად, თავიანთი საინფორაციო საშუალებებიდან მცირე მხარდაჭერის მიზეზით ჟურნალისტებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა იწყება. ახალი პროფესიის დაუფლება მეტად მომხიბვლელი, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ხშირად უწევს საქმის მარტო კეთება. ასეთი პუბლიკაციის თავად ფაქტიც კი უკვე გამარჯვებას ნიშნავს. ამ საკითხების ცოდნის ფარგლებში სტუდენტებს გამოძიების ჩატარების შესაძლებლობა ექნებათ. ჟურნალისტური გამოძიების საუნივერსიტეტო კურსის ბოლოს სტუდენტს გამოძიების ჩატარების უნარი ექნება. ესაა:

წყაროების წინაშე შეკითხვების დასმის ოსტატობა; მოძიებული ინფორმაციების პრობლემის განსაზღვრა; ხელთ არსებული მასალებისთვის მტკიცებულების მოძიება; წყაროების და მასალის ავტორის მოსაზრებების შეფასება; მოძიებულ მასალებში არსებული ალტერნატიული ინტერპრეტაციების და შეხედულებების განხილვა და დასკვნების გამოტანა; დასკვნების გადასინჯვა და გადაფასება. ზემოთ წარმოდგენილ საკვანძო საკითხებში შემოთავაზებულია უახლოესი მეთოდები და რესურსები, რომლებიც კარგი საგამომძიებლო მასალის მოსამზადებლადაა საჭირო, ასევე ჩამოთვლილია სასარგებლო ვებ–გვერდები.

პოტენციური მონაწილეები მუშაობენ როგორც ჟურნალისტები, ბლოგერები ან მეცნიერები. ისინი უნდა იყვნენ გატაცებულნი თავიანთი როლით დემოკრატიულ პროცესებში და აქტიურად დაინტერესდნენ მედიის, ჟურნალისტიკისა და დემოკრატიის მომავლით.

საკვლევი თემაში წარმოდგენილი სემინარის მოდულები მოიცავს თეორიულ ცნობებს, ერთობლივ დისკუსიებს, ასევე პრაქტიკულ შემთხვევათა შესწავლას და ერთობლივ პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებს, სადაც შესაძლებელია ახლად შეძენილი ცოდნის გამოყენება და რომლებიც პირდაპირ კავშირშია მონაწილეთა პროფესიულ საჭიროებებთან. სემინარის ძირითადი ელემენტი მოიცავს ინტერდისციპლინარული სცენარის პროცესს ჩვენი 2030 წლის ევროპული მედია-პეიზაჟის მომავლზე. შედეგები ფართოდ გავრცელდება და წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო მედია კონფერენციაზე დიალოგისა და დებატების ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ფორუმი. მედიის, საერთაშორისო საქმეთა და დემოკრატიის საკითხებზე. კონფერენციის დროს ახალგაზრდა ჟურნალისტები ასევე ჩაერთვებიან საერთაშორისო დისკუსიებში მედიის, პოლიტიკისა და აკადემიური წრეების საერთაშორისო აზროვნების ლიდერებთან, რათა განიხილონ მედიის როლი და გავლენა საერთაშორისო საქმეებში.

დღეს მედიაში ფართო არეულობამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ადგილობრივ ჟურნალისტიკას, რამაც გამოიწვია მასიური ეკონომიკური ზეწოლა. მედიის მრავალფეროვნება იკლებს, რის შედეგადაც ანგარიშები

სულ უფრო განზომილებიანი და დაფინანსებულია.ჟურნალისტურ სკოლებში ამ მიდგომების სახელმძღვანელოების ჩამოყალიბების აუცილებელი მიზანია, ახალგაზრდებს მისცეს ცოდნა იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს დემოკრატიულ სისტემაში მედია, სოციალური არხები, ინფორმაცია და დავადგინოთ, რა ინტერესები დგას კონკრეტული საინფორმაციო საშუალების უკან, როგორ ვებრძოლოთ სიძულვილის ენას, დავიცვათ კიბერუსაფრთხოება და ადამინის უფლებები. სოციალურ საკითხებზე და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

კურსების პრაქტიკული ნაწილი უნდა ავითარებდეს ამ თემებს, მედია შინაარსის კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის მოპოვების და გადამოწმების, ყალბი ინფორმაციის დეკონსრტუირების, მედიის თვითრეგულირების ფორმატში გადაწყვეტილებების მიღების უნარებს. კრიტიკულად მოაზროვნე ახალი თაობის ჟურნალისტი ემიჯნება ეგოცენტიზმსა და სოციოცენტრიზმს. ღიაა სიახლის მიმართ. სწორად აღიქვამს საკითხებზე მსჯელობის უსამართლობასა და აბსურდულობას ამ თემების სიღრმისეული გააზრების გარეშე. აცნობიერებს, რომ ჩვენს მუდმივად ცვალებად და კომპლექსურ სამყაროში, სადაც ჟურნალისტი ოპერირებს ყველაზე მტკიცე ვარაუდიც კი, შესაძლოა, არაადეკვატური გახდეს დროის თუ სხვა სიტუაციის ცვლილებებით. სამყაროს ასეთ დინამიკურ ჭრილში დანახვა, მასში არსებული მოვლენებისა და ვარაუდების კრიტიკულად შეფასება პროფესიულად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

თანამედროვე საზოგადოებაში ჟურნალისტური უმაღალესი სკოლის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლონ აირჩიონ ის ღირებულებები, რომელებიც, ეთნიკური იდენტობით, კულტურით, მენტალობით, ცოდნაზე დაფუძნებით მათი ხედვით, მნიშვნელოვანი და ფასეულია... ამგვარი არჩევანის გაკეთებისას, მომავალი თაობის ჟურნალისტებს ექნებათ უნარები, შესაძლებლობები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის შექმნან დემოკრატიულ გარემო. იბრძოლონ პიროვნების აზრის, მრწამსის, გამოხატვის თავისუფლებისთვის როდესაც მათი მოსაზრებები, შეფასებები, ტენდენციები გასაჯაროვდება.

ღირებულებების არჩევა ახალგაზრდა მომავალ ჟურნალისტებს დაეხმარება იმის განსაზღვრასა და კითხვაზე პასუხის გაცემაში: ვინ არის?

რაში მდგომარეობს მისი ინდივიდუალიზმი? თავისუფალი არჩევანი და ხედვა? ამ საკითხს თუ საზოგადოების მთლიანობის პრიზმიდან შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მათი მომავალი პროფესიული ჩვევები, სტანდარტები, უფლება-მოვალეობები პლურალური საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს. ასეთ გარემოში საზოგადოების წევრებს განსხვავებული ღირებულებები და რწმენა გააჩნიათ. ექსპერტების, მკვლევრების, მეცნიერების ერთი ბანაკის მოსაზრებით, პლურალიზმი შესაძლოა კონფლიქტის წყაროდაც კი იქცეს. ამ სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ საერთო ღირებულებებს, რასაც დემოკრატიული საზოგადოება ეყდრნობა. მაგალითად, როგორიცაა, კომპრომისისთვის მზაობა, ძალადობის დაუშვებლობა, უმცირესობათა ინტეგრაცია.

როგორც წესი, თუ საზოგადოების წევრები წარმატებით თანხმდებიან დავისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშვიდობიანი, არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების წესებზე, მათ შესწევთ ძალა, აღმოფხვრან მათ შეხედულებებსა და ინტერესებს შორის არსებული კონფლიქტი. ეს საკითხები თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მიკროსაზოგადოებაში, როგორიცაა კლასი, ასევე, ზოგადად, ნებისმიერ საზოგადოებაში. მომავალმა კურდამთავრებულმა ჟურნალისტმა პროფესიულ საქმიანობისას უნდა შეეძლოს განსაზღვროს დემოკრატიულ საზოგადოებაში არც ცალკეულ პიროვნებას და არც ხელისუფლებას არა აქვს უფლება, განსაზღვროს საერთო ღირებულებები. მოქალაქეები გამონაკლისის სახით ხშირად მოლაპარაკების გზით თანხმდებიან გარკვეულ ღირებულებებზე. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია ლექტორის კომპეტენციაში არ შედის ღირებულებების განსაზღვრა პოლიტიკური მიზანშეწონილობისა თუ გარკვეული რწმენისა და იდეოლოგიის მიხედვით. სტუდენტება უნდა ისწავლონ, როგორ ისარგებლონ საკუთარი აზრის თავისუფლებით და როგორ გაუზიარონ საკუთარი ცოდნა, აზრი, ინფორმცია, ფაქტები, კრიტიკა, ანალიზი და კვლევა აუდიტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კირვალიძე, ნ.,2010. პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი. თბილისი: საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ გვ. 1. ინტერნეტი http://eprints.iliauni.edu.ge/1019/ წვდომა 10.05.21.
2. ლომიძე, თ., 2016. საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები. თბილისი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
3. ლუმანი, ნ., 2007. საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია. თბილისი: გამომცემლობა „არსე“.
4. მახარაძე, ი., 2019. ინფორმაციის ელექტრონული მოპოვების საშუალებები. თბილისი: სეუს სამეცნიერო ჟურნალი, გვ. 211,
5. მედიის განვითარების ფონდი. (2018). ინტერენეტი Retrieved from http://mdfgeorgia.ge/eng/home წვდომა 05.09 21.
6. როსტიაშვილი, ქ., 2010. **ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, გვ. 2.** ინტერნეტი ხელმისაწვდომია https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies [წვდომის თარიღი 21 აპრილი 2021}
7. ტურაშვილი, თ.,2020.ღია მონაცემების სახელმძღვანელო. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), გვ. 8.
8. შუკი, ფ, ლარსონი, ჯ, და დატარსიო, ჯ., 2014. სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი.
9. Fairclough, N., 2001. Language and Power. New York : Published in the United States of America by Longman Inc.გვ. 8.
10. N.,2016.. linguistic and Intertextual Analysis Within Discourse Analysis Lancaster university.
11. Internet Linguistic and Intertextual Analysis Within Discourse Analysis (researchgate.net) Accessed 05. 09 21.

12. Internet Linguistic and Intertextual Analysis Within Discourse Analysis (researchgate.net) Access 05. 09 21.
13. Haas, Tanni (2005). From "Public Journalism" to the "Public's Journalism"? Rethoric and reality in the discourse on weblogs, Journalism Studies 6(3): 387
14. Nip, Joyce Y.M. (2006). Exploring the second phase of public journalism, Journalism Studies, 7(2): 230.

ინტერნეტ რესურსი:

1. ეთიკა, უსაფრთხოება და ფსიქიკური ჯანმრთელობა კორონავირუსული პანდემიის (COVID-19) გაშუქებისას - სახელმძღვანელო წესები მედიისათვის. ინტერნეტი https://www.qartia.ge/ka/covid. {წვდომის თარითი 10.05 21}

2. https://www.qartia.ge/ka/covid. (იხ. ჟურნალისტთა უსაფრთხოება) ხელისუფლების წევრებისა და 155 მედიის მდგრადობის ინდექსი, საქართველო. {წვდომის თარიღი 08.05. 21.}

3. ინტერნეტი: https://www.nato.int/docu/update/2008/05-may/e0514a.html წვდომა 10.05.21.

4. ინტერნეტი: https://ccdcoe.org/ {წვდომის თარიღი 10.05. 21.}

5. ინტერნეტი Barack Obama @BarackObama https://twitter.com/barackobama/status/896523232098078720 {წვდომის თარიღი10.05. 21}

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

https://www.facebook.com/davit1chakhvashvili

https://www.linkedin.com/in/davit1chakhvashvili